

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№13

ამჩნევი



ლომის ჯოჯიანი

თბილისი 2021

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

№13

2021

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)
რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)
ბონდო არველაძე (საპატიო წევრი)
ნომადი ბართაია (საპატიო წევრი)
ვახტანგ ბახტაძე
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)
მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)
ჯემალ მეხრიშვილი
ერეკლე საღლიანი (საპატიო წევრი)
მარსიანი
თეიმურაზ ნადარეიშვილი

წინა ყდა: **„ისინდის საიუბილეო ნახატი“**
უკანა ყდა: **„ამირანი“**
მხატვარი – **მარსიანი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა 5

„ისინდის“ ქრონიკა

იკა ქადაგიძე – ისინდის ვირტუალური გვერდის ისტორია 8

ინტერნეტსპექტრი

პოეტ პოეტიშვილი – ახალი ლექსები 28

პროზა

სანდრო ნებიერიძე – წვიმა 30

ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა

ჯემალ მეხრიშვილი – დროის პერიოდები 34

პოეზია

მედგარ ჭელიძე – ლექსები 38

„ისინდის“ ქრონიკა

მარსიანი – ქვიშანი დარჩებიან 40

ისტორიული პორტრეტები

როსტომ შამუგია – ჯანსუღ ჩარკვიანის მოლანდებანი 47

ერთი ლექსის გაელვება

ნიკო სამადაშვილი, მარინა თექთუმანიძე – 49

წარსულის მოზაიკა

ვანო გელაშვილი – ვასკა ვირი 50

ემიგრანტული სარკმელი

როი სოხუმელი – ლექსები 52

მუსიკალური ვერნისაჟი

მარი თბილელი – ვენა, სამოთხე მუსიკის მოყვარულთათვის 54

თარგმანი ირლანდიულიდან
ნანა შალამბერიძე – ლედი ჯეინ უაილდი (ბედისწერა)..... 56

წარსულის სპექტრი
ნომადი ბართაია – ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან..... 59

თარგმანი რუსულიდან
ვახტანგ ბახტაძე – პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს 60

ესეისტიკა
მარიამ ტოხიშვილი – შეშლილი სამყარო 62

ფერწერული კალეიდოსკოპი
ელენე ელყანიშვილი - თვითნასწავლი მხატვრის ფერადი სამყარო 64

მითოლოგიური პოემა
ერეკლე საღლიანი - „მედეა“ 66

„ისინდის“ ქრონიკა
თეიმურაზ ნადარეიშვილი - დაცემის ანატომია 67

რედაქტორის წინათქმა

უკვე ოთხი წელი შესრულდა, რაც სამწერლო ასპარეზზე გაბედულად გამოსული ყველაზე მებრძოლი ჟურნალი "ისინდი" ეროვნული ფასეულობების დასაცავად განუხრელად იბრძვის; შესაბამისად, გემოვნებიან და სოლიდურ პუბლიკას საშუალება აქვს ჩვენს თავდაუზოგავ ძალისხმევას ეროვნული კულტურის გადასარჩენად ცენზურისაგან დამოუკიდებელი ჟურნალის მეშვეობით თვალ-ყური მიადევნოს და ეროვნული ცნობიერების განტკიცებას მყარად მხარი დაუჭიროს, რისთვისაც ერთგულ გულშემატკივრებს დიდ მადლობას მოვახსენებთ; და რადგან ამჟამად უშეღავათო ბრძოლის შუაგულში ყველაზე მწვავედ ქართული მიწის შენარჩუნების საკითხი დგას, სწორედ ამ მიზნით ვბეჭდავ ნამოხვანჰესის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო პუბლიკაციას, რომლის შინაარსსაც "ისინდის" შემადგენლობა ცალსახად იზიარებს. აქვე დავაზუსტებ, რომ თვეების მანძილზე ესოდენ სისხლხორცეულ თემას ნამოხვანზე შექმნილი წერილების საგანგებო ციკლის მეშვეობით საკუთარ ფეისბუქ გვერდზე სისტემატურად ვაქვეყნებ, ვინაიდან ილია მართალის უნივერსალური დევიზი: მამული, ენა, სარწმუნოება - "ისინდის" უცვლელი სამოქმედო პროგრამაა...

ნამოხვან ჰესის კაბალური ხელშეკრულების შესახებ

ნამოხვან ჰესის ყბადაღებული ხელშეკრულების გამოქვეყნებისთანავე ხალხის გასაბრიყვებლად სამთავრობო რიტორიკის მავნე და ცრუ პროპაგანდისტული მანქანა დაუხანებლად ჩაირთო, რაც მოწმობს, რომ ამ ცალსახად წამგებიანი პროექტის მესვეურებს ერის სამართლიანი მოთხოვნა არ აინტერესებთ და ვერ ხვდებიან გაბრაზებულ მოსახლეობასთან სახიფათო თამაშს რომ ეწევიან; ამ უკიდურესად კაბალური შეთანხმების პირობების მიუხედავად მთავრობამ იხტიბარი არ გაიტეხა და თავისი საეთერო ტრიბუნიდან პროექტის ეკონომიკურ სარგებელზე ალაპარაკდა, რაც მტკნარი სიცრუეა; სინამდვილეში, როგორც ეს სამარცხვინო ხელშეკრულება ღაღადებს, ყველაფერი პირიქითაა; ხელშეკრულების პუნქტების მიხედვით თურქული კომპანია განუსაზღვრელი უფლებებითა და პრივილეგიებითაა აღჭურვილი და ჩვენ მხოლოდ მძიმე ვალდებულებებით გვტვირთავს; თუნდაც მცირე ზარალის ხარჯს საქართველოს მთავრობას აკისრებს მაშინ, როდესაც ელექტროენერგიას საკმაოდ ძვირად მოგვაწვდის, ისიც მხოლოდ 15 წლის განმავლობაში...

აქედან გამომდინარე, საჭირბოროტო, ჩამჭრელი კითხვების სერიას მოკლედ ვუპასუხოთ: 1. როდის აქეთაა, ყველაზე მაღალი ტარიფი ეკონომიკურ შეღავათად მიიჩნევა? ეს პირველი ტყუილი. 2. რატომ უნდა უზრუნველვყოთ პანისლამიზმის მიმდევარი სახიფათო სახელწიფო ჩვენი სტრატეგიული ობიექტით, რომელსაც ახლოს აღარ მიგვაკარებს, როგორც კი თავისას გაინაღდებს და ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ჩვენს საწინააღმდეგო იარაღად შემოგვიბრუნებს. რა სამკვდრო-სასიცოცხლო აუცილებლობა მოითხოვს, ასეთი კაბალური პირობის შესრულებას, როდესაც ალტერნატიული ვარიანტები მრავლადაა და საოცნებო დასავლეთი ჰესების ასამოქმედებლად ქარისა და მზის ენერგიას წარმატებით იყენებს, რაც ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტია, ეკონომიკურ მოგებასა და სტრატეგიულ საფრთხეს რომ თავი გავანებოთ. ესეც მორიგი სიყალბე. იმის შიშით, რომ ნაცების გებელსი ბოკერია და გირჩის პამპულა რუსეთის აგენტობას წამოგვაყვირებს (არადა, ამ შემთხვევაში რუსეთი არაფერ შუაშია, რადგან ქართული მიწის მეპატრონე, სანამ რუსეთი მსოფლიო რუკაზე გაჩნდებოდა, ოდითგან ქართველია) წინაპრების მიერ სისხლით დაცული მიწები პანისლამურ ქვეყანას უნდა ვაჩუქოთ და ამით მას ოკუპანტის დამღა მოეხსნება? ვერ

გამიგია, თურქეთი რატომ აღარაა ოკუპანტი, დასავლეთ საქართველოს ხელში უომრად, ამ ყბადაღებული ჰესის მეშვეობით თუ ჩაიგდებს? სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოა და იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი მანჯურიის ნაწყალობევი ტერიტორიაა, ამდენი დანაკარგის ფონზე ასე არხეინად რომ გავასხვისოთ?! ეს რა გასართობი შეჯიბრია, ადგილობრივი მანქურთების ჯიბის გასასქელებლად ნებისმიერ ოკუპანტს რაც შეიძლება მეტი ქართული მიწა ჩავაცეცხლოთ და სამუდამოდ გადავუფორმოთ?! რატომ ღმერთი არ შერისხავს ამის მოწადინესა და განმახორციელებელს აწ და მარადის!

ეს რა ცინიკური სტრატეგიაა, ლარად ყველა ყველაფერს იყიდის და საჩვენო ეკონომიკური სარგებლის მომტანი მილიარდები სადღა ჩხრიალებს, თქვე წაწყმედილებო?! ეს სადაური წეს-კანონი და ქვეყნის მართვაა, ყველაფერი უცხოელებს უფეშქაშო და მკვიდრი მოსახლება უკიდურესად გაამათხოვრო და სხვაგან მონებად გადარეკო! ასე აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის კაციჭამია მმართველიც არ იქცევა და თქვენ ასე რამ გაგახარბათ და გაგამწარათ?! ამ მოცემულობის გათვალისწინებით თანმიმდევრულად ხელშეკრულების აბსურდული პუნქტების გაანალიზება არც ისე ადვილია, როცა მამალ ტყუილს უსირცხვილოდ გაჯახებენ, იმისა არ იყოს, 2008 წლის წაგებული ომი ჩვენს გამარჯვებად რომ შემოგვასაღეს და გიჟებივით ბუქნავდნენ და ზეიმობდნენ ქართული მიწების ახალ დანაკარგს! კაბალური ხელშეკრულების გაცნობა მოწმობს, აქ რამდენი ანტისახელწიფოებრივი ნაღმია ჩადებული, მტრული პოზიციის გამოვლენისთანავე ჩვენვე რომ გაგვანადგურებს; ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს ყველა მომდევნო ხელისუფლება რატომღაც არად აგდებს დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების გასხვისება დაუშვებელია; ეს ქვეყნის მართვის უპირობო ანბანია, გადასინჯვას რომ არ ექვემდებარება; შესაბამისად, მთავარი ბერკეტები მუდამ სახელწიფომ უნდა გააკოტროლოს, მის დამოუკიდებლობას საფრთხე რომ არ დაემუქროს; ვინც ამას ვერ ან არ ითვალისწინებს, მას მართვის სადავეებთან არაფერი ესაქმება; ახლა ეკონომიკური სარგებლის პუნქტს მივუბრუნდეთ, რომელიც არსად ილანდება; პირიქით, ამ კაბალური ხელშეკრულების თანახმად ხარჯი ქართულმა მხარემ უნდა გაიღოს და მეტიც, თურქეთის სასარგებლოდ. არ მოგესმათ, ამ ყბადაღებულ დოკუმენტში ზუსტად ეს აბსურდული ულტიმატუმია წამოყენებული; უარესიც წერია: კომპანიას თურმე რაჭა-ლეჩხუმსა და მთელ იმერეთში რომელი ტერიტორიაც მოეწონება (აქ უზარმაზარ ფართზეა საუბარი), ხელისუფლებამ 1 ლარად უნდა მისცეს და თუ რომელიმე კერძო პირი საკუთარ მიწას ვერ ან არ შეელევა, თურქებს რაც მოეწონებათ, ეს პრობლემა მთავრობამ თავად უნდა მოაგვაროს, კომპანია ამის გამო თავს როგორ შეიწუხებს! ეკონომიკური სარგებლის ლარიან მოგებას რომ თავი გავანებოთ, ეს ნიშნავს, რომ მადა ჭამაში მოდის და ამ ხელშეკრულებით კომპანია მთელ დასავლეთ საქართველოს ისე დაიკავებს, ესენი აქეთ ფულს გადაუხდიან, არიქა, ოღონდ თქვენ დაგვდეთ პატივი და ყველაფერს უფასოდ დაგიმტკიცებთო! რა, ასე არ ხდება? აჭარაში ამ ჰესებმა უ ბედურების მეტი რა მოიტანა, აქ რომ გვაბრუებენ და ფსიქიურად აშლილებივით იმას გვინერგავენ, რაც თვითონ ხელს აძლევთ. სინადვილეში ჰესი ფასადია და ამ საბაბით მთელი დასავლეთ საქართველოს თურქეთის კოლონიად გადაქცევა იგეგმება, ამას წყალი არ გაუვა! 100 წლის წინ ჩვენმა დაუმარცხებელმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა გმირულად რომ იბრძოლა და ოსმალეთს აჭარიდან კუდით ქვა ასროლინა, ახლა თურქეთი ვითომდა მომგებიანი ინვესტიციის შემოთავაზებით რევანშის აღებას ცდილობს და ეგაა! ერდოღანის დიდი თურანის პოლიტიკა უწყვეტ ექსპანსიას გულისხმობს, რასაც, სადაც გასდის, ახორციელებს კიდეც; აგერ, გარეჯს დაადეს თათი, ეს არ აკმაყოფილებთ და დასავლეთ საქართველოს , როგორც მაცდურ საკბილოს

ჯიუტად ეპოტინებიან და სათავისოდ იბევებენ! გიჟი ვინაა ამათ მიზანს ვერ ხვდებოდეს?! ხალხმა ეს საფრთხე რომ სრულად გააცნობიერა, 28 თებერვალს ქუთაისში ამ მიზნით დაირაზმა და მთავრობას სამართლიანი ულტიმატუმი წაუყენა, რასაც ესენი არ იმჩნევენ. არადა, სულ ტყუილად. ისედაც მოყანყალებულ სკამებზე სხედან და ნამოხვანის პროტესტი მაგათ იქ გაახოხებთ, საიდანაც ველარავინ წამოაყენებს, თუ ამ დამღუპველ პროექტს არ გააუქმებენ და სიცრუეს არ შეეშვებიან. ამის შემდეგ თუ ვინმე ჰესების თემაზე განაგრძობს საუბარს, ის ისეთივე მანქურთია, როგორც მიწების გამსხვისებელი ორივე ხელისუფლება, რომელმაც მოსახლეობას ეს დამღუპველი ხელშეკრულება იქამდე დაუმალა, სანამ ნამდვილი ქართველობა ფეხზე არ დადგა და პროტესტის ტალღა არ ააგორა. ეს ეშმაკისეული ჩანაფიქრი თუ გაუვიდოდათ, ვინმეს რატომ ჩააბარებდნენ ანგარიშს?! თურქებს ამ კაბალურ ხელშეკრულებაზე ხელს რომ უწერდნენ, ფაქტია, მეორე მხარეს ამათ უგუნურებაში ეჭვიც არ შეჰპარვია, ვინაიდან რომელი ჭკუათამყოფელი გაასხვისებს მუქთად მიწებს, საკუთარ თავზე მხოლოდ წამგებიან პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს აიღებს , ისიც გროშების ამარა და ხალხს ისე უბოდიშოდ დატოვებს სამშობლოს გარეშე, ამის მიზეზს არც კი აუხსნის! აქედან გამომდინარე, ასეთი "შეთანხმება " თავისი არსით უპრეცენდენტოა და პირდაპირ ქვეყნის გაყიდვას ნიშნავს; ამას მთავრობა მშვენივრად რომ აცნობიერებდა, ხელშეკრულება ამიტომ დამალა და სანამ ხალხი არ აჯანყდა, საჭიროდ არ მიუჩნევია განემარტა ეს რისთვის ჩაიდინა. ვინ მისცათ უფლება ხალხის დაუკითხავად რიონის ხეობა უყოყმანოდ გაესხვისებინა?! რა ისეთი მჭიდროდ დასახლებული უზარმაზარი ქვეყანა ჩვენ ვართ, ამდენი ჰესით მრავალმილიარდიანი მოსახლეობა ვერ დავაკმაყოფილოთ?! გასწი, გაქაჩე, დღეს საქართველოში 2მილიონი ქართველიც არაა დარჩენილი და 80 ჰესის აგება ვის რაში სჭირდება თუ არა მათ, ვინც ამით ფულს ხვეტს და საკუთარი ქვეყნის დაქცევითა და ერის გენოციდის ხარჯზე არნახულად მდიდრდება! აქედან ყველას გვერეკებიან, გადამთიელებს ჩვენს ნაფუძარზე ასახლებენ და და ამით ჩვენ რა ეკონომიკური სარგებელი გველის, ბრმისთვისაც გასაგებია! ამდენი ჰესის აგება მცირემიწიან მრავალფეროვანი და რთული კლიმატის მქონე საქართველოსთვის განვითარების წყარო რომ ყოფილიყო, საქართველოს ეროვნულ გმირებს- ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაასწრებდით ხუდონჰესის ამოქმედებას?! გრცხვენოდეთ დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე მრავალჭირგამოვლილ საქართველოს ასე რომ ჯიჯგნით და დაუნანებლად ასხვისებთ! დაიმახსოვრეთ, ეს არ შეგრჩებათ! ვის ატყუებთ და ქვეყნის განვითარების საბაბით შავბნელ, დამღუპველ ჩანაფიქრს რის იმედად ნიღბავთ და უბედურებას მოგებად გვასაღებთ? 28 თებერვალს ქართველობამ გაგაფრთხილათ, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოა და უზნეობაა მხოლოდ სათქვენო და სასხვისო ეკონომიკური სარგებლის საბაბით მამული დაფლითო და გადამთიელებზე გაყიდო! 30 წელია ასე ანაწევრებთ და ყიდით სამშობლოს, ვერა და ვერ გაძღა თქვენი მტაცებლური გული და პარაზიტული მადა, მტკაველი მაინც რომ შეგვარჩინოთ! ჰოდა, იცოდეთ, ჩვენ არ გავჩერდებით, გაიგეთ, საქართველოს არ გაგაყიდინებთ! საქართველო არ იყიდება! ქუდზე კაცი გამოვა ნამოხვან ჰესის პროექტს თუ არ გააუქმებთ და მსგავს ქმედებებზე ერთხელ და სამუდამოდ ხელს არ აიღებთ! მანქურთებო, მიუხედავად პარტიული მიმართულებისა, როგორმე შეიგნეთ: უკან თუ არ დაიხევთ, ამ პროექტს გადაყვებით, რადგან საქართველო არ იყიდება !

4.03.2021.

იკა ქადაგიძე

ისინდის ვირტუალური გვერდის ქრონიკა

21-ე საუკუნე, როგორც ციფრული მიღწევების ეპოქა, ტექნოლოგიური ატრიბუტების გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, სულ მცირე, ოც წელზე მეტია, ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო საქმიანობა სწორედაც გამართულ ელექტრონულ სივრცეზეა დამოკიდებული, რაც ჩვეულებრივი, კანონზომიერი მოცემულობაა, თანამედროვე ხელოვანების მხრიდან საერთაშორისო სტანდარტის ათვისება-გათვალისწინებას განუხრელად რომ მოითხოვს. დღესდღეობით ინტერნეტის უნივერსალიზმის განმარტება ჩვილსაც აღარ ესაჭიროება, მან ჩვენს ცხოვრებაში იმდენად შეუცვლელი ადგილი დაიკავა. ამდენად, სრული ნონსენსია, რედაქციას ხელნაწერი ჩააბარო, რაც ისტორიული ანაქრონიზმის გამოძახილია. ცოდვა გამხელილი სჯობს, ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალი ამ თვალსაზრისით საჭიროზე დემოკრატიულ კურსს მიჰყვებოდა და ზოგჯერ ხანდაზმულ ავტორთა ტექსტებს (ვისაც ინტერნეტზე წვდომა არ გააჩნია და ვერც ახლობლების დახმარებით სარგებლობს) ამ სახით იღებდა, მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისია და დამატებითი შრომის გარდა არასასურველ პრეცენდენტს ქმნის. აქვე დავაზუსტებ, ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ეს წესი არქივს გადავულოცე. ანგარიშის გაწევა ორმხრივ ინტერესს თანხვდება და ვინც ამას სათანადოდ ვერ აცნობიერებს, ფაქტია, მის გამო დამატებითი თავსატეხით საქმის გართულება ნამდვილად არ ღირს...

მოკლედ, სრულფასოვანი სარედაქციო საქმიანობის საწარმოებლად დროის მოთხოვნების გათვალისწინება გარდუვალია; მით უფრო, როდესაც ასპარეზის გაფართოებისას ელექტრონული სივრცის ხვედრითი წონა საგანგებოდ იზრდება. სხვაგვარად წარმატების მიღწევა, აქტიური რეკლამა, რაც ფინანსების მოზიდვას ცალკე განაპირობებს და ახალი პუბლიკის შემოერთება პრაქტიკულად შეუძლებელია; და რა გასაკვირია, "ისინდის" მასშტაბების ზრდის პარალელურად ჩვენი ჟურნალის გავლენის გასაფართოებლად 2018 წლის 9 მარტს, (ჟურნალ "ისინდის "

დაარსების თარიღი 2017 წლის 15 ივნისია) ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა წევრის, პოეტ გიორგი შიშნიაშვილის ინიციატივით (წიგნიერმა საზოგადოებამ უწყის, რომ მან"ისინდის" დაარსებამდე ჩემი რეკორდულად გახმაურებული ლექსი "მოძმე" პლაგიატისგან გაბედულად დაიცვა; ეს ფაქტი მადლიერების ნიშნად წერილობით და ზეპირადაც არაერთგზის აღმინიშნავს) ყველაზე მებრძოლი ჟურნალის ვირტუალური გვერდი გაიხსნა, სადაც დაინტერესებულ მკითხველს საშუალება მიეცა საარქივო მასალების დროული დახარისხებისა და მიმდინარე მოვლენების ამსახველი ფოტოსურათებისა და ჩემი ქრონოლოგიური წერილების მეშვეობით "ისინდის" მზარდი განვითარებისთვის თვალყური მიედევნებინა. ციფრული ეპოქის სპეციფიკის გათვალისწინებით სამწერლო პროცესების ოპერატიული გაშუქება გაცილებით იოლია, ვიდრე ადრე, როდესაც ცენზურის მსახვრალი პოლიტიკის გამოისობით სიმართლე დიდი ხნის მანძილზე იდევნებოდა და მომავლის კეთილსინდისიერ მკვლევარს ტანჯვით ელოდა. ბუნებრივია, ესოდენ ხელსაყრელ წინადადებას ხალისით შევეგებე (ისედაც უამრავი საქმის გაძღოლა მიხდებოდა) და უმცროს კოლეგას, რომელმაც ასაკისთვის შეუფერებელი გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით ჟურნალის ტექნიკური საქმეები თავისი ნება-სურვილით გადაიბარა, სრულფასოვანი საქმიანობისთვის მაქსიმალურად მხარში ამოვუდექი; ეს ნიშნავდა, რომ მისი ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც "ისინდის" საკეთილდღეოდ იყო მიმართუ-

ლი, უყოყმანოდ ხორციელდებოდა. მეტიც, ჟურნალის ვირტუალური გვერდის დამაარსებლისა და ადმინისტრატორის საქმიანობაში არასდროს ვერეოდი თუ თავად არ მთხოვდა; სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, მუშაობის ხარისხიდან გამომდინარე, გ.შიშნიაშვილი დამატებით მითითებებს ნამდვილად არ საჭიროებდა. ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ურყევად მიმაჩნია, რომ კოლეგას, მით უმეტეს თანაგუნდელს, საკუთარი უნარის გამოსავლენად მაქსიმალური ხელშეწყობის პარალელურად დამოუკიდებელი ქმედების შესაფერისი პირობები უნდა შეუქმნა, რაც მყარი წარმატების უცილობელი გარანტია. მავნე ლიბერასტული პროპაგანდის ფონზე ეროვნულ საქმეს შეჭიდებული ახალგაზრდა თაობა რომ განსაკუთრებულ წახალისებას საჭიროებს, რათა ამ ურთულეს გზაზე ულევი დაბრკოლებების დაძლევამ მუშაობის ხალისი არ ჩაუკლას, ჩემი ხანგრძლივი საბრძოლო გამოცდილების მიხედვით მშვენივრად მომეხსენება. ამდენად, "თეთრ ყორანად" სახელდებულ კოლეგებს სანთელივით გაფრთხილება რომ ესაჭიროებათ, გავკადნიერდები და გადაუჭარბელად ვიტყვი, ნამდვილად არ მესწავლება. ჩვენი გვერდის მხარდამჭერებისა და გულშემატკივრებისთვის ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. როგორც ამა თუ იმ წიგნს, ადამიანისა არ იყოს, საკუთრივ თავისი ბედი გააჩნია, იგივე წესი ჟურნალსა და ვირტუალურ გვერდზე განუხრელად ვრცელდება. ახლახან, "ისინდის" დაარსების თარიღთან დაკავშირებით სამი წლის თავზე რიგით მეათე, საიუბილეო ნომერში ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალის საქმიანობის ამსახველი შემაჯამებელი წერილი გამოქვეყნდა. აქედან გამომდინარე, ქრონიკის სახით ჩვენი სოლიდური და გემოვნებიანი პუბლიკა "ისინდის" თვალშისაცემი წარმატებებისა და შთამბეჭდავი აღიარების კვალდაკვალ ჩახლართულ პერიპეტიებსა და სახიფათო ინტრიგებს გაეცნო, რაც მნიშვნელოვანი საქმის განუყოფელი წესია და ცალსახად ადასტურებს რაოდენ რთულია პოლარულად დაპირისპირებული საზოგადოებრივი გამოცდილების თანხლებით გუნდური მთლიანობის პრინციპი მყარად დაიცვა, საქართველოში ოდითგანვე აქილევსის ქუსლად რომ ქცეულა და მრავალჭირგამოვლილი ქვეყნის გაძლიერებას მუდამ საბედისწეროდ აფერხებს და აზიანებს.

მოკლედ, ჟურნალის ქრონიკის აღწერის კვალდაკვალ "ისინდის" ვირტუალური გვერდის ისტორიის გაშუქების აუცილებლობა ცალსახად გამოიკვეთა. გალაკტიონის თქმისა არ იყოს, "კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი," დრომ აჩვენა, რომ ვირტუალური გვერდის მძაფრი თავგადასავალი მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების ფაქტებით გადმოცემასა და შეულამაზებელ შეფასებას გადაუდებლად ითხოვდა. ქრონიკის სრული, ამომწურავი სურათის შექმნა სხვაგვარად წარმოუდგენელია.

წელან ბედი შემთხვევით არ ვახსენე. "ისინდის" ვირტუალური გვერდის დამაარსებლისა და მისი უცვლელი მმართველის მუშაობის სტილი არასრული ერთი წლის მანძილზე მართლაც სამაგალითო რომ იყო, ჟურნალის ელექტრონული გვერდის გახსნამ ამიტომ აღმაფრთოვანა. ვერასდროს ვიფიქრებდი თუ ასეთი ენთუზიაზმით დაფუძნებული გვერდი, ადმინისტრატორის დაუფარავი სიამაყისა და დაუღალავი ზრუნვის საგანს რომ წარმოადგენდა, თანდათან იატაკქვეშა დაპირისპირების ფონზე საჯილდაო ქვად იქცეოდა და გაყინული კონფლიქტის ხვედრს უპირობოდ გაიზიარებდა. თავიდან საქმე საუცხოოდ აეწყო, ჩვენს თანხმიერ თანამშრომლობას ბზარი არ უჩანდა, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო; ის უსიამოვნო სირთულეები, რაც გიორგი შიშნიაშვილმა ბოლო ორი წლის მანძილზე გადამატარა, "ისინდის" ქრონიკაში ფაქტებითაა გადმოცემული და აქ იმავეს აღარ გავიმეორებ. ერთს დავძენ: ახალგაზრდა კოლეგის ადრინდელი დამსახურებიდან გამომდინარე, შემაჯამებელ წერილში მომხდარი სანახევროდ აღვწერე რათა გუნდში მობრუნებულ ჭაბუკს თავმოყვარეობა არ შელახვოდა და მუშაობის გაგრძელებისას ხელი არ შეშლოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, გაუგებარ მიზეზთა გამო განდგომილი წევრის შემოსარიგებლად მისი მოსახელე ხატის ჩუქება მის წინააღმდეგობრივ რყევას დაასრულებდა (მწერლობაზე გულის მოსაბრუნებლად მას იმდენი ღირსსახსოვარი წიგნი ვუსახსოვრე, ღმერთმა შეარგოს!) და ჩვენ შორის ნანატრ ზავს ჩამოაგდებდა, რაც წარმატებული თანამშრომლობის აუცილებელი პირობაა. ახალგაზრდა პოეტის უსაფუძვლო და ანაზდეული განდგომისას ვირტუალური გვერდის არათანმიმდევრული გაჩერება საკმაოდ გვაფერხებდა და უკან გვხევდა, რაც საველე პირობებში მომუშავე ჟურნალის წინსვლას

ანახევრებდა და მყარი წარმატების კვალდაკვალ ესოდენ აუცილებელ სინქრონულ მთლიანობას ძლიერ დარტყმას აყენებდა. გუნდის ერთიანობის შესანარჩუნებლად თავდაპირველად ვცდილობდი ყველაფერი მარტოს, მასთან პირისპირ დიალოგის დროს მომეგვარებინა და რადგან შეთანხმებას კვლავ არევა მოსდევდა, ბოლოს რამდენჯერმე დაბეჯითებით ვთხოვე საკუთარი პრეტენზიები გუნდის წინაშე ვაუკაცურად გაეცხადებინა რათა მცოდნოდა, მის წინაშე რა დანაშაული მიმიძღოდა, რას მემართლებოდა, ვერაფრით რომ ვერ მოენელებინა; ამ დაუსრულებელი რყევის დროს, რაც საქმეზე უკიდურესად წამგებიანად აისახებოდა, ჩემი ლექსის დამცველს, უსიამოვნებების მიუხედავად კვლავ ურყევი ფავორიტის უფლებებით უხვად რომ სარგებლობდა, (მეწვრილმანე შურისმაძიებლობა არ ვიკადრე და ხელოვნური სირთულეების შექმნის მიუხედავად ახალგაზრდა კოლეგა უფრო მეტად წარმოვაჩინე და დამსახურებული რეპრესიის ნაცვლად პირიქით, გზა უფრო ფართოდ გავუხსენი, გონს რომ მოგებოდა და ძველებური ერთგულება გამოეხატა, რამაც მადლიერების მაგივრად უარესად გააღიზიანა!) ისიც კი შევთავაზე, ჩემი ცოდვების ამსახველი საპროტესტო ტექსტი შეედგინა, რომელსაც ჩვენი შრომით აწყობილ ჟურნალში უყოყმანოდ დავუბეჭდავდი. მოკლედ, სრულ მზადყოფნას ვავლენდი ამ აუხსნელი, უსამართლო და დაუმსახურებლად აბსურდული შინაომისთვის როგორმე ბოლო მომეღო და კვლავ კეთილმოსურნე ატმოსფეროში მშვიდობიანად გვემუშავა. მოლაპარაკებების პროცესში ყველაფერი იოლად გვარდებოდა, გარკვეული დროის შემდეგ კი უთანხმოება ახალი მიზეზით კვლავ თავს იჩენდა და ასე დაუსრულებლად გრძელდებოდა. თვალსადახელშუა ჩემი ლექსის გადამრჩენელი უწყვეტ შინამტანჯველად მექცა, რაც უკიდურესად დაძაბული ვითარების საპირწონედ გაუნელებელ ტკივილსა და იმედგაცრუებას მგვრიდა, რის განმუხტვასაც სხვები მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ. სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, უგვანი პრინციპის მიხედვით ხალისობდნენ და ერთობოდნენ. ბოლოს და ბოლოს ამ "დეტალმა" მიმახვედრა, რომ საკუთარ თავს თავად თუ არ ვუშველიდი, მოსეირეებად ქცეული თანაგუნდელები წამხედურობის ძალით თვითონაც ამეშლებოდნენ და უარეს უსიამოვნებას შემამთხვევდნენ, რაც სამწუხაროდ ასრულდა. მაგრამ ეს თემა ჟურნალის ქრონიკის ისტორიაში განვიხილე, აქ კი ვირტუალური გვერდის დამოუკიდებელ ისტორიას თანმიმდევრულად მივყვები, სიტყვა განზე რომ არ გამექცეს და მკითხველი ზედმეტი წვრილმანების სიუხვით არ გადავღალო.

ვისთვის ამეხსნა, რომ ჩემ მიერ უპირობოდ მხარდაჭერილი წევრი, ვისი პოეტური დებიუტი სწორედ "ისინდში" შედგა (მანამ საკუთარ თავს პოეტად არც კი იხსენიებდა!), ჩემი მყარი ხელშეწყობითა და წახალისებით განვითარდა და საზოგადოებას საუკეთესო ჟურნალის იმედისმომცემ ახალგაზრდა მწერლად მოევლინა, რომლის საქმიანობასაც საჯაროდ მუდამ დადებითად ვეხმაურებოდი, (ფეისბუქის ისინდური პოსტების კვალაკვალ ჟურნალში განთავსებული სტატიები სწორედ ამაზე მეტყველებს) ბოლო ორი წლის მანძილზე (ცხადია, არაპროგნოზირებადი შუალედური მონაცვლეობით: დადებით და უარყოფით პერიოდებს რომ მოიცავდა) გუნება-განწყობის აუხსნელი ცვლილებისთანავე პასუხისმგებლობას გაურბოდა, რომ მისი გაუგებარი პრეტენზიების განტევების ვაცად ჟურნალის ვირტუალური გვერდი იქცა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა მოესურვებოდა, საქმეს მაშინ აჩერებდა და როცა მოუნდებოდა, კვლავ ამოქმედდებოდა. მე კი ამ მყიფე მოცემულობის პირობებში, რაც საქმეს მიათკეცებდა და დახმარების ნაცვლად მდგომარეობას ხელოვნურად მირთულებდა, (არასტაბილური გამოხდომების გამოისობით ფსიქოლოგიურ პრესზე რომ აღარაფერი ვთქვა. მე ხომ წინასწარ არასდროს ვიცოდი, როდის რა გამომიხტებოდა!) მის სახიფათო გრადაციებსა და აუხსნელ არასტაბილობას გაგებით ვეკიდებოდი და დასჯის ნაცვლად კვლავ ძველებური კეთილგანწყობით ვეპყრობოდი; უფრო მეტიც, დანარჩენების აგრესიისგან ყოველთვის კბილებით ვიცავდი, ერთადერთი ახალგაზრდა წევრის შერისხვას ვერიდებოდი, ჯიუტად მწამდა, რომ სასიკეთო მაგალითით მწერლობაზე კვლავ გულს მოვუბრუნებდი. ამასობაში ის ჩემს უპირობო მხარდაჭერას ბოროტად იყენებდა: ერთ დღეს ჟურნალს თავს რომ ევლებოდა და საქმეს მიიყრიდა, გუნების შეცვლისთანავე საპირისპიროდ იქცეოდა. ფაქტია, გუნდის ერთიანობის ფაქტორი სათამაშოდ გაეხადა და სათავისო კონტროლის ბერკეტად ვირტუალურ გვერდს მოხერხებულად იყენებდა. რაც მართალია, ბოლო დრომდე, საქმის შეფერხებისას ფაქტების ყორ-

ღანს სანამ შუბლით არ შევასკდი, ამის დაჯერება საშინლად მიჭირდა; ამ დაუსრულებელი რყევის დროს საბოტაჟის საშიშროების წინ რამდენჯერ ვმდგარვარ! თანაც ვისგან, ვისაც უპირობოდ ვენდე და უსიამოვნებების წილ სამაგიერო არ გადავუხადე და პროვოკაციების მომრავლებისთვის საკადრისად კი არ დავსაჯე, არამედ ძველებური კეთილმოსურნეობით ვექცეოდი და არასწორი გამოხდომების სანაცვლოდ კვლავ ვინდობდი და ვუფრთხილდებოდი! მან ხომ ჩემი რეკორდულად გახმაურებული მებრძოლი ნაწარმოები პლაგიატისგან გაბედულად დაიცვა, რასაც დავიწყება არ ეწერა! ამიტომ უსიამოვნებების ჯაჭვის მიუხედავად ჩემი ლექსის დამცველთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რადგან "მოძმის" მიმართ გამოვლენილი სიკეთე შემდგომში განხორციელებულ სერიოზულ ჩავარდნებსა და შეფერხებებს კვლავ უყოყმანოდ ჩრდილავდა; სწორედ ამიტომ საკმაოდ უსიამოვნო "დეტალზე" თვალი დავხუჭე, ვინაიდან გუნდში დაბრუნებულმა შიშნიაშვილმა მთხოვა, "მოძმესთან" მიმართებისას ეს თემა დამეხურა და თუ რატომ, ამას მკითხველი უმალ მიხვდება, როგორც კი ყველაფერს შეიტყობს. მოკლედ, საქმე ამგვარად წარიმართა: "ისინდში" გაწევრიანებამდე ახალგაზრდა კოლეგამ პირობა მომცა (ღმერთია მოწამე, მე ეს არ მითხოვია !) რომ ლექსის პლაგიატორთა კვალს ბოლომდე მიჰყვებოდა, განზრახვა დავუშალე, რადგან არ მინდოდა ახალბედა, გამოუცდელი ავტორი ჩემ გამო კლანურ პრობლემებს გადაჰყროდა, თუმცა ვინაიდან თავის ნათქვამზე მტკიცედ იდგა, სრული მხარდაჭერა გამოვუცხადე; როგორც კი "ისინდში" გ. შიშნიაშვილის წარმატებული პოეტური დებიუტი შედგა, მან ეს სასიხარულო ფაქტი საკუთარ გვერდზე მხურვალე სამადლობელის ფონზე ზარ-ზეიმით აღნიშნა, შეხვედრისას კი გულდაწყვეტილმა მომიგო, მეგონა ჩემი წინსვლა ახლობლებს გაახარებდათ, მაგრამ მეგობრების ცივი რეაქციიდან გამომდინარე, 200 "ფრენდი" ეგრევე წავშალე, რადგან ვინც ჩემს წარმატებას არ იზიარებს, მასთან ურთიერთობა არაფერში მჭირდებაო. აქვე მიამბო, რომ ჟურნალ "ანეულის" რედაქტორს, პოეტ თამარ შაიშმელაშვილს როდესაც ჰკითხა, პოეტად მონათვლის ფაქტი მან რატომ არ მიულოცა, ამ უკანასკნელმა უხეშად მოუჭრა: პოეტური დებიუტი იმიტომ არ მოგილოცე, რომ იკა ქადაგიძესთან ჩემი ანგარიში მაქვს (დიდი ხნის ნაცნობობისა და მოკავშირეობის ფონზე, რაც ჩემი მხრიდან შაიშმელაშვილისა და მისი ჟურნალის"ანეულის" მყარ მხარდაჭერას ოფიციალურად ადასტურებდა, რისი გადამოწმებაც საყოველთაოდაა შესაძლებელი, მან "ისინდის" გამოცემისთანავე "რატომღაც" ახდილი მტრობა გამომიცხადა. "ისინდის" ერთი წლის თავზე "მადლიერმა მოკავშირემ" "სოლიდარობის ნიშნად" თავისი გუნდის წევრის,პოეტ ჯუბა ღებელის საღამოზე, სადაც დიდი ამბით მთელი გუნდი მიგვიწვიეს, საზოგადოების წინაშე დემონსტრაციულად არ მომცა სიტყვა; გ. შიშნიაშვილი ამ საღამოს ესწრებოდა და საკუთარი თვალით იხილა "ისინდის" გამიზნული იგნორირება. ეს უკადრისი ფაქტი ცალკე წერილში"კონკურენცია ქართულად" ფაქტებით გავახმაურე და აქ მასზე აღარ შევჩერდები.) და ეს შენი საქმე არ არისო, უკმეხად დაუზუსტა. ახალბედა წევრმა გულდაწყვეტით შემომჩივლა, თუმცა შაიშმელაშვილთან რა სახის ურთიერთობა აკავშირებდა, ეს არც შემდგომში დაუზუსტებია; მეტიც, "ჩათში" ამ უტაქტო შელაპარაკებიდან მცირე ხნის შემდეგ იგი "ანეულის" წარდგენას დაესწრო, სადაც შაიშმელაშვილის ლექსი საჯაროდ წაიკითხა;-გამიგეთ, სხვა გზა არ მქონდაო, წინააღმდეგობრივი "დეტალით" გაოცებულებს (ამ საუბარს მარსიანი ესწრებოდა) თავისი საქციელი "ამ არგუმენტით აგვიხსნა." "მოძმის" დაცვიდან ოთხი თვის თავზე კი გიორგიმ შეხვედრა მთხოვა და აღელვებულმა განმიცხადა, რომ "მოძმის" პლაგიატორის კვალს მიაგნო და იმ საიტის ადმინისტრატორის ("იბერიული ერთობა") მეგობრებში ერთადერთი მწერალი თამარ შაიშმელაშვილი დამისახელა; ამ ამბით უსიამოდ გაოგნებულს (შაიშმელაშვილის ფერისცვლების მიუხედავად თუნდაც კონკურენციის მიზნით ვერასდროს წარმოვიდგენდი , რომ ის ამგვარ რამეს იკადრებდა!) ჩემი ლექსის დამცველის ნათქვამში ეჭვი არ შემიტანია მით უფრო, რომ "ისინდის" პარალელურად შაიშმელაშვილი ჩვენთან გაწევრიანებულ შიშნიაშვილთან მიმართებისას მოულოდნელ ყურადღებას, რბილად რომ ვთქვათ, ესოდენ უცნაურად ავლენდა. ახალგაზრდა წევრის გაუგებარი და დაუზუსტებელი ფრაზა:" გამიგეთ, სხვა გზა არ მქონდაო", მოწმობდა, რომ თავსატეხი ჩვენთვის უცნობ წახნაგში იდო, შიშნიაშვილი რატომღაც არაფრისდიდებით არ გვიმხელდა, რასაც მოძმის პლაგიატორის მოძებნა ზედ სწრა-

ფად დაერთო. მოგვიანებით განვითარებული მოვლენების ფონზე, შაიშმელაშვილის მხრიდან საქვეყნოდ "ისინდის" იგნორირებამ ჩვენ შორის არსებული დაძაბული ვითარება უარესად გაამწვავა; სწორედ ამ ვნებათაღელვის დროს, სადაც ბირთვის წევრებს საჯარო შეურაცხყოფაზე გუნდის ღირსების დასაცავად შესაფერისი რეაქცია უნდა გამოეხატათ, შიშნიაშვილმა "ისინდის" მხარდაჭერის ნაცვლად მოულოდნელად ფირფიტა შეცვალა და უკმაყოფილო ტონით მომწერა, რომ შაიშმელაშვილის გაკრიტიკება არ მოსწონდა; ამ ასპროცენტიანი გარდასახვიდან საკმაოდ მალე მან გუნდი დატოვა და უყოყმანოდ წამშალა, როგორც კი შეიტყო, რომ მომხდარს, როგორც ორმაგი სტანდარტის გამომხატველ თამაშს წერილობით გავახმაურებდი; ამ რეპრესიაში მოჰყვა "მოძმის" ვიდეოჩანაწერი, რომელსაც ჩვენთვის ისტორიული ღირებულება ჰქონდა, რადგან ჟურნალის პირველ წარდგენაზე იყო გადაღებული და სანამ შიშნიაშვილი განგვიდგებოდა, მის გამოქვეყნებას "ისინდის" ვირტუალურ გვერდზე თვითონვე ხალისით გვთავაზობდა, "ისინდის" დატოვების შემდეგ კი ვიდეო მასთან მძევლად დარჩა, სანამ 2019 წელს ხანგრძლივი თხოვნით გაბეზრებულმა არ ვუთხარი, რომ მისი საქციელი ეჭვს ბადებდა, და უთანხმოების პერიოდში მას რა ბედი ეწია, ამ კითხვას საჯაროდ დავუსვამდი, რადგან ვიდეორგოლს, მრავალჯერადი თხოვნის მიუხედავად უკან არაფრისდიდებით მიბრუნებდა. ჩემი ლექსის დამცველმა მხოლოდ ამ ტექსტის შემდეგ გადმომცა ესოდენ გაჯანჯლეული "მოძმის" ვიდეოჩანაწერი, რომელსაც მკითხველთა თხოვნის მიუხედავად საკუთარ გვერდზე ვერ ვდებდი, ვინაიდან ხელთ არ მქონდა! სწორედ ამ პერიოდში შაიშმელაშვლი მის პოსტებს აქტიურად იწონებდა, რასაც მანამ ადგილი არ ჰქონია, თუმცა შემოდგომაზე, როგორც კი გ. შიშნიაშვილი "ისინდში" დაბრუნდა, ამ სიამტკბილობას ბოლო მოეღო და თ. შაიშმელაშვილმა მე და ჩემი ლექსის დამცველი ეგრევე ქურდულად დაგვბლოკა! ამის თაობაზე შემორიგებულ წევრს ჩემთან რატომღაც სიტყვა არ დასცდენია; სამაგიეროდ, დაზავებისთანავე მთხოვა, შაიშმელაშვილის თემა სამუდამოდ დაგვეხურა (არც ამჯერად ახსნა მასთან რა ურთიერთობა აკავშირებდა!) რათა "ისინდში" თანამშრომლობა მშვიდად გაეგრძელებინა; ცხადია, მას ანგარიში გავუწიე და საჩოთირო კითხვებით არ ჩავძიებივარ; არც მოგვიანებით მიკითხავს ზურგსუკან რა ხდებოდა, როდესაც თავის ახალ ფეისბუქ გვერდზე ჩემი არ იყოს, შაიშმელაშვილსაც მეგობრობის თხოვნა გაუგზავნა, რადგან რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო პერიპეტიების მიუხედავად ჩვენთან დაბრუნება გადაწყვიტა და საგანგებოდ მთხოვა მისთვის უხერხულ საკითხს აღარ შევხებოდი, რა ძალა მადგა წარსულის უსიამო აჩრდილის გამოძახებით აღდგენილი თანამშრომლობა ახალი უთანხმოებით ხელოვნურად გამერთულებინა, რითაც გუნდის მთლიანობა დაზარალდებოდა. მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო; მე კი ტაქტიანად გავჩუმდი, რომ შიშნიაშვილის მეორე განდგომისას ჩვენმა იმჟამინდელმა თანაგუნდელმა ბადრი პატაშურმა ერთ-ერთ შეკრებაზე მე და ფიზიკის პროფესორს, თემურ ნადარეიშვილს უცნაური ისტორია გვიამბო; კერძოდ, ისინდის ქეიფზე მოსალხენად მომავალი თანაგუნდელები თურმე ქუჩაში შემთხვევით შაიშმელაშვილს გადაეყრნენ, რომელმაც ამ მოულოდნელი შეხვედრით შეცბუნებული შიშნიაშვილი გვერდზე გაიხმო და დიდი ხნის განმავლობაში ოროსანი მოწაფესავით თავჩაქინდრულ ახალგაზრდას ბეჯითად ტუქსავდა; - იმდენხანს გააჩერა, მაგრად გვაგვიანდებოდა, ამიტომ გიორგის გავძახე, წამოსულიყო, რადგან შაიშმელაშვილი საუბრის დასრულებას არ გეგმავდა, ჟესტიკულაციაზე ეტყობოდა, ძალიან აღელვებული, გაჩუმებულ ბიჭს საქმეს ურჩევდა; ბოლოს როგორც იქნა, გამოუშვა და სახეაჭრილმა გაღიზიანებით ამოთქვა: ვერ იქნა და ამ ქალს თავი ვერ დავაღწიეო!-

არც ეს ამბავი მიხსენებია ჩვენს თავგზაარეულ წევრთან, ცეცხლზე ნავთი რომ არ დამესხა რათა უარესად არ ამემღვრია; როგორც ყოველთვის, სიტყვას ერთგულად ვიცავდი და კოლეგას უსიამოვნებისგან ძველებურად ვიფარავდი; დაე მკითხველმა თავად განსაჯოს, ამ გასაიდუმლოებულ ურთიერთობას რა მუხტი ასაზრდოებს; აქ სიკეთე და კოლეგიალური უანგარობა რომ ერიოს, შაიშმელაშვილი ახალგაზრდა შემოქმედს თავის ჟურნალში ერთხელ მაინც დაბეჭდავდა ამდენი ხნის ნაცნობობის მანძილზე; მე ჩემდათავად დასამალი რომ არაფერი მაქვს, ამათი გამომყენებლური გარდასახვების ამიტომ გამკვირვებია: ამდენი იატაკქვეშა, მზაკვრული ინტრიგის ხლართვას გაცხადებული მტრობა ან

წარმატებული შემოქმედებითი ალიანსი არ ჯობია ვიდრე დაუსრულებელი ქვებუდანობა, სხვისი ხელით ნარის გლეჯისა და ზურგიდან ლახვრის ჩაცემის უსასრულო აზარტს რომ ააშკარავებს, რაც სულ მცირე, ნდობის ბოროტად გამოყენებით ჯანსაღ ადამიანურ ურთიერთობებს უყოყმანოდ ასამარებს.

დროა გვერდის ისტორიას დავუბრუნდეთ; ამ არაპროგნოზირებადი თვითნებობის შემყურე თანაგუნდელებმა გვერდის ადმინისტრატორის შეცვლა მირჩიეს, პირდაპირ მითხრეს, რომ სუბორდინაციის რღვევის აღსაკვეთად მის ნაცვლად საიმედო ადამიანი მომეძებნა და დამესაქმებინა, რაც პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ გუნდის სასარგებლოდ გადაწყვეტდა და ყველაფერს მწყობრში ჩააყენებდა. ამის თაობაზე როდესაც ვესაუბრე, გულწრფელი სინანული გამოხატა, აღიარა, რომ საიტის მიტოვება და სხვის ხელში გადაცემა ესიკვდილებოდა; ამიტომ აღვუთქვი, რომ ძველებური მუყაითობის გამოვლენის შანსს ვაძლევდი და ამ ფონზე სხვა ადმინისტრატორით არასდროს ჩავანაცვლებდი. მეტიც, რომ უთანხმოების განახლების შემთხვევაში მერჩივნა თავისი დაარსებული გვერდი თვითონ გაეუქმებინა, ამის თაობაზე არანაირ პრეტენზიას არ გამოვთქვამდი, რადგან სხვისი შრომით არასდროს მისარგებლია და არც ამჯერად ვაპირებდი მისი გარჯითა და ოფლით შექმნილი ხარისხიანი გვერდი სხვისთვის გადამებარებინა და თვითონ თამაშგარე მდგომარეობაში უსაქმოდ, ყოველმხრივ შეურაცხყოფილი დამეტოვებინა. ასეთ ტკივილს ვერასდროს მივაყენებდი ადამიანს, ვინც თავის დროზე ჩემი ლექსი პლაგიატისგან ვაჟკაცურად და უანგაროდ დაიცვა. სწორედ ამ სიკეთის ხათრით მერჩივნა, რადგან ჩემი პირობები აღარ აკმაყოფილებდა, მშვიდობიანად გავზავებულიყავით, მომავალში ჩემთვის თვალი პატიოსნად რომ გაესწორებინა და სალამი სულმოკლე მტერივით არ დაემადლებინა. ღმერთია მოწამე, არასდროს მიკადრია უმცროსი თანაგუნდელისთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა და იმაში დამედანაშაულებინა, რომ მისი პრეტენზიების სათავე ეგებ იმაში მდგომარეობდა, გარჯის კვალდაკვალ ანაზღაურება რომ არ ჰქონდა, ჰონორარს ვერ ვუხდიდი, რომ უანგარო შრომა მობეზრდა, ჩვენ ხომ ეროვნული საქმის დასაცავად ფულს აქეთ ვიხდიდით; ამ მიზეზით ბოლო თვეებში გადაუხდელი თანხის მოტანა ვალად არ შემიწერია და არც შემიხსენებია. არადა, სხვები დაჟინებით მთხოვდნენ მისთვის ამის გამო პასუხი ღიად, ყველას თანდასწრებით მომეთხოვა, რომელი წითელი კოჭი ეგ ბრძანდება, ჟურნალის თანხა შერჩესო, უწყვეტად მიჩიჩინებდნენ, რაზეც კატეგორიული უარი განვაცხადე და ამ თემის საჯარო განხილვა ავკრძალე; მეტიც, დაუფარავი უკმაყოფილების ფონზე განვაცხადე, მზად ვიყავი მისი ვალი თავად დამეფარა, ვინაიდან ვიცოდი, მარკეტში ახალგაზრდებს უღმერთოდ ასაქმებდნენ და რაიონიდან ჩამოსულს თავი ძლივს გაჰქონდა; არც მე მილხინდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძნელბედობისას ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა და გამძლეობა მეთაურს ეკისრება, მან კოლეგიალობის მაგალითი საქმით ყველაზე ხშირად უნდა დაამტკიცოს და ყველაფერი ყველაზე მეტი გაიღოს, რადგან ეს წინამძღოლის უცვლელი მოვალეობაა. ეს ჩემი ცხოვრების დევიზია, რისთვისაც არასდროს გადამიხვევია! აქვე დავძენ, გუნდში გაწევრიანების წინ კანდიდატები მოგვიანებით წარმოქმნილი სირთულეების თავიდან ასაცილებლად წინასწარ ინფორმირებულები არიან რა პირობებში მოუწევთ მუშაობა, შესაბამისად, ყველა საქმის კურსშია რა ვითარებაში კონკრეტულად რა ფუნქცია ეკისრება, რაც ყალბ გარიგებასა და სიცრუეს (ჟარგონულად გადაგდებას) სათავეშივე გამორიცხავს. სიმართლეს გაუმარჯოს, ამ თემას ჩემგან დამოუკიდებლად თვითონვე შეეხო და თქვა, რომ დაგროვილ თანხას (45 ლარს) არ შეირჩენდა და აუცილებლად გაისტუმრებდა, საკუთარი ხარჯით გამოცემული ჟურნალი რომ არ დაეზარალებინა. უწყვეტი უსიამოვნებების მიუხედავად მის სიტყვებში ეჭვი არ შემიტანია, რადგან მისი ერთგულება, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობა არასდროს დამვიწყებია, რისი წაშლაც ბოლოდროინდელმა ექსცესებმაც ვერ შეძლო. ვცდილობდი ბნელს ნათელი არ გადაეფარა და მასაც იმავეს ვურჩევდი თუკი გუნდში დარჩენა სერიოზულად უნდოდა, რაც სამომავლოდ სახიფათო თამაშს უყოყმანოდ გამორიცხავდა, რადგან გუნდის ერთიანობის ამგვარი გამოცდა მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს; რა ძნელი მისახვედრია, რომ ნამდვილი მოკეთე, ვისთვისაც ეროვნული მწერლობა და კოლეგიალობა მნიშვნელოვანია, ასე არასდროს გარისკავს და ბირთვს ამგვარი დარტყმის ქვეშ არასდროს დააყენებს. მოკლედ, ორი წლის მანძილზე ახალგაზრდა, ნიჭიერი კოლეგის კეთილ-

განწყობის დასაბრუნებლად ბევრი ვიბრძოლე, საბედნიეროდ, ამ მხრივ თვითონაც ანალოგიური მცდელობა გამოამჟღავნა, საბოლოოდ ამან სასურველი შედეგი გამოიღო. ორმხრივი ინტერესის გარეშე ხომ არასდროს არაფერი გვარდება; ძნელბედობისას სისასტიკის გამოვლენა უადგილოდ მიმაჩნდა, რადგან ახალთაობელი პოეტი უკან მობრუნებისთანავე საქმეს ძველებური პასუხისმგებლობით მოეკიდა, რაც არა მხოლოდ გვერდის, არამედ ჟურნალის ტექნიკურ მხარეზე სათანადოდ აისახა.

გარდამტეხმა ჟამმა კორონოვანი სინამდვილის დადგომამდე ჩამორეკა. წლის დასაწყისში გამართულმა კრებამ ცხადყო, "ისინდის" შემადგენლობა კარდინალურ ცვლილებას საჭიროებდა, რასაც სამწუხაროდ გაუთვალისწინებელი მუხანათობის პერიპეტიების გარეშე არ ჩაუვლია. ის ფაქტი, რომ გადამწყვეტ კრებაზე ყველაზე უმცროსი თანაგუნდელი არ გამოცხადდა, უსიამო მოულოდნელობად აღვიქვი (რადგან მანამ კრება არასდროს გაუცდენია). თავდაპირველად მან შემატყობინა, რომ ზუსტად არ იცოდა, წლის საეტაპო სარედაქციო შეხვედრაზე მოვიდოდა თუ არა, დათქმულ დღეს- 15 იანვარს, შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე უცბად დამიკავშირდა და შეკრების დროის დაზუსტება მთხოვა, თუმცა ბოლოს მოსვლა რატომღაც გადაიფიქრა და როდესაც გამოუცხადებლობის მიზეზი ვკითხე, არაფერი აუხსნია, ვერ მოვალო, მოკლედ მომიჭრა, ეს იყო და ეს. შესაბამისად, მიმდინარე მოვლენების პროცესში, როდესაც არასახარბიელო ვითარებიდან გამომდინარე, ფაქტებით დგინდებოდა, თვალშისაცემი წარმატების ფონზე ჟურნალის საკეთილდღეოდ ყალბი სიტყვების მიღმა ქმედების გათვალისწინებით სინამდვილეში ვინ რა მიზანს ისახავდა, ბუნებრივია, ჟურნალის წევრების ბედი წყდებოდა; ამ ყოვლად ორჭოფული და რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი პოზიციის გამოვლენის შემდეგ, გუნდში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად გიორგი შიშნიაშვილისთვის, ვისაც ყველაზე მებრძოლი ეროვნული ჟურნალის ტექნიკური საქმეების მოგვარების პარალელურად ვირტუალური გვერდის მართვა ებარა, აღარ მიმიმართავს. ძნელბედობისას, როდესაც თანაგუნდელი ყველაზე მნიშვნელოვან კრებაზე არ ცხადდება და თავის დაუსწრებლობას ჯეროვნად არ ასაბუთებს, სულ მცირე, უსიამო ეჭვებს არ აბათილებს, ხმაურიანი საქმის გარჩევა ზედმეტობად მიმაჩნია, ყველაფერი ისედაც ცხადია. გუნდის ერთიანობის დაცვისას ყველას საკუთარი მოვალეობა აკისრია და ვინც გზას აუხნელად გადაუხვევს, მისი პოზიცია გასაგებია. ამასობაში დაძაბული ინტრიგების ხლართის ჩაჭრისთანავე (ავგიასის თავლა ერთბაშად გაიწმინდა) ჟურნალის ახალი ნომრის გამოშვების დრო წამომეწია. უამრავი სიძნელის წინაშე პრაქტიკულად მარტო აღმოვჩნდი (ფიზიკის პროფესორი, თემურ ნადარეიშვლი შეძლებისდაგვარად მეხმარებოდა, თუმცა ტექნიკურ მხარეს, რასაც მანამ გ.შიშნიაშვილი სათანადოდ აგვარებდა, სიძნელე დაემუქრა, რამაც დამატებითი, საკმაოდ სერიოზული საზრუნავი გამიჩინა), თუმცა საბოლოოდ წინაღობებს ჩვეული ენერგიულობით გავუმკლავდი. თებერვლის ბოლოს, მამაჩემის რექვიემის პოსტზე გ. შიშნიაშვილმა მოწონების გარდა გულისხმიერი კომენტარი დატოვა, რაც მისი მხრიდან ურთიერთობის აღდგენის სურვილსა და ხაზგასმულ კეთილგანწყობას მოასწავებდა. შესაბამისად, მისი პოზიციის გასარკვევად ახლობლურად ვკითხე რამდენად მზად იყო ჩვეული საქმიანობის გასაგრძელებლად; კრებაზე მომხდარი გარდამტეხი ცვლილებების თაობაზე მასთან სიტყვა არ დამცდენია, რადგან ამ დროს მხარდაჭერის ნაცვლად გვერდზე გადგომა არჩია. მომხდარს საჯაროდ არც ჩემს გვერდზე ვახმოვანებდი, ვინაიდან ისინდის შემაჯამებელი ქრონიკის გამოქვეყნებამდე ამ თემის საქვეყნოდ განხილვა ნაადრევად მიმაჩნდა. აქვე დავაზუსტებ, კრებაზე გამოუცხადებლობის გამო რედკოლეგიიდან ახალგაზრდა წევრის გარიცხვას არ ვჩქარობდი, სანამ მისი არყოფნის მიზეზს არ დავაზუსტებდი. თუმცა შექმნილი ვითარების გათვალისწინებით (მისი ორჭოფობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, დანარჩენების მსგავსად ამბოხებული მტერი იყო თუ საიმედო მოყვარე) მარტის ნომერში მისი წერილის გამოქვეყნება გადავავადე ; ცხადია, თუნდაც გუნდისადმი ღალატის დადასტურებისას სიტყვას არ გავტეხდი , როგორც ყოფილი წევრების შემთხვევაში მოვიქეცი და მომხდარის მიუხედავად მათი ნააზრევი ჟურნალიდან არ ამოვაგდე, რადგან პირუმტკიცობა არ მახასიათებს და საქმეს თუნდაც ესოდენ მზაკვრული და ორგანიზებული ანგარიშსწორების გამო არასდროს დავაზარალებდი. წლების გადასახედიდან ჩემი ეს თვისება მტერ-მოყვარეს მშვენივრად

მოეხსენება; არც თუ სახუმარო გამოცდილების თანახმად, ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება არ მომდგამს და ფაქტია, ახალგაზრდა კოლეგამ სწორედ ამ ხელსაყრელი ვითარებით ისარგებლა და დროულად გამოჩნდა. მართალია, საჯაროდ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გავრცელებულიყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი აშკარად შეამჩნევდა, 2020 წლიდან ჩემს გვერდზე მუხანათი ექსთანაგუნდელები სიახლოვეს აღარ ჭაჭანებდნენ. ცხადია, ეს "დეტალი" არც გონებაგამჭრიახ წევრს გამორჩენია მხედველობიდან. ამიტომ შეხვედრა მთხოვა, სადაც მომხდარი დაუფარავად ვუამბე. თავის მხრივ მან აღნიშნა, რომ ამბოხებულ ქალებთან არაფერი აკავშირებდა, (თუმცა მაინც არ აუხსნია, კრება რა მიზეზით გააცდინა) იმის მიუხედავად, რომ ისინი საპირისპიროს ამტკიცებდნენ და ამის დამადასტურებელ საბუთად დ. კახიანისადმი მის მიერ მიძღვნილ ლექსს იქედნურად აფრიალებდნენ. გულახდილი დიალოგის დროს მას ჩვეული გულწრფელობითა და პირდაპირობით გავანდე, რომ შემდეგ ნომერში, ჟურნალის სამი წლისთავთან დაკავშირებით ჩემი შემაჯამებელი ქრონიკა "ისინდის" ისტორიას - დაარსებიდან დღემდე ფაქტებით აღწერდა და უმოკლეს დროში საზოგადოება მუხანათური ღალატის ამბავს შეულამაზებლად შეიტყობდა. აქვე დავაზუსტე, რომ სიმართლეს შვილის გამოც არ გადავუხვევდი, რადგან მიუკერძოებლობა მავალდებულებდა მომხდარი ზუსტად გადმომეცა. ზოგადად ფაქტების გაყალბება მიუტევებელი დანაშაულია, მით უფრო, როდესაც ეროვნული ჟურნალის ამსახველ ისტორიას აღწერ, რაც სამომავლო კვლევა-ძიებისას დოკუმენტის მნიშვნელობას იძენს. ამ გარემოებაზე ყურადღებას რატომ ვამახვილებ, გულისხმიერი მკითხველი ადვილად მიხვდება. მოკლედ, ხანგრძლივი და რაც მთავარია, გულწრფელი დიალოგის შემდეგ ახალგაზრდა კოლეგამ მხარდაჭერა აღმითქვა და აქედან გამომდინარე, საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად მთხოვა, ჩემს გვერდზე საჯაროდ განმეცხადებინა, რომ ის გუნდში კვლავ "ისინდის" ტექნიკური საქმეებისა და ვირტუალური გვერდის უცვლელ მმართველად მოიაზრებოდა. სიტყვა დაუყოვნებლივ შევასრულე. მისი განდგომისას გაჩერებული გვერდი, რომელსაც დროდადრო ახალი პოსტების გამოსაქვეყნებლად ვნიშნავდი, საიტის ფუნქცია რომ შენარჩუნებულიყო და ხანგრძლივი უმოქმედობა თავიდან ამეცილებინა, ადმინისტრატორის დაბრუნებისთანავე კვლავ გააქტიურდებოდა. ამიტომ მას შესაბამისი დავალება მივეცი. ოფიციალური განცხადებიდან მესამე დღეს პარადოქსულ ფაქტს შევეჯახეთ: "ისინდის" ვირტუალური გვერდი უგზოუკვლოდ გაქრა. დამთხვევა სათავეშივე გამოირიცხა, გვერდი იმდენად სასწრაფოდ, პირდაპირ ცხელ კვალზე გააუქმეს. ტექნიკური ტერმინების მნიშვნელობა განზე რომ გადავდოთ, ძალზე უსიამოვნო ფაქტს შევეჯახეთ; კიბერშეტევა სახეზე იყო და ჩვენ წინააღმდეგ რა ტიპის ტექნიკური სანქცია გამოიყენეს: დაბლოკვა, წაშლა, გვერდის დამალვა თუ გატეხვა, ფაქტი ცალსახად ღაღადებდა, რომ "ისინდის" ვირტუალური გვერდი, რომელიც მანამ ხელშეუხებელი იყო, თავისი დაარსების ზუსტად ორი წლისთავზე (გვერდი 2020 წის 6 მარტს "გაქრა",) საგანგებოდ, ჩემი საჯარო განცხადების გაჟღერებიდან მესამე დღეს წაშალეს! ამ სპეციალურ კიბერშურისძიებას შემდეგი გარემოება უძღოდა წინ : დათქმულ დროს მასალის შეფერხებით გაკვირვებულმა ახალშემორიგებულ გ. შიშნიაშვილს ვკითხე, საქმე რა მიზეზით ჭიანურდებოდა; მან შესანიშნავად უწყოდა, ნახევარწლიანი პაუზის დროს მასალა რომ მოზღვავდა, რაც მისგან დაუხანებელ აქტიურობას ითვალისწინებდა; როდესაც ოპერატიულობით გამორჩეულმა გ. შიშნიაშვილმა მითხრა, რატომღაც გვერდზე ვერ შევდივარ, ალბათ ადმინისტრაციული პრობლემაა, ყველაფერს გავარკვევო და რადგან საქმე ადგილიდან არ დაიძრა, შეკითხვა გავუმეორე, მერეღა დააზუსტა, გვერდი უმოქმედოდ რომ იყო, ალბათ ადმინისტრაციიდან ამიტომ დაბლოკესო. ამბოხებული ქალები ამას ვერ შეძლებდნენ, რადგან ინტერნეტში არ არიან (ამბოხებულთგან ერთადერთი რ. ჭანტურიშვილი ფლობდა ფეისბუქს, სადაც იმდენად იშვიათად ჩნდებოდა, სალაპარაკოდაც არ ღირდა) და ამდენად, ამგვარ ოპერაციებში ვერ ერკვევიანო, რომ დააყოლა, გულმა რეჩხი მიყო. ხელაღებით არავის დადანაშაულებას ისედაც არ ვგეგმავდი, მაგრამ ფაქტი ჯიუტი იყო: გუნდში ზუსტად მისი დაბრუნებისთანავე ვირტუალური გვერდი მწყობრიდან საგანგებოდ გამოიყვანეს. კიდევ ერთი "დეტალის" დაზუსტება აუცილებელია: პაროლი მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით. მე გვერდის წაშლა ხელს ნამდვილად არ მაძლევდა, მით უფრო გიორგის, რომელმაც მას ამდენი შრომა შეალია; თანაც ახლა, როდე-

საც გუნდში დაბრუნებისთანავე გვერდის გააქ-ტიურება და მხარდაჭერა მხურვალედ აღმითქვა და უცებ, ყველაფერი პირუკუ შეტრიალდა! ბოროტმა ხელმა "ისინდის" გვერდი განგებ წაშ-ალა, რითაც ჩვენი ჟურნალისადმი ხაზგასმული მტრობა მავნებლური ქმედებით საჯაროდ დაა-დასტურა, რაც მოტივის გარეშე უბრალოდ შეუ-ძლებელია. ბოროტგანზრახველმა ჩვენი ნაშრომ-ნაწვალები ხელიდან დაუნანებლად გამოგვაცალა რათა თანხმიერი მუშაობის რიტმი კვლავ დაერ-ღვია და ერთმანეთს ახლა ამის გამო წავკიდე-ბოდით. ჩვენ წინ საკმაოდ ვერაგული ჩანაფიქრი გადაიშალა. ეს სახიფათო ფაქტი მოწმობდა, "ისინ-დის" წინსვლით გააფთრებული მოწინააღმდეგე ჩვენს გასამწარებლად და გუნდის დასაშლელად წინასაიუბილეოდ კრიმინალურ მეთოდსაც არ დაერიდა! რომ კიბერშეტევის სახით წერტილო-ვანი დარტყმების სერია გრძელდებოდა, ვიღაც ამრევი მოკეთე სულის მოთქმის საშუალებას არ გვაძლევდა. იატაკქვეშა მუხანათობის აღკვეთის კვალდაკვალ "ისინდის" გვერდის წაშლა რიგით მორიგი და არანაკლებ ძლიერი დარტყმა გამოდ-გა, ჩვენგან დამატებით ძალისხმევასა და ურ-ღვევ ერთსულოვნებას რომ მოითხოვდა! ემოცი-ურ კონტექსტს რომ თავი გავანებოთ; განადგურებულ გვერდს ზედმეტი ვაივიშით აღ-არაფერი ეშველებოდა, რის გამოც გამოსავალი სწრაფად უნდა მოგვეძებნა, რაც ახალი გვერდის დაარსებას ითვალისწინებდა. ჩვენი ქმედება ცხა-დყოფდა, რომ კიბერშეტევა ვერ გაგვაჩერებდა და ვერც ფსიქოლოგიურად დაგვაბნევდა და დაგვაკომპლექსებდა, მით უფრო "ისინდის" წინს-ვლას ვერ შეაფერხებდა; მოკლედ, უხილავი მოწ-ინააღმდეგისთვის(ეჭვიც არ მეპარება, რომ ის ახ-ლობელია, ვინც ჩვენს სამზარეულოში მშვენივრად ერკვევა!) დროულად უნდა გვეჩვენებინა, რომ მზად ვიყავით ერთიანი ძალით საიტი აღგვედგი-ნა და მტერი ძირგამომთხრელი საქმიანობით ვე-რაფერს დაგვაკლებდა. ამავდროულად გაგვერკვია კიბერშეტევა კონკრეტულად ვინ განახორციელა და უსაფრთხოების გარანტიის მოსაპოვებლად ვერაგი შურისმაძიებელი გამოშკარავების მუქა-რით შევეშინებინა რათა უგვან განზრახვაზე ხელი აეღო და სამუდამოდ ჩამოგვშორებოდა. ეს მის-ია ჩვეულებისამებრ ჩემს ბასრ კალამს უნდა ეტვირთა. მანამ კი კვლევა-ძიების წარმოების პარალელურად შემორიგებულ თანაგუნდელსა და ადმინისტრატორს გვერდის ოპერატიულ აღდგე-ნასა და უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. ამ არასასურველი მოცემულობის გათვალისწინებით ძალაუნებურად კვლავ საბრძოლო პოლიგონზე აღმოვჩნდით. ყველაზე უკეთ ექსტრემალური ვი-თარებისას დგინდება, ვისი ნდობაა შესაძლებელი ან პირიქით. ამდენად, გ. შიშნიაშვილს "ისინდის" ერთგულების დასამტკიცებლად "დამატებითი" შემთხვევა სწრაფად წამოეწია. ამასობაში ჩემი გონება გამალებით მუშაობდა და ადგილობრივ შურისმაძიებელს დაუცხრომლად ეძებდა. არასახ-არბიელო მოცემულობის შეფასებისას სიმართლე რომ ითქვას, კოლეგის პასუხმა გამაკვირვა; გვერდის უმოქმედობის თარიღად ნახევარწლიანი ვადა ხანმოკლე მეჩვენა, ადმინისტრაციას გვერდის გასაუქმებლად ეს საბაბი რომ მოემიზეზებინა და ჟურნალის გვერდი გაუფრთხილებლად მაინცდა-მაინც მისი დაბრუნებისას დაებლოკა. ჩემი პირა-დი გამოცდილება საწინააღმდეგოზე მეტყველებ-და. სახელდობრ, 5 წლის წინ "ყივჩაღიადის" ვირტუალური გვერდი გავხსენი, სადაც ბარემ სამი წელია, არ შევსულვარ, შესაბამისად იქ არც ახალი მასალა დამიმატებია; ამასწინათ გვერ-დი ძველი წერილის სანახავად გავხსენი და ყველაფერი უცვლელად დამხვდა; იგივე ვითარე-ბაა ჩემს ბლოგზე, რომელიც ოთხი წელია უმოქმე-დოდაა, მაგრამ ამის გამო არც "ყივჩაღიადა " და არც ჩემი პირადი ბლოგი ადმინისტრაციას არ გაუუქმებია. აქედან გამომდინარე, ჩამჭრელი კითხვა ძალაუნებურად ჩნდება: რაღა მაინცდა-მაინც ჩვენი ჟურნალის ვირტუალური გვერდი წაშალა (ისიც ჩვენთან შეუთანხმებლად და აუხს-ნელად) ადმინისტრაციამ, რომელიც დაარსებიდან სულ რაღაც ორ წელიწადს ითვლიდა? თუ მაინ-ცდამაინც, საიტი სრულ პასიურობას არ დაქვემ-დებარებია; ზემოთაც ვახსენე, რომ აქ დრო-დადრო ადმინისტრატორის დაბრუნებამდე ახალ ისინდურ პოსტებზე გვერდს თავად ვნიშნავდი, რაც საიტზე შესაბამისად აისახებოდა. ადმინის-ტრაციის შერჩევითობა რაღა მაინცდამაინც მა-შინ გამოვლინდა, როდესაც გ. შიშნიაშვილმა გვერ-დი კვლავ აამუშავა? რაღა მაშინ სწვდნენ ყელში და ხალისით დაფუძნებული გვერდი უკანდაბრუნებისას წაუშალეს, როდესაც მტერ-მოყვრის დასანახად გააქტიურდა?! კიდევ ერთი "დეტალი", რაც ამ თეორიას თავდაყირა აყენებს და აბათილებს: დაარსებიან ორი წლისთავზე "ისინდის" ვირტუალური გვერდი ამ შემთხვევამ-დე ანალოგიურად ორჯერ იმავე ინტერვალით

(ნახევარ წლით) გაჩერდა (გიორგი მაშინაც განდგომილი იყო), მაგრამ ამ მიზეზით არავის გაუუქმებია, მითუმეტეს, რომ მაშინ ჩემს პოსტებზე ვირტუალურ გვერდს არ ვნიშნავდი. ეს კი ცხადყოფს, რომ ასეთი დამთხვევა გამორიცხულია და გვერდი საგანგებოდ წაშალეს. ცალკე არც თუ სახუმარო საკითხია,მისი დამფუძნებელი და უცვლელი ადმინისტრატორი კიბერშტევის ვარიანტს თუნდაც თეორიულად რატომ არ განიხილავს და მხოლოდ ადმინისტრაციის ტექნიკურ სანქციაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ელექტრონული სივრცის წესების მცოდნე პირებმა არადამაჯერებელ ვერსიად მიიჩნიეს (ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ; ასე საგანგებოდ მოვიქეცი, რომ გაუყალბებელი პასუხების მიხედვით ადმინიტრაციის მისია დამოუკიდებლად სხვადასხვა ადამიანებთან შემემოწმებინა და სრული სურათი დამედგინა). მუხანათური ღალატის შემდეგ თუნდაც თეორიული ეჭვი რატომ არ გაუჩნდა, რომ ყოფილი თანაგუნდელები შურისძიების მიზნით გვერდს მწყობრიდან გამოიყვანდნენ და ამით მას ცალკე გადაუხდიდნენ სამაგიეროს, მათ რომ არ მიემხრო და "ისინდში" დაბრუნდა მაშინ, როდესაც ქალებთან დათბობის პერიოდში ისინი მასთან კავშირს საჯაროდ აღიარებდნენ ? და ეს თუნდაც ცრუ ბრალდება ყოფილიყო რათა ჩემთან მას ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭებოდა და ორგეგმაგეობის გამოვლენისთვის გუნდიდან გამეგდო, განა ეს საკმარისი მიზეზი არ არის მრავალმხრივი შურისძიების მოტივის დასადგენად ელემენტარული დაინტერესება გამოეჩინა და სიმართლის გასარკვევად სათანადო რეაგირება მოეხდინა ფანტასტიკური ვერსიის შემუშავების მაგივრად, რითაც არც მწვადს დაწვავდა და არც შამფურს მაშინ, როდესაც ყოფილი თანაგუნდელები ორ კურდღელს ერთად იჭერდნენ: გვერდის გაუქმების პარალელურად ახალშემორგებულ ადმინისტრატორს, რომელმაც გვერდის უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, ახალი დარტყმის ქვეშ აყენებდნენ, რედაქტორის თვალში აშავებდნენ და ძლივს-დაბრუნებულ ნდობას კვლავ მძლავრად შეურყევდნენ! როცა საკუთარი რეპუტაციის აღდგენის შანსი გეძლევა, იმ დროს, ვინც შენს ჩაძირვას ცდილობს, იმას რატომ გამოექომაგები? შენს მომყივნებელსა და მაძაგებელს პირს რატომ მოსწმენდ? ეს ხომ რბილად რომ ვთქვათ, არაბუნებრივი საქციელია. დაე მკითხველმა თავად განსაჯოს ამ ჩახლართული შურისძიების პერიპეტიებში ადმინისტრაციის ტექნიკური სანქცია ათასმეერთე არგუმენტად რამდენად უსუსურად გამოიყურება, რაც ფაქტების შეჯერებისას უკანა პლანზე უყოყმანოდ გადადის. ცხადია, გ. შიშნიაშვილმა იცოდა, (ჩემგან რასაკვირველია!) რომ "ისინდის" ქრონიკის აღწერის კვალდაკვალ არც ჟურნალის გვერდის განადგურების ისტორიას დავტოვებდი უყურადღებოდ, რაც მუხანათური ჩანაფიქრის ბუნებრივი გაგრძელებაა და ჯეროვან შეფასებას საჭიროებს. სიმართლის დადგენამდე სრულფასოვანი კვლევა-ძიების წარმოებისას კი ყველა ვარიანტის განხილვა-შეაფასება-შეჯერება აუცილებელია და თუ რომელიმე მხარე ან პირი მხოლოდ მისთვის უმტკივნეულო, დიპლომატიურ ვარიანტს ირჩევს, ეს გარემოება ბევრ მწვავე კითხვას ბადებს, რაც უკვე გავაჟღერე. სამხილის გარეშე ვინმეს დადანაშაულება რომ არ შეიძლება, ეს არ მესწავლება, მაგრამ ფაქტზე დაჭერისგან დამოუკიდებლად რომ დანაშაული დანაშაულად რჩება, არც ესაა ჩემი მოგონილი. გვერდი თავისით არ გაუქმებულა და ეს ვინც განახორციელა, ამით უშუალოდ იხეირა, ეს ეჭვგარეშეა. დიდი ხანია ჩემი ბასრი კალამი ფაქტების მეშვეობით მოყვარეს აქებს და მტერს აკრიტიკებს, მაგრამ ამის გამო ჟურნალის ვირტუალური გვერდი არასდროს დაზარალებულა. ფაქტია, ადგილობრივი შურისმაძიებლები იმ გარემოებამ შეურაცხყო, რომ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილებმა დაინახეს, გ.შიშნიაშვილს ჭკუა ეყო უკან მობრუნებულიყო და მეტიც, ჩვეულ პოზიციას დაბრუნებოდა, რაც მავანისთვის ბოლო წვეთი გამოდგა. კიბერშეტევა შურისძიებლის მრავალპლანიან გეგმად იქცა, რომელიც გუნდს უკლებლივ დააზარალებდა და რედაქტორსა და წევრებს შორის შემორჩენილ თანხმიერებას სამუდამოდ გაბზარავდა და დაასამარებდა. ეს გუნდის დაშლის მიზნით განხორციელებული რიგით მორიგი შეტევა იყო, რაც ინტრიგებში მოყოლილ კოლეგას ჩვეული გამჭრიახობით უნდა შეემჩნია. კიბერშეტევამ ამ საგანგაშო ფაქტს შუბლით შეგვაჯახა დ ამის დაუნახაობა შეუძლებელი იყო. კიბერშეტევიდან მესამე დღეს გ. შიშნიაშვილმა მაცნობა, რომ "ისინდის" ახალი ვირტუალური გვერდი დააარსა და უსაფრთხოების მიზნით თავის ფეისბუქ გვერდს ზედ მიაბა. თან დამარწმუნა, რომ ახალაღდგენილი საიტის უსაფრთხოებას ერთპიროვნულად გააკონტროლებდა და გვერდის სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ

თავზე იღებდა. ეს გადაწყვეტილება ამავდროულად ნიშნავდა, რომ განახლებულ გვერდს ის ჩემგან დამოუკიდებლად მართავდა (საკუთარი გვერდის პაროლს ცხადია, მე არ გამიმხელდა) და თავდასხმის შემთხვევაში ყველაფერზე პასუხს თვითონ აგებდა. ექსტრემალური კიბერშეტევის ფონზე მისი წინდახედულება გონივრული მეჩვენა და განზრახვა მოვუწონე; მან ხომ სიტყვა მომცა, რომ "ისინდისადმი" ერთგულებას საქმით დაამტკიცებდა და ამ ჟესტით სწორედ ამის საშუალება ეძლეოდა. ამასობაში ჟურნალი გამოვიდა და ახალი ნომერი სტამბიდან როგორც ადრე, ტრადიციისამებრ ერთად გამოვიტანეთ. 19 მარტს ახალი ნომერი წევრებს დავურიგეთ, შეკრებამ მშვიდად და საქმიანად ჩაიარა. იმ ქალების გარეშე რა სიწყნარეა, ძლივს არ დავისვენეთო, კმაყოფილმა აღნიშნა. საქმის წინსვლით გახალისებულები ერთმანეთს სამების წინ ძალზე გულთბილად დავემშვიდობეთ. ასე კარგად ერთმანეთს ადრეც ვერ ვუგებდითო, გიორგიმ მიმნდობი ღიმილით რომ მითხრა, სიხარულით ცას ვეწიე. დავრწმუნდი, რომ "ისინდის" გაჭირვების ტალკვესი დაბრუნდა და არც თუ სახუმარო სირთულეების დაძლევის შემდეგ, რადგან ერთად ამდენი რამ გადავიტანეთ, კვლავ ძველებური გაგებით ვიმუშავებდით. როდესაც ჩემი აზრი გავახმოვანე, ნამდვილად ასე იქნებაო, მტკიცედ დამიდასტურა. რას წარმოვიდგენდით, ორი დღის შემდეგ კარანტინი ფეხდაფეხ თუ წამოგვეწეოდა და მსოფლიოს თვალისდახამხამებაში შეცვლიდა. შინაპატიმრობის დაწესებამდე ჩვენთვის მარტი არაჩვეულებრივად აქტიური და ღირსშესანიშნავი გამოდგა. ტერენტი გრანელის საფლავზე მირზა გელოვანის დღეობის აღსანიშნავად მისდამი მიძღვნილი ჩემი ახალი ლექსის ვიდეო ჩავწერეთ, 17 მარტს, ერთი დღით დათოვლილ მთაწმინდაზე ავედით და იქ გალაკტიონის ლექსის ვიდეორგოლი და ზღაპრული სურათები გადაიღო, მოწამე პრეზიდენტის საფლავზე სანთლები ავანთეთ. თითქოს ძველი დალოცვილი დრო მობრუნდა, სწორედ ამიტომ, დამშვიდობებისას დამიდასტურა, რომ ყველაფერი იმაზე უკეთ იქნებოდა, ვიდრე წინათ, როცა "ისინდზე" სიყვარულითა და ენთუზიაზმით ზრუნავდა და წინაღობების დაძლევაში ერთგულად მეხმარებოდა. 22 მარტს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ დედაქალაქის დატოვება აიძულა. კარანტინის მოცემულობამ მსოფლიო დაზაფრა. მძაფრი ქარტეხილების ფონზე ადამიანების გასამხნევებლად ჩემი აქტიურობა გაათმაგდა. საამისოდ ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რასაც ჩემი გემოვნებიანი და სოლიდური პუბლიკა მადლიერებითა და პატივისცემით პასუხობდა. ამ საკარანტინო ხანაში გიორგი თითქმის ყველა ჩემს წერილს მოწონებებითა და გულისხმიერი, კეთილგანწყობილი კომენტარებით მყარად ეხმაურებოდა. პარალელურად ვირტუალური გვერდი სათანადოდ გააქტიურა, თუმცა სოფელში დაბრუნების წინ გამაფრთხილა, რომ წინა წლების პოსტებს არც თუ მაღალხარისხიანი ტელეფონით ქრონოლოგიურად ვერ განათავსებდა (სამწუხაროდ სოფელში კომპიუტერი არ ჰქონდა), ამიტომ დედაქალაქში ჩამოსვლამდე რასაც შეძლებდა, დაუზარლად გააკეთებდა. აპრილის ბოლომდე ყველაფერი მართლაც შესანიშნავად იყო. ეგ არის, ვირტუალური მეგობრების მოზიდვის ჯერი რომ დადგა, ამ კუთხით მე და ფიზიკის პროფესორმა ვიმარჯვეთ და გვერდს მალე 400 მხარდამჭერი მოვუპოვეთ. ის ამ საქმეში პასიურობდა. სულ სამი ადამიანი დავიმატე, დანარჩენ ნაცნობებს მწერლობა არ აინტერესებთო თავისი პოზიცია ასე ახსნა და მეც აღარ ჩავციებივარ; სიტყვას ვასრულებდი და გუნდში დაბრუნებულ ენერგიულ კოლეგას ანაგარიშს ძველებურად ვუწევდი, პოსტების თარიღებს ვუგზავნიდი და საჭირო სურათებს ვუთითებდი, რაც ჩემი გვერდიდან მექანიკურად უნდა გადაეტანა (ეს დიდ დროსა და შრომას არ მოითხოვდა. საარქივო ვიდეოჩანაწერები ახალ გვერდზე ეტაპობრივად (ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით) გადაგვქონდა. გახურებული მუშაობისას მეჩეჩი მოულოდნელად აღიმართა. როდესაც გიორგის ჩვენი მყარი მოკავშირე პოეტის, ქეთი დოლიძისთვის მოსაწვევის გაგზავნა ვთხოვე და მისი "ლაიქი" ვერ ვიპოვე, ვკითხე, მას მოსაწვევი ხომ არ შეუგვიანა. ქეთის დამოკიდებულება "ისინდისადმი", ისევე როგორც ჩემდამი(ჟურნალში მას ლექსები გამოვუქვეყნე, ადრე ჩემს საავტორო რადიოგადაცემაშიც მივიწვიე, მისი გარდაცვლილი მეუღლის, ზურა ჯაფარიძის ლექსის პლაგიატზე მწვავე საპროტესტო წერილი ღიად გამოვაქვეყნე) იმდენად დადებითია, ეჭვიც არ შემპარვია, რომ გვერდს ხელახლა სიამოვნებით დაუმეგობრდებოდა. პასუხის გაცემას არა და დაადგა საშველი. ადამიანს, ისიც თანაგუნდელს, რედაქტორი კითხვას სამჯერ რომ გაუმეორებს და პასუხს ვერ ეღირსება, ამას სულ მცირე, სუბორ-

დინაციის დარღვევა ეწოდება. ორთვიანი კეთილ-განწყობის მკვეთრმა ცვლილებამ შემაფიქრიანა. ვერ გამეგო ამჯერად ქარი საიდან უბერავდა ან უსაფუძვლო სიკერპე რამ გამოიწვია. ბოლოს აღიარა, რომ მოსაწვევის გაგზავნა გამორჩა და ახლა გაუშვებდა. მოწონება კი არა და არ ჩანდა; იძულებული გავხდი სიმართლის გასარკვევად ქეთისთვის მიმეწერა. მან მომიგო, რომ არანაირი მოსაწვევი არ მიულია თორემ გვერდს დაუყოვნებლივ "დააალაიქებდა". ამის გაგებისთანავე გვერდის ლინკი თავად გადავუგზავნე. ახალგაზრდა კოლეგას არ აუხსნია ასე რატომ მოიქცა და მეც ვითარების დაძაბვა რომ თავიდან ამერიდებინა, აღარ ჩავაცივდი. მისი ქმედება წვრილმან დაუდევრობას მივაწერე, თუმცა ეს „დეტალი" ცუდად მენიშნა. გულში გამკრა, ვაითუ ადრინდელ გაღიზიანებას ხელახლა ამოეხეთქა, რაც ახალ უსიამოვნებებს მიქადდა. გაუგზავნელი მოსაწვევი სწორედ ამ დაუდგენელი დაძაბულობის პირველ მერცხლად იქცა. ამის შემდეგ უცნაური რამ მოხდა. კერძოდ, ვიდეორგოლების გაზიარებისას აჭარის ტელევიზიის მიერ "ისინდზე" მომზადებული სიუჟეტი, სადაც ჟურნალის შესახებ ინტერვიუ ჩამომართვეს, მეორე დღეს როგორც ჩემი, ასევე "ისინდის" ვირტუალური გვერდიდან გაქრა. (არქივიდან ეს ვიდეოჩანაწერი გიორგიმ განახლებულ გვერდზე ხელახლა გააზიარა, მე კი აქედან ჩემს პირად გვერდზე გადავიტანე) ბმული წაშლილიაო, წარწერა იუწყებოდა. შევშფოთდი. ავად მენიშნა, რომ მაინცდამაინც ის ჩანაწერი განადგურდა, რომელშიც მე ჟურნალზე ვსაუბრობდი, სხვა ყველა კი ხელუხლებელი იყო. ბუნებრივია, ამის თაობაზე გ. შიშნიაშვილს მივწერე და ვკითხე, რასთან გვქონდა საქმე. მან კვლავ ტექნიკური ხარვეზი დამისახელა, თან დასძინა, მე ვერაფერს გავაწყობ, ეს ადმინისტრაციის ნახელავიო. არადა, დანართზე ეწერა, ვინც ჩანაწერი გააზიარა, მას ბმულის წაშლა თავისუფლად შეეძლო. მოკლედ, ახალი თავსატეხი კვლავ ამოიწვერა. ამასობაში გაირკვა, რომ ჩემი ჩანაწერი იტალიაში მცხოვრებმა ჩემმა კურსელმა ხელახლა გააზიარა და რადგან მისი პოსტები რელიგიური აქტიურობიდან გამომდინარე დაბლოკეს, მის მიერ გაზიარებულ ჩემ ჩანაწერსაც ძალაუნებურად ეს სავალალო ხვედრი ეწია. სამწუხაროდ, დედანი აღარ გვქონდა, მისი მოპოვება არქივში ვეცადე, მაგრამ იქ აღარაფერი დამხვდა. ამასობაში გ. შიშნიაშვილმა დამირეკა და ამიხსნა, რომ თვითონ სოფლიდან კომპიუტერის უქონლობის გამო აჭარის ტელევიზიის არქივზე წვდომა არ გააჩნდა და მთხოვა არ მეფიქრა, რომ ეს ვიღაცამ განგებ ჩაიდინა. რადგან მის სიტყვებს კურსელის მონაყოლი დაემთხვა, ეჭვი ჩამიცხრა, თუმცა ალღო მკარნახობდა, რომ შემთხვევითი დამთხვევა გამორიცხული იყო, რადგან ზუსტად ის ჩანაწერი განადგურდა, სადაც მე ინტერვიუს ვაძლევდი. სხვა ვიდეორგოლებს იგივე საფრთხე გაზიარებისას რატომღაც არ დამუქრებიათ. სწორედ ამ დეტალმა გამაოცა და კიბერშეტევა გამახსენა, თუმცა მშვიდობიანი განწყობის შესანარჩუნებლად ხმამაღლა ეს თემა აღარ გამიჟღერებია. ადმინისტრატორის დინჯმა, კეთილმოსურნე და საქმიანმა კილომ დამარწმუნა, რომ მოხდარი ტექნიკურმა გადაწყვეტილებამ განაპირობა და მეც დავმშვიდდი. ამასობაში კორონოვანი სინამდვილის ფონზე მიმდინარე მოვლენების აღწერის კვალდაკვალ გადავწყვიტე "ისინდის" ერთგულ წევრებსა და საპატიო უფროსთაობელ კოლეგებზე მოგონებები გამომექვეყნებინა, რასაც აღდგომის მისალოცმა სათავე დაუდო. წერილების ამ ციკლს ჟამიანობის კალეიდოსკოპი ვუწოდე, მკითხველებმა უმალ რომ აიტაცეს და ძალზე გულთბილად გამოეხმაურნენ. 20 აპრილს დაწყებული ციკლი თვის ბოლოს დასრულდა და იმდენი ღირსსახსოვარი ეპიზოდი და ამბავი გააცოცხლა, თავადაც გამიკვირდა უმოკლეს დროში მემუარული სტილის პუბლიკაციები ასე შეუსვენებლად, ერთი ამოსუნთქვით რომ დავწერე. მკითხველთა ძლიერი მოწონება და მყარი მხარდაჭერა საამისოდ საუკეთესო სტიმული გამოდგა. რიგით პირველი წერილი მარსიანს მიეძღვნა, 24 აპრილს, ჩემი რეკორდულად გახმაურებული ლექსის" მოძმის" დაწერიდან სამი წელი შესრულდა და შესაბამისად, მისი ბობოქარი ისტორია გავაცოცხლე, რომლის მთავარი გმირი გ. შიშნიაშვილი იყო, ლექსი პლაგიატისგან გაბედულად სწორედ მან დაიცვა. ამ თემას უკვე რიგით მესამე წერილით გამოვეხმაურე, ცხადია, განსხვავებული რაკურსით. თუმცა მთავარი დედააზრი უცვლელი დარჩა: ჩემი ლექსის გადამრჩენელს კვლავ მხურვალე მადლობა გადავუხადე, ხაზგასმით დადებითად დავახასიათე, და აქვე ერთი ფრაზა, რაც ადრე არ გაჟღერებულა, დავურთე: რომ მან სირთულეები დაძლია და მალე საზოგადოება "ისინდის" ქრონიკის სახით ჩვენი ჟურნალის ფაქტებით გადმოცე-

მულ თავგადასავალს მიიღებდა. გიორგის კომენტარმა ცხადყო, ისინდის ქრონიკის ხსენებამ როგორ დაძაბა და აამღვრია, მისი მადლიერება აშკარად ნაძალადევი იყო. ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ჩვენი თანაგუნდელების დახასიათებისას მხურვალე ეპითეტებს არ დაერიდა: მარინა თექთუმანიძეს ღიად სიყვარული აუხსნა, ფიზიკის პროფესორს კი საუკეთესო ხელოვანი უწოდა; ამ აღმატებითი შეფასების ფონზე ნათლად გამოჩნდა, რომ ჩემმა ანონსმა გააღიზიანა, რაც კომენტარმა ცალსახად გადმოსცა. ფაქტი სახეზე იყო: ის ჩემივე პოსტებზე ჩვენივე თანაგუნდელების გულის მოსაგებად საჯაროდ თვალშისაცემად დადებით კომენტარებს წერდა, მათ პიროვნულად უშურველად აქებდა, რაც ჩემი მისამართით სანახევროდაც არ გამოუმეტებია. ამას ბრმაც შეამჩნევდა. ეს კი სწორედ იმ ფრაზის გამოძახილის საპასუხო რეაქცია იყო, რომელიც ისინდის ქრონიკის გამოქვეყნებას მოადევნა. ფაქტების ხსენებამ მიახვედრა, რომ სიმართლეს არავის ხათრით არ შევალამაზებდი , რაც ნიშნავდა, რომ ორი წლის მანძილზე რასაც ვფარავდი, გუნდის რეფორმის შემდეგ საქვეყნოდ გაცხადდებოდა და მის რეპუტაციაზე წამგებიანად იმოქმედებდა. სწორედ ამან აღაშფოთა და გააღიზიანა თორემ მუდმივ მფარველზე მეტად იმ ადამიანებს ასე ხაზგასმით არ მიეხმატკბილებოდა, რომლებიც მას ჩემგან გამომდინარე იცნობდნენ და ბოლოდროინდელი გამოხდომების გამო თავის გვერდზე ძველებურად აღარ სწყალობდნენ. აკი მარინამ და ფიზიკის პროფესორმა ღიად მარადიული ისინდელობა უსურვეს. ეს გზავნილი პირდაპირ ნიშნავდა, რომ თანაგუნდელები მისგან მყარ მხარდაჭერას ელოდნენ, რაც სახიფათო თამაშის განახლებას საფუძველშივე გამორიცხავდა. როგორც კი ჟამიანობის ციკლის წერილების გამოქვეყნება დავიწყე, ზუსტად იმ დროს (რაც შემთხვევით დამთხვევას კვლავ გამორიცხავდა) მან საკუთარ გვერდზე ახლობლებთან გადაღებული ფოტოსურათების გამოფენა და მოგონებების ამსახველი მოკლე, თუმცა ძალზე თბილი კომენტარების სერია წამოიწყო. მონატრებულ მეგობრებს იმდენად ალერსიანად ეხმიანებოდა, ზოგიერთს ამ მხრივ მისი გააქტიურება გაუკვირდა კიდეც, რაც შესაბამისი კომენტარებით აისახა. "დაგულებებსა" და ტკბილი მოგონებების ხსენებას ბოლო არ უჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საგანგებოდ ცდილობდა თავი ყველაზე ბედნიერ ადამიანად ეჩვენებინა, ვისაც ახლობლები ძალიან აფასებდნენ და ვერავინ ვერაფერს დააკლებდა. ეს თვითრეაბილიტაციის კამპანია კი სწორედ მაშინ წამოიწყო, როგორც კი საფრთხის მოახლოება იგრძნო - ისინდის ქრონიკის გამოქვეყნება რომ დავაანონსე. ამ გარემოებამ იმდენად შეაშფოთა, რომ 28 აპრილს დამირეკა. ამ სატელეფონო შემოხმიანებამ გამაოცა. დიდი დრო არ იყო გასული, მობილურით ტექნიკური ხარვეზის თემა რომ განვიხილეთ. ზოგადადაც, ჩვენი საკომუნიკაციო საშუალება ძირითადად ინტერნეტი და სატელეფონო გზავნილები იყო. ჩვენი ნაცნობობის სამი წლის მანძილზე მანამ ერთადერთხელ დამირეკა და ბოლო დროს გახშირებულ ზარები მის უკიდურეს მღელვარებაზე მეტყველებდა. მეგონა ახალ წერილში დადებითად რომ დავახასიათე (მასზე აუგი არც არასდროს დამცდენია! ყველა წერილი ამას ფაქტებით ადასტურებს), მადლობის გადახდა სურდა, მაგრამ შევცდი. მის არეული ტექსტს რომ ვერაფერი გავუგე და ვთხოვე, აეხსნა, რა გასაჭირი ადგა, ეთქვა, მძიმედ დაიწყო, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ვერავინ უგებდა, ფსიქოლოგიურად უკიდურესად დათრგუნული იყო, ცხოვრება აღარ უხაროდა , ადამიანების დანახვა უკიდურესად აღიზიანებდა, მისი წერილი გრანელზე არ გამომექვეყნებინა და ა. შ. ცხადია, გავამხნევე და რადგან ამან უარესად იმოქმედა და უფრო დეპრესიული ტონით განაგრძო საუბარი, ვკითხე, თუ ასე ცუდად იყო, თავის მეგობრებსა და ჩვენს თანაგუნდელებს ასე მხიარულად, გულისხმიერად და თბილად , გულებითა და გაცინებული "სმაილებით" როგორ ეხმიანებოდა და უხვად ამკობდა, უარყოფით განწყობას კი მხოლოდ ჩემთვის იმეტებდა; სიმართლეს სად იყო, მაინტერესებდა. წამით გაჩუმდა, ჩანს, ჩემმა კითხვამ დააბნია, მერე მომიგო, რომ ვისაც სიყვარულს უხსნიდა და ასე თბილად ექცეოდა, სინამდვილეში ისინი არაფრად მიაჩნდა, მე ახლობლად მიწამა და თავის განწყობას ამიტომ მიზიარებდა. სახტად დავრჩი. მისმა წინააღმდეგობრივმა აღსარებამ გამაოგნა, თუმცა სწრაფად მივხვდი, რომ არაგულწრფელი იყო, რადგან მისი სიტყვა ქმედებას არ ემთხვეოდა; ამიტომ მივუგე, მირჩევნია ზუსტად ისე მომექცე, როგორც შენს მეგობრებსა და რჩეულ კოლეგებს ეპყრობი, სამყაროზე განაწყენებული კაცის უარყ-

ოფით გესლსა და უმადურობას უწყვეტად მხ-ოლოდ მე ნულარ მანთხევ, ამას არ ვიმსახურებ, რადგან დავრწმუნდი, სხვებს, ვინც არაფრად გაგდებს, საჯაროდ მხურვალედ აქებ და ესიყ-ვარულები და ამ დროს მე, ვინც ყველაზე მეტად გაგიგე და შეცდომების მიუხედავად ახალი შანსი მოგეცი და დიდსულოვნად გეპყრობი, სანახევრო კეთილგანწყობითაც არ მექცევი, რაც თვალშისა-ცემია და გუნდის ერთიანობის ფონზე სულ მცირე, უხერხულ პრეცენდენტს ქმნის-მეთქი. ამის გაგონებისთანავე ისეთი რამ მითხრა, გავხე-ვდი: მერჩივნა თქვენი ლექსი საერთოდ არ გა-დამერჩინაო. ყურებს არ დავუჯერე. ეს სიტყვე-ბი იმდენად ავისმომასწავებლად გაისმა, ტკივილგარეულმა წყენამ დამამუნჯა. მადლიერ-ების ნაცვლად ასეთი მძვინვარე დამადლების მოსმენამ ცხადყო, მისი გაღიზიანების ხარისხი რამდენად მაღალი იყო. როგორც ჩანს, შემო-რიგების შემდეგ გადაწყვიტა როგორმე დავეყო-ლიებინე მასზე მხოლოდ ის დამეწერა, რაც დადებითად წარმოაჩენდა რათა თავაზიანი, ერთ-გული და გულისხმიერი ადამიანის იმიჯი არ შელახვოდა. ამ მიზნით თავის გვერდზე "ისინ-დის" მერვე ნომრის უკანა ყდაზე დაბეჭდილი ტ. გრანელისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსის პარალელურად წინა ყდაზე გრანელისადმი მიძ-ღვნილი ჩემი ლექსის ფოტო გვერდიგვერდ განა-თავსა, როგორც კეთილგანწყობის ნათელი ნიმუ-ში, სხვა ლექსებიც ზედ მიაყოლა, სადაც მითითებული იყო, რომ ყველაფერი ჩვენს ჟურ-ნალში გამოქვეყნდა. ფაქტია, ამით თავის დადებ-ით განწყობას გამოხატავდა, მაგრამ როგორც კი "ისინდის" ქრონიკის ამბავი შეიტყო, ფოტოები და ლექსები გვერდიდან საერთოდ აიღო, უფრო მეტ-იც, ჩვენი დიალოგიდან მესამე დღეს ფეისბუქ გვერდი ისე ჩაკეტა, არ გავუფრთხილებივარ, მასზე მიბმულ "ისინდის" გვერდს რა ბედი ეწია. როდესაც ვკითხე, ხანგრძლივი სატელეფონო დი-ალოგის დროს წინასწარ საქმის კურსში რატომ არ ჩამაყენა, მომიგო, რომ თურმე მის პირად სივრცეში ვიჭრებოდი! აბსურდული ბრალდე-ბების კარუსელი კვლავ დატრიალდა; რა ძნელი მისახვედრია, ჩემი გადაწყვეტილებით მწყობრი-დან გამოსულმა თანაგუნდელმა პირი საავდროდ იცვალა, რაც გვერდზე შესაბამისად აისახა. ფაქ-ტია, მას სიმართლის გამოქვეყნება ხელს არაფ-რით აძლევდა; მეტიც, ოდნავაც არ ანაღვლებდა მართლისმთქმელი მწერლის მრავალწლიანი შრომი-თა და ბრძოლით მოპოვებულ მაღალ ავტორიტეტს მისი გამოისობით თუ გამოვეთხოვებოდი და ფაქტების ფაბრიკაციის მეშვეობით ჟურნალის ყალბ ისტორიას დავუდებდი დასაბამს! მისი რყე-ვა და განწყობის მყიფე ცვლილებები სწორედ ამისკენ მიანიშნებდა. მაისის დასაწყისში საბ-ოლოო დაზავება შევთავაზე, რაც სამუშაოს გაგრძელებით უნდა გამოეხატა. თუ გვერდს გაა-ჩერებდა, გასაგები იყო, რომ პასუხისმგებლობის აცილებით "ისინდს" სამუდამოდ ტოვებდა. ცხა-დია, მოსაფიქრებლად დრო მივეცი. როდესაც მითითებული მასალა გამოაქვეყნა, შვებით ამოვ-ისუნთქე და მადლობა თბილად გადავუხადე, თვითონ ტერენტი გრანელის წიგნით ხელში გადაღებული ახალი სურათი გამომიგზავნა, თან დააყოლა, რომ ჩემი აზრი აინტერესებდა. ფოტო ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე მისი ესესთ-ვის დამერთო. ჩვენი გემოვნება ფოტოგალერეის შერჩევა-დახარისხებისას ძირითადად ემთხვეოდა, რაც მუშაობას გვიადვილებდა. 29 მაისს პირად-ში დღეობა თავაზიანად რომ მომილოცა, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ყველაფერი კალაპოტში ჩად-გა. ეს გარემოება სამუშაოზე შესაფერისად აისახა. ამიერიდან ყველაფერს ზუსტად და შეუფერხებლად აქვეყნებდა. 13 ივლისს "ისინ-დის" საიუბილეო ნომრის გამოცემას ტრადიცი-ულად სპეციალური პოსტი მივუძღვენი. პირადში მასალის გადაგზავნისას ეს ფაქტი მომილოცა, თუმცა საჯარო "დალაიქებისგან" თავი შეიკავა, რის თაობაზეც ტაქტიანად დავდუმდი. 21 ივლისს, ჩემს გვერდზე ჩვენი ახალი და მებრძოლი წევ-რის, ცნობილი კრიტიკოსის, ჯემალ მეხრიშვილის მიერ "ლიტერატურულ საქართველოში" გამო-ქვეყნებული მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი საიუბილეო ანონსის ელ.ვერსია გამოვაქვეყნე, სა-დაც ისინდის ქრონიკის შესახებ ნათქვამია, რომ წერილი ჩვეული პრონციპულობითაა დაწერილი და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. მისალოცი კომენტარების გაპასუხების პარალელურად გ. შიშნიაშვილმა ზუსტად ამ დროს მასალის თაო-ბაზე მომწერა. ოპერატიულად შესრულებული დავალებისთვის მადლობა გადავუხადე და ახალი მასალა მივუთითე, რაზეც მომიგო, რომ ვირტუ-ალურ გვერდზე ყველაფერს მეორე დღეს გამოა-ქვეყნებდა. ის იყო გავიფიქრე, ანონსის გაცნო-ბამ მასზე რა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მომწერა: ტექნიკური ხარვეზია თუ ჩემი ესე მაინც დაგიბეჭდავთ, რაც არ მინდოდაო, ეს თავკერძა

ფრაზა ცხადყოფდა, ქრონიკის დაბეჭდვის ფაქტმა მისი შენიღბული აგრესია ხისტად გამოააშკარავა; ამის თქმა ღიად ვერ გაბედა; (ის მუდამ პარტიზანულ სტილს მიჰყვება) აკი მშვენივრად უწყოდა, თავად რაც მოიმოქმედა (ამის თაობაზე რამდენჯერმე სიტყვიერად საკუთარი თავი მკაცრად დაამუნათა, თუმცა ქმედებით იმავეს იმეორებდა, მაშინ, როდესაც წესით სინანული მორიგი შეცდომების ჩადენისგან გვიცავს) და საკუთარ ესეს ამოფარებულმა მისაყვედურა თურმე სიტყვა რატომ არ გავტეხე და ერთი წლით ადრე დადებული შეთანხმება როგორ არ დავარღვიე, (არადა, ესე დაწერისთანავე ეგრევე სიხარულით გადმომიგზავნა) რასაც საჭიროების შემთხვევაში ხელზე დაიხვევდა, საჯაროდ ზარს დაარისხებდა: არიქა, შეხედეთ, ფაქტზე გამოვიჭირე, მართლისმთქმელი იკა ქადაგიძე არც ისეთი სიტყვის პატრონია, როგორადაც თავს ასაღებს, შეცდომების გამო ჩემზე შური იძია, წერილი არ დამიბეჭდა, ერთადერთ ახალგაზრდა თანაგუნდელს დიქტატორულად მჩაგრავსო. ჟურნალში წერილის გამოქვეყნება ჩაგვრა და საავტორო უფლებების დარღვევაა, აბა როგორ! აკი ბოლო ორი წლის მანძილზე მადლიერების ნაცვლად მისგან ჩახლართული ინტრიგების პარალელურად მეტწილად ამ ტიპის საყვედურებით ვბედნიერდებოდი. რატომ ეშმაკს არ გაეცინება ასეთი აბსურდული კაზუსის შემყურეს. ერიჰა, მკითხველო, არ გამიკვირდება, ბოლოს ამ მიზეზით სტრასბურგში რომ მიჩივლოს, ეგაა ნუცას სკოლის დონის გამოცანას ვინ დაიჯერებს, რომ დაბეჭდვის მოწინააღმდეგე რედაქტორს მაინცდამაინც იმ სურათს უგზავნის, თემატურად მის ესეს ზუსტად რაც შეესაბამება. მან ხომ დიდი ხანია მშვენივრად უწყის, უმადურობის გამოვლენის მიუხედავად მისი ნაწარმოებები ჟურნალში შეუფერხებლად იბეჭდება, ასე რომ ამგვარ სიურპრიზებს შეჩვეულია და შესაფერის სურათს ვარსკვლავური თავდაჯერებით მაწვდის. ჰო მართლა, აქვე დავაზუსტებ, გრანელის ცნობილი ლექსი ცოფიან ნათურებზეა, რომელსაც ქრისტეს თვალები ცვლის. ახალგაზრდა პოეტი თავის ესეში ამ შედარებაზე საინტერესოდ მსჯელობს. ამიტომ ვურჩიე, დროა დაიჯეროს, რომ ქრისტეს ნათელი არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ ცხოვრებაშიც გვხვდება, რომ მე ამ სინათლის მომხრე ვარ და სწორედ ამიტომ სიტყვას გუნება-განწყობის მიხედვით არ ვცვლი და წვრილმან შურისძიებას არ მივდევ. ჯანსაღად მოაზროვნე პიროვნება დაუწერელ კანონს განუხრელად იცავს, რომლის მიხედვითაც პირადი უთანხმოება საქმეზე არასდროს აისახება თუკი ადამიანს კეთილსინდისიერება ამოძრავებს. ამის შემდეგ "სავტორო უფლებების შელახვით" ჩემზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ განაწყენებული გ. შიშნიაშვილი აღარ გამომხმაურებია; "ისინდის" ახალი გვერდი კი წინამორბედის მსგავსად შეუსრულებელი დავალების მოლოდინში გაიყინა. ერთი თვის თავზე, დასასვენებლად სანამ გავემგზავრებოდი, გულში გამიელვა, რომ ყველაფრის მიუხედავად შემორიგებული თანაგუნდელი ჟურნალის წინააღმდეგ საბოტაჟს არ იკადრებდა ,"ისინდის" ვირტუალურ გვერდს სათავისო ინტერესის გასანაღდებლად სავაჭრო საგნად არ გადააქცევდა და ეროვნულ საქმეს შუა გზაში არ მიატოვებდა; მან ხომ გუნდში დაბრუნებისას სიტყვა მომცა, რომ არასდროს გვიღალატებდა და ყველაზე ეროვნული და მებრძოლი ჟურნალის საკეთილდღეოდ მხარს ძველებურად დაგვიჭერდა. ცოდვა გამხელილი სჯობს, უმოქმედოდ გაყინული ვირტუალური გვერდის ხილვა გაუნელებელ ტკივილს მგვრის და არასასურველი ფაქტის მიუხედავად არ მჯერა, გ. შიშნიაშვილის შემორიგება რომ ოდენ ფარსი გამოდგა. გული ჯიუტად მეურჩება ამგვარი სინამდვილე მივიღო და გავისიგრძეგანო. ცხადია, პირველკლასელიც არ დაიჯერებს, რომ საბოტაჟის მიზეზად ჟურნალში მისი ესეს "დაუკითხავად" გამოქვეყნება იქცა. საკითხისადმი ასეთ არასერიოზულ მიდგომას ბრიყვიც არ იკადრებს არათუ "ისინდის" გვერდის დამაარსებელი, გონებაგამჭრიახი მმართველი, რომელიც ვიმედოვნებ, "ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს" ამ პრინციპს მის მიერ მეორედ დაარსებულ გვერდს გაუმართლებელი შურისძიების გამო არ მიუსჯის. სრულფასოვანი პიროვნება ხომ მუდამ დამოუკიდებელი არჩევანით სარგებლობს, რისი უფლებაც კანონითა და სინდისის კარნახით გააჩნია; უგვანი პროვოკაციის გათამაშება რა საჭიროა, როდესაც ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წილი ნაყარია: ან სიტყვას იცავ და გუნდში მოკეთედ რჩები და საქმეს ღირსეულად აგრძელებ ან ვაჟკაცურად იხსნი პასუხისმგებლობას და თუნდაც უკმაყოფილო და განაწყენებული უკანმოუხედავად მიდიხარ. მესამე გზა - ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების თანმდევი გაურკვეველი პოზიცია (ჩასაფრებული მტრის ვერაგი ჩანაფიქრის განსახორციელებლად

ხელსაყრელ შემთხვევას რომ დაეძებს) ცალსახა მავნებლობას ადასტურებს. წესიერ პიროვნებას იქ რა გააჩერებს, სადაც მისთვის ყველაფერი მიუღებელია თუ არა მავანთა საგანგებო დავალება ან დაუცხრომელი შურისძიების განხორციელების გაუნელებელი სურვილი, რაც უპირობოდ ეროვნული საქმის წინააღმდეგაა მიმართული. ვისაც ჰგონია გვერდს გაყინული კონფლიქტის ხვედრს დაუწესებს, მწარედ ცდება. ყველაფერს საზღვარი აქვს, მათ შორის უსასრულო ლოდინსა და არშემდგარი საზავო მოლაპარაკების მოჩვენებით პირობას, რომელსაც ერთი მხარე რუსეთის იმპერიის მსგავსად მუდამ უბოდიშოდ, გაუფრთხილებლად და თვითნებურად არღვევს. ვისაც ეროვნული ჟურნალის კეთილდღეობა სწადია, მას საბოტაჟს კი არ უწყობს, პირიქით, კეთილსინდისიერად ემსახურება, რაც უცილობელი ჭეშმარიტებაა. ასე რომ პენელოპეს არ დავემსგავსები და ჩემი ლექსის გადამრჩენელთან არც უკადრის ჭიდაობას გავმართავ, იმის მიუხედავად, რომ მისდამი უწყვეტად გამოვლენილი სიკეთე და მყარი მხარდაჭერა მან უმადურად ფეხქვეშ გათელა.

P.S. ამასობაში აგვისტო გავიდა და სექტემბერში დედაქალაქში დაბრუნებული კვლავ პანდემიის განახლებულ შეზღუდვებს შევეჯახე, "ისინდის" წარდგენის ოფიციალური თარიღი 30 სექტემბერი კვლავ უბოდიშოდ რომ გადასწია; რადგან ეროვნულმა ბიბლიოთეკამ თავის ტერიტორიაზე ღის ცის ქვეშ შეხვედრები აკრძალა, უკვე მეორედ გამომისტუმრეს უარით, რომ ამ დროს ღვთის განგებით მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქ-მა ციცინო მაღლაფერიძემ კეთილი ნება გამოიჩინა და საპრეზენტაციოდ 22 სექტემბერს ეროვნული გმირის ეზო-ისტორიულად ღირშესანიშნავი ადგილი თავაზიანად დაგვითმო, რაც ყველაზე ეროვნული ჟურნალისთვის ძალზე სიმბოლურია. დედაქალაქში დაბრუნებულ მარსიანს ახალი დაავადება აღმოაჩნდა და კვლავ საოპერაციო შეიქმნა, თუმცა საქმისთვის თავი არ გაუნებებია. ამ ექსტრემალურ ვითარებაში "ისინდის„ დასახმარებლად გადავწყვიტე მუშა წევრებისთვის მიმემართა, ვინც თავის პოზიციაზე საუკეთესოა. აქ მარსიანი, მეგრე და გიორგი იგულისხმებიან. ონლაინრეჟიმის გაფართოებამ კი ბუნებრივია, დღის წესრიგში ვირტუალური გვერდის ამუშავების საკითხი დააყენა და მეც ორთვიანი უსიამო ლოდინის ნავსი გავტეხე და მის მმართველს, გ. შიშნიაშვილს გულთბილად მივწერე და ვთხოვე პანდემიის ვითარებაში შემოგვხიდებოდა. გვერდის გაუფრთხილებელი გაჩერებისთვის საყვედური გაკვრითაც არ დამცდენია, რადგან ასე საქმე არასდროს გვარდება. მე კი ჟურნალის საკეთილდღეოდ საქმის გარჩევა და რეპრესიები კი არა, საიმედო წევრების ერთსულოვანი შემოკრება და თანხმიერი მუშაობა მესაჭიროებოდა. გიორგის არსებული ვითარება, როგორც ჩვენიანს, ახლობლურად გავანდე. ამ პირობებში მისი მხარდაჭერა აუცილებელი იყო თუკი კვლავ ონლაინრეჟიმში გადაგვისროდნენ და შეხვედრის გამართვის უფლებას კვლავ გააუქმებდნენ, ამისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით და ძირითადი დატვირთვა ვირტუალურ გვერდზე უნდა გადაგვეტანა, ჟურნალი რომ არ დაზარალებულიყო. ჩვენ ხომ თვითიზოლაციის სიმწარე ერთხელ უკვე გამოვცადეთ და ამ პირობებში მორიგი დარტყმა შეძლებისდაგვარად რომ შეგვემსუბუქებინა, ერთსულოვნება და ძალთა გაერთიანება გვმართებდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, გიორგი სიტყვას არ გატეხდა და გასაჭირში მხარში ისე დაგვიდგებოდა, როგორც მანამ არაერთხელ მოქცეულა. მისთვის არც ის დამიმალავს, რომ ერთი თვით ადრე ზედიზედ ორ ავარიას სასწაულით გადარჩენილი სიმართლის ცოდნას ვიმსახურებდი. არც კი მიგრძნობინებია, ავარიის თემა მეგრულ შთაბეჭდილებებში პოსტის სახით რომ გამოქვეყნდა (ის ხომ ჩემს სტატიებს ყოველთვის გულდასმით კითხულობდა და არც ამჯერად დაარღვევდა ამ ტრადიციას) და უამრავი ადამიანის მხრიდან გულთბილი თანაგრძნობით სავსე კომენტარები მივიღე, ის არც კი შემომხმიანებია, რაც ახალშემორიგებული წევრისგან, რომელიც კარანტინის დროიდან "ისინდის" მიმართ ძველებურად დიდ გულისხმიერებას, ზრუნვასა და დადებით აქტიურობას ღიად ავლენდა, თანაგუნდელებს ძალიან გაუკვირდათ. მე ხომ მას მუდამ ჭირსა და ლხინში გვერდში ვედექი და როდესაც საჯაროდ გახმაურდა, რომ სიკვდილს სასწაულით გადავურჩი, (მეგრული შთაბეჭდილებების ეს დრამატული შემთხვევა გაზეთ "ალიაშიც" ოპერატიულად გამოქვეყნდა ჟურნალისტ ნანა სულავას მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში) თუნდაც ზრდილობის გამო არ გამოუხატავს თავისი ადამიანური პოზიცია, სადაც ავბედითი კრების შემდგომ კარგა ხნის გაუჩინარების მერე მამაჩემის რექვიემზე თბილად მომისამძიმრა, იგივე გულისხმიერება რატომ

არ უნდა გამოეჩინა თუკი გულწრფელად მცემდა პატივს და სათავისო, შერჩევითი ინტერესის მიხედვით არ მოქმედებდა?! ეს გულისტკივილი უხმოდ ჩავიკალი გულში, რადგან ამით სპეკულირება ჩემთვის მიუღებელია. და უცებ, გ. შიშნიაშვილმა მითხრა, რომ თურმე გვერდს აუქმებდა, რადგან მისი მართვის რესურსი აღარ გაჩნდა. და ამას ისე გაუფრთხილებლად სჩადიოდა, სუბორდინაციის სრული გვერდის ავლით. საქმის კურსში არც კი ჩავუყენებივარ, ამის ღირსადაც არ მცნო, მაშინ, როცა სამი თვით ადრე ერთგულებას მეფიცებოდა და ახალაღდგენილი გვერდის უსაფრთხოების გარანტიის დაცვას მყარად მპირდებოდა. და უცებ, საიმედო სიტყვების კვალდაკვალ საპირისპირო საქციელს შევეჯახე: ფაქტი ჯიუტად მეტყველებდა: მე რომ არ შევხმიანებოდი, სიმწრით აღდგენილი გვერდი (რომლის მეგობრებიც მე და ფიზიკის პროფესორმა მოვიზიდეთ, მოუცლელობის მიუხედავად გიორგის საქმის გასაადვილებლად პოსტების შერჩევაში ერთგულად ვეხმარებოდი,) ისე გაუქმდებოდა და თვითონ ისე დაუმშვიდობებლად, გაუფრთხილებლად გავიდოდა თვალსაწიერიდან, ისე არხეინად გადაგვაგდებდა, აქაოდა ეს მეორე გვერდიც კვლავ ადმინისტრაციამ გააუქმაო, როგორც ჩანს, წარბიც არ შეუტოკდებოდა! აკი უხეშად მომაძახა, თბილისიდან მივდივარ და ისინდში“ ყოფნა ჩემს გეგმაში აღარ შედისო; კი მაგრამ, წასვლის ამბავიც რომ არ შეგვატყობინე, გამოდის, სანამ გჭირდებოდით, გვიყენებდი-მეთქი, თავზარდაცემულმა რომ ამოვთქვი, დიახ, ასეა, სანამ მაწყობდა, გიყენებდითო! გამომწვევი სიცილით დამიდასტურა. ბარაქალა გუნდის ერთიანობის დაცვისა და რედაქტორის ერთგულებისთვის! გამოდის, სანამ ფაქტს შუბლით არ შევეჯახებოდი, არაფერი მეცოდინებოდა! ამხელა გარჯა თურმე წყალს მიჰქონდა, მე კი ბაიბურში არ ვიყავი, რადგან გვერდის ადმინისტრატორმა, ახალგაზრდა კოლეგამ ძაღლადაც არ ჩამაგდო, დროულად არ შემატყობინა მხარდაჭერის ნაცვლად წასვლას რომ გეგმავდა, თავისი უეცარი და ოდიოზური გადაწყვეტილება პირადში მაინც მოეწერა, უკვალოდ გამქრალი გვერდი რომ არ მეძებნა და წინა კიბერშეტევისას მოყენებული ტკივილი სიკვდილსგადარჩენილს ხელახლა ასე დაუხანებლად და მწვავედ ისევ არ გამომეცადა! ამ ექსტრემალურ, წინასაპრეზენტაციო პერიოდში საქმის ხელში უბოდიშოდ შეტოვება და აღდგენილი გვერდის აუხსნელი და მოულოდნელი გაუქმების ამბავი, თანაც საიმედოდ შემორიგებული თანაგუნდელის მხრიდან, თავზე მეხივით დამატყდა! ამას განსაცდელში ჩავარდნილ მტერს არ აკადრებ კაცი თუ გული გიცემს არათუ მოკეთეს, ვისთვისაც სიკეთი გარდა არაფერი გაგიკეთებია. გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, ისე წაეწყო ჩემი საქმე! და ამ დროს გიორგის რბილად რომ ვთქვათ, აუხსნელი საქციელის შემდეგ გულდაწყვეტილმა ვუპასუხე: ისე შემიძულე, რომ მოვკვდე, შენს თვალში ესეც არ “გამამართლებს-მეთქი“. და მაინც ამ სასტიკი მოპყრობის მიუხედავად გული მიკვდება, რადგან ამ საშინელი საქციელით მაიძულებ ჩემი თავი და “ისინდის“ ვირტუალური გვერდი წერილით დავიცვა, რომლის გამოქვეყნებაც მესიკვდილება-მეთქი. გულწრფელი სინანულით ვაღიარე. გასაკვირია და ამ ვრცელი მიმოწერის პროცესში ზრდილობისთვისაც არ შემოუთავაზებია პასუხისმგებლობის მოხსნის შემდეგ ამ გაგანია პანდემიის პირობებში გვერდი გადმოებარებინა ან გაუქმების წინ (რადგან თვითონ ერთმნიშვნელოვნად გადაწყვიტა გვერდი შურისძიების მიზნით გაეუქმებინა!) ამის საკომპენსაციოდ თავისი გადაღებული ვიდეოჩანაწერები მაინც გადმოეგზავნა. გვერდის გაუქმების შემდეგ ხომ “ისინდის“ ვიდეოარქივის ძირითადი ნაწილი ნადგურდებოდა! ეს მასალა მხოლოდ მასთანაა დაცული და მანამ არაერთგზის თხოვნის მიუხედავად არაფრით არ გადმომიგზავნა, მალე გვერდზე გამოვაქვეყნებო ამ დაპირების მოშველიებით. “მოძმის “ ისტორიული ვიდეორგოლი (ამიტომ მკითხველთა თხოვნის მიუხედავად ვერ ვდებდი ჩანაწერს ჩემს გვერდზე,) და ჩემი რამდენიმე ჩანაწერი რვათვიანი დაჟინებული თხოვნის საფუძველზე ძლივს მაღირსა! პარადოქსი გამოიკვეთა: ვითომდა ესეს გამოქვეყნების გამო განაწყენებული გვერდის მმართველი გვერდს ვითომ ამ მიზეზით აუქმებდა და გუნდს ფარულად ტოვებდა და რაც მთავარია, კარის გაჯახუნებისას, რაც თვითონ “ისინდისთვის“ შექმნა, ყველაფერს უკვალოდ ანადგურებდა, არიქა ღმერთი არ გავწყრომოდა და ჩვენ ჩვენივე მასალით არ გვესარგებლა! ჩემი და ჩვენი შრომის ნაყოფის - ჟურნალის გამეტების, განაწყენებისა და ბრაზის ხარისხის მაჩვენებელი თავად შეაფასეთ. მკითხველო, ამის გაგონებისას ჩემი შინაგანი მდგომარეობა წამით მაინც წარმოიდგინე! ასეთ დროს თავდაცვას თუ

არ მიმართავ, რა გელის, ისედაც ცხადია. თავდაცვისას ხომ სამართლებრივად კაცის კვლაც გამართლებულია; მე კი ჩემი და ჟურნალის პრესტიჟის გადასარჩენად მომხდარის აღწერა და გამოქვეყნება მაინც მესიკვდილებოდა, რადგან ეს საშინელი სიმართლე გულს მიკლავდა და შინაგანად მფლეთდა! არადა, სხვაგვარად ახალი გვერდის დაარსების საჭიროება როგორ ამეხსნა? თინეიჯერი ხომ არა ვარ, ყოველთვიურად ახალ-ახალი გვერდები მატრაკვეცასავით დავაარსო და მხარდასაჭერად ხალხი წამდაუწუმ შევაწუხო. ამ ფაქტით მოგვრილი აუტანელი უხერხულობის განცდა ცალკე მხრავდა და მაწამებდა. ერთბაშად იმდენად ძლიერი ტკივილი და იმედგაცრუება მომაწვა, თვალთ დამიბნელდა. ღმერთმანი, რამე რომ მქონოდა დაშავებული, სასჯელს გაგებით მივიღებდი, მაგრამ თუკი ადამიანის დაფასება, ხელშეწყობა და მხარდაჭერა დანაშაულია, რის გამოც მისი მხრიდან გამოვლენილი უმსგავსობის გამო შენი ავტორიტეტი და გუნდის ღირსება ფეხქვეშ უნდა გათელო და თურმე სიმართლის გამჟღავნებით აქეთ განაწყენებულს უყოყმანოდ ანაცვალო, მაშინ ამქვეყნად ღმერთი აღარ არსებულა და მხოლოდ რუქას არაკი: სიკეთის წილ ბოროტების მსხვერპლად გადაქცევა, ეს სატანური წესია უნივერსალური და ეგაა! ზუსტად ამ ფაქტს შევეჩეხე და რადგან გვერდის მმართველმა ჩვენგან წასვლა ამ გზით გადაწყვიტა, სხვა გამოსავალი აღარ მქონდა გარდა სიმართლის თქმისა, ამ ჯოჯოხეთურ შემთხვევას ფარდას რომ ახდიდა და დაუმსახურებელი სატანჯველისგან ერთხელ და სამუდამოდ გამათავისუფლებდა. ჩემს ამრევ მოკეთეს ამ სიტყვებით დავემშვიდობე, მაგრამ მას ასეთი წამგებიანი ფინალი ხელს არ აძლევდა, წერილის ხსენებამ ერთბაშად ააღელვა და დალაპარაკება მოიწადინა. ფაქტია, საკუთარი უსაფრთხოება რომ ადარდებდა, მოლაპარაკება იმიტომ მოინდომა, თორემ ჩვენ როგორც მოგვექცა და ბოდიში მომითხოვია, ფეხზე რა უბოდიშოდ დაგვიკიდა, მისი ვითომდა უცაბედი გაქცევა გადამწყვეტ დროს ამას თვალნათლივ მოწმობდა და ადასტურებდა. ამდენი ვერაგული აბრუნდით გულგადალეული მკითხველი იკითხავს, როცა ყველა ხიდი გადამწვარია, სალაპარაკო რაღააო. რა და გადარჩენის ამოუძირკვავი ინსტინქტი, რამაც მას უკანდახევა აიძულა და მოლაპარაკება მთხოვა, თუმცა საკუთარი პირობებით, რომელიც ჟურნალის ინტერესს საერთოდ აღარ თანხვდება. 22-ში წარდგენაზე მისი დასწრება ამ პრობლემას რომ ვერ გადაჭრიდა, ეს მხოლოდ ფორმალური ჟესტი იქნებოდა, რადგან ინტერესები საპირისპიროდ გაიყო, ამას ორივე ვაცნობიერებთ, ამაზე პირდაპირ ვუთხარი კიდეც; თუმცა მოლაპარაკების უფლებას ჩემი ლექსის გადამრჩენელს ცხადია, ვუტოვებ. სხვისი სათქმელის მოსმენა და გულთან მიტანა როგორღაც მჩვევია, ეგაა ჩემი მოსმენა მასაც რომ სდომოდა, საქმე აქამდე არ მივიდოდა! 22-ში წარდგენაზე გამოთხოვების მიუხედავად მაინც მოვიდა და ბუნებრივია, კეთილგანწყობით მივიღე, როგორც ყოველთვის. მეტიც, სხვა ახალგაზრდებთან ერთად შექების პარალელურად, სიტყვით გამოვიყვანე, რაც არჩევანის უფლებას აძლევდა და რითაც გაბედული პიროვნება უმალ ისარგებლებდა და საკუთარ გადაწყვეტილებას ღიად და პატიოსნად გააცხადებდა. ან გუნდის ერთგულებას დაადასტურებდა ან დაასაბუთებდა გვერდს რა მიზეზით აუქმებდა და ამით ორჭოფულ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა. დამოუკიდებელი არჩევანის უფლება ხომ უზენაესია; ყოველთვის ჯობია ნებისმიერი შინაარსის შემცველი გადაწყვეტილება დროულად გაახმოვანო, რათა ამით ყველა არ დაზარალდეს; მით უმეტეს ეროვნული ჟურნალი, როლის გამოცემა ისედაც ურთულეს პირობებში მიმდინარეობს და ეს ჩვენი წევრისთვის შესანიშნავადაა ცნობილი, ხელოვნური სირთულე რომ არ შეექმნა და სიმწრით აღდგენილია გვერდი შეუთანხმებლად არ გაეჩერებინა და გასაუქმებლად არ გაემეტებინა! ეს თუ მოკეთისა და თანაგუნდელის პოზიციაა, მაშინ დაქცეულა ქვეყანა და ეგაა, ტყუილ-მართალის ასეთი საგანგებო აღრევისას! სიტყვა სიტყვაა და მეორე დღეს დავილაპარაკეთ. მან განაცხადა, რომ გვერდის გაუქმების გარდა სხვა გამოსავალი არ იყო, რადგან თავის დროზე კიბერშეტევის შემდეგ მან ახალი გვერდი თავის ვირტუალურ საიტს მიაბა, რადგან ფეისბუქის გაუქმება მაშინ არ უფიქრია. მოკლედ, პირობის გატეხვის ამ უწყვეტი მონაცვლეობის ჟამს გამოსავალი თურმე იმაში მდგომარეობდა, თვითონ გადაწყვეტილებების წამდაუწუმ ცვლით და საქმის დაზარალების პარალელურად (ადამიანურ ნდობასა და კოლეგიალურ პოზიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!) გვერდის გაუქმების შემდეგ ვითომცა არაფერი არხეინად წასულიყო, ისე ესოდენ უპასუხისმგებლო და

მტრული საქციელის გამო პასუხი არ ეგო. ციფრული ეპოქის მოთხოვნის გათვალისწინებით ადრე თუ გვიან ფეისბუქს აღადგენდა (ასე ერთხელ უკვე მოიქცა,) მაგრამ „ისინდის“ გვერდი გაუქმდებოდა და არქივს დაკარგავდა, რაც მას ფაქტია, აღარ ანაღვლებდა! გამოსავალის ძიებაც ასეთი უნდა! რაც არის, არის. როცა ადამიანი ხისტად გეუბნება, ისე მივდიოდი, არც კი შეგატყობინებდი, რადგან ჩემი გადაწყვეტილების გამხელა თქვენთვის საჭიროდ არ მიმაჩნდა, ამ სივრცეში ყოფნა აღარ მსიამოვნებს (სიამოვნებას საქმე გადააყოლო, ეს თურმე პატიოსანი გადაწყვეტილებაა!) და გვერდს ვაუქმებო, წილი ნაყარია. უშედეგო მოლაპარაკებიდან მესამე დღეს როდესაც ვკითხე, სიტყვას რატომ არ ასრულებდა და გვერდს არ აუქმებდა (ამით ახალი გვერდის დაარსებას ხელს უშლიდა, ფაქტია, ცინიკურად მომახალა, რომ მე თურმე ტექნიკურ საქმეში ნორმალურად ვერ ვერკვევი, (მისი ათვლით ფეისბუქის გაუქმებას არც მეტი, არც ნაკლები - საუკუნე სჭირდება!) მას საქმეს როგორ ვასწავლი ასეთი ყოვლისმცოდნე, ბოლოს აგდებული ტონი არ დამამადლა, რადგან გაყინული გვერდის მეშვეობით ვაჭრობისას უსაფრთხოების გარანტია ვეღარ გაინაღდა, დაუსრულებელი სიცრუის ფონზე პირობის შესრულება რომ შევახსენე, ამან უკიდურესად გააღიზიანა და ელემენტარული თავაზიანობა დაავიწყა. ესეც ადამიანის ბუნება, რომელიც სიტყვის საპირწონედ მუდამ საქციელით ვლინდება. რაოდენ შეუმცდარია ბიბლიური სიბრძნე, რომელიც ღაღადებს, რომ საქმენი ჩვენნი გამოგვაჩენენ!

30.09.2020

P.S. მისი მხრიდან ესოდენ ცინიკური პასუხის მიუხედავად "ისინდის“ მეთერთმეტე, ნოემბრის ნომერში წერილი მაინც არ გამოვაქვეყნე (შესაბამისად, რედკოლეგიიდანაც არ ამომიგდია!), არც მომდევნო, 2021 წლის მარტში გამოშვებულ ნომერში დავბეჭდე განდგომილი წევრის "საქმენი საგმირონია," რათა ახალგაზრდა კოლეგისთვის კვლავ სასიკეთო მაგალითი მიმეცა; მოსაფიქრელად იმდენი დრო ჰქონდა, მის უსაფუძვლო გაღიზიანებას რომ შეასუსტებდა და მიახვედრებდა, რომ ადამიანური სახის დაკარგვა ამქვეყნად ყველაზე საშინელი რამაა და ბოროტი საქმის შეცვლა კეთილი ნებით ყოველთვის შესაძლებელია თუკი ტანში ეშმაკი არ შეგჯდომია და უფსკრულისკენ არ მიგაქანებს. დრო ხომ ყველაზე უკეთ ავლენს სინამდვილეში ადამიანს გულში რა უდევს. ამ მორიგი დადებითი პრეცენდენტის შემდეგ გ. შიშნიაშვილი კვლავ ჩვენი მთავრობასავით უპასუხისმგებლოდ და ცინიკურად მოიქცა, სიტყვა კვლავ გატეხა და გვერდის გაუქმების ნაცვლად პირიქით, გააქტიურდა, ახალ ლექსებსა და ფოტოებს ხშირად ტვირთავდა, რითაც გვიჩვენებდა, რომ მისთვის არაფერს წარმოვადგენდით, რომ ჩვენთვის ანგარიში გაეწია და ამიტომ რამდენჯერაც მოესურვებოდა, იმდენჯერ მოგვატყუებდა ან გოდოს უსასრულო მოლოდინის რეჟიმს მოგვისჯიდა, რათა ამ უთავბოლო რყევის ფონზე გვემარჩიელა, არიქა ეგებ ხვალ გული მოულბეს და გაყინული გვერდი, თვითონ რომ არაფერში სჭირდება, გადმოგვაბაროსო, რაც სამწუხაროდ, მცდარი ილუზია გამოდგა. აქვე დავაზუსტებ, ისინდის ვირტუალურ გვერდს სანამ გააჩერებდა, მას ჩემი და ფიზიკის პროფესორის, თ. ნადარეიშვილის ერთობლივი ძალისხმევით 438 მოწონება ჰქონდა, ახლა კი გაუქმებულ გვერდს ბოლო მონაცემებით 515 "ლაიქი“ აქვს; თურმე ახალი წევრები თავისით მატულობენ, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ლამის ერთი წელი სრულდება, გვერდი უმოქმედოდაა, მას ვერავინ ხედავს და შესაბამისად, ახალი წევრები ციდან თავისით ვერ ჩამოცვივდებოდნენ, ცხადია! ამგვარი ცინიკური მანიპულაციები მოწმობს, შიშნიაშვილმა როგორ დაგვიფასა ამაგი! მას ხომ მესამედ მიეცა შანსი ჩვენთან თანამშრომლობა გაეგრძელებინა, რასაც გამიზნული, დროში საგანგებოდ გაწელილი დაუსრულებელი საბოტაჟი არჩია! შესაბამისად, ამდენხნიანი ლოდინის შემდეგ ნამდვილად მეყოფა გამბედაობა დ ობიექტურობა ჩემდამი და "ისინდისადმი“ მისი ასეთი პათოლოგიური სიძულვილისა და აგრესიის მიზეზს თვალი გავუსწორო და ამ უსამართლო, დაუმსახურებელი მოპყრობის ფონზე მისი გაუნელებელი ნეგატიური ენერგიისგან ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდე. დროა თვითონაც ამოისუნთქოს და სადაც გული მიუწევს, იქ გაეშუროს, ღმერთმა ისე მოუმართოს ყველას ხელი, ვინც როგორ იმსახურებს. გაუქმებულ გვერდს როგორღაც აღვადგენ, ადამიანურ ურთიერთობას კი ასე იოლად აღარაფერი ეშველება, ენით დაკოდილი დათვისა არ იყოს. და მაინც, უკანასკნელი საუბრის ფინალი ცხადყოფს, რომ დრამატული დაძაბულობის კვანძი ესოდენ სავალალოდ გაიხსნა.

ფაქტია, რადგან გ. შიშნიაშვილს ნდობის ხელახალი გამოცხადების მიუხედავად "ისინდში" საქმის გასაგრძელებლად კეთილი ნება არ ეყო, უმჯობესია ამ აუტანელი ტვირთისგან გავათავისუფლო და ამჯერად მხსნელად მე მოვევლინო, ნაძალადევ პასუხისმგებლობას რომ თავი დააღწიოს და მის მტანჯველ ყოყმანსა და არასწორ, სახიფათო ქმედებას ბოლო მოეღოს, რითაც ჟურნალი თვალშისაცემად ზარალდება. ღმერთმა იქ გაუმარჯოს, სადაც მიუხარია და თავს უკეთ იგრძნობს ვიდრე ჩვენს გუნდში, რომელიც მის ყველა ინიციატივას გზას უყოყმანოდ უხსნიდა და რასაც დაწერდა, ყველაფერს დაუბრკოლებლად უბეჭდავდა, რაც ასე იოლად და უმტკივნეულოდ თვით გენიოსებსაც იშვიათად ღირსებიათ არათუ ახალგაზრდა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებელ შემოქმედს, რომელმაც საუკეთესო გუნდის წევრობა რამდენიმე შანსის მიუხედავად ვერა და ვერ შეიშნოვა და უწყვეტი ხელშეწყობის სანაცვლოდ ჟურნალსა და თქვენს მონა-მორჩილს თავს არაერთი უსიამოვნება დაატეხა. როცა ადამიანს უწყვეტი სიკეთისა და ხელშეწყობის ფონზე მშვიდობიანად ვერ მოიარშიებ, სხვა გამოსავალი აღარ გრჩება გარდა იმისა, მისი მავნებლობისგან საბოლოოდ გათავისუფლდე. მაშასადამე, ამ პირობების გათვალისწინებით "ისინდის" ახალ გვერდს დავაარსებ რათა ჩვენს მყარ პუბლიკას ახალი მასალა შეუფერხებლად მივაწოდო. მესამე და ხელმართალიო, უხსოვარი სიბრძნის უპირობო გამოძახილია. გ. შიშნიაშვილმა კი მის მიერ მეორედ დაფუძნებული გვერდი მშვიდობაში მოიხმაროს, ეს მისი სრული უფლებაა; სხვისი ნაშრომი არასდროს მიმითვისებია და რადგან ვირტუალურ გვერდს მის ხელში თავისუფლად მოქმედება და განვითარება ჩემი დაუღალავი და მშვიდობიანი მცდელობის მიუხედავად არა და არ ეღირსა, მკითხველმა თავად, სხვის დაუხმარებლად, მხოლოდ ფაქტების მეშვეობით განსაჯოს მეორედ გაუქმებულ გვერდის წინ თავდაპირველად დაარსებული "ისინდის" ვირტუალური გვერდი როგორ გაადგურდა, მე ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი სამხილის უქონლობის გამო. ლოგიკური დასკვნის გამოტანას კი ყველა სხვის დაუხმარებლადაც არსებული მოცემულობის მიხედვით შეძლებს, ცხადია. აქვე დავაზუსტებ: "ისინდის" ახალი, მესამე და ვიმედოვნებ, საბოლოო გვერდის დაარსების შემდეგ მსგავსი ტექნიკური სახის პრობლემები თუ განმეორდება, ჩემი მხრიდან ჟურნალის ვირტუალური გვერდის უსაფრთხოების დასაცავად უპასუხოდ არ დარჩება და ცხადია, მხოლოდ სტატიის გამოქვეყნებით არ შემოიფარგლება.

„პირად შეურაცხყოფას ადვილად ვაპატიებ კაცს, ხოლო ნაციონალურ წმინდათა - წმინდის შებღალვას კი - ვერა." – უდიდესი ქართველი პატრიარქის, წმინდან კირიონ მეორის სიტყვები ნათლად მიუთითებს, რომ ეროვნულ საქმეს არ ეღალატება თუკი საამისო პასუხისმგებლობას იტვირთავ და როდესაც მას მუხანათურად განუდგები, მეტიც, ვერაგულად აზარალებ, საზღაური აუცილებლად წამოგეწევა.

და ბოლოს, ვისთვისაც შურისძიება უპირველესი იარაღია, მისთვის ქრისტეს ცრემლები რამდენად ახლობელია, დაე, თავად უფალმა განსაჯოს, მე კი ორგზის ჯვარცმული "ისინდის" ახალ გვერდს მესამედ იმ იმედით განვაახლებ, რომ ჩემი ერთგული მკითხველი ჩემს შეუპოვარ და თავდაუზოგავ ბრძოლას ეროვნული მწერლობის დასაცავად სათანადოდ შეაფასებს და არასდროს დამზარდება ყველაზე მებრძოლი ჟურნალის მნიშვნელოვანი საქმიანობა როგორც წერილობით, აგრეთვე ციფრული წესით მყარად დააგემოვნოს.

"ისინდის" ბრძოლა სიმართლისთვის წინაღუდგომელია და ამიტომ ღმერთი განსაცდელის მიუხედავად ყოველთვის მაძლევს ძალას, ჟურნალს არც თუ სახუმარო წინაღობები დროულად ავარიდო და დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო. ის, ვინც მახვილს პირველი აღმართავს, მახვილითვე განიგმირება, ბიბლიური სიბრძნე ყავლგასუვლელია და სიყალბის მომხრეს ადრე თუ გვიან იმას მიუზღავს, რასაც მართალი საქმის შემფერხებელი იმსახურებს. "ისინდის" ვირტუალური გვერდის ისტორია კი უწყვეტად გრძელდება...

30. 09.2020. — 23.04.2021.

პოეტ პოეტიშვილი
(პაატა სურმანიძე)

ისინდი

სინდისის გზაზე ისინდი ვიდა,
თავს დაივანებს, ცადამიანად.
სიმართლის გზაზე მისინდი ვივად,
ცნობს ადამიანს - ადამიანად!

ეს ქართულია, ისინდურია...
მთვარე ნანაობს ბანადარკული.
ეს მოწოდება ისინდურია,
და შეძახილი ჟანა დ'არკული!

სინდის-ნამუსიც ისინდელია,
ჯვაროსნებს ვიცავ, ასასინებით.
ჰყვება სიმების სისინს დელია,
მომხდური გვიტევს ასასინებით!

აქაფდა რბენით ღრუბლის პერგარსი,
ეტლს მიაქროლებს, დასი სინდების:
ქურან-მერანი-ლურჯა-პეგასი,
ოთხ მხარეს იჭერთ, ცას ისინდები!

11 აპრილი, 2021

ყორნის გვირგვინი!

შავ დროს მამეფებს კორონი და,
ვირგებ იანუსი უვენალს.
ყორნის გვირგვინი კორონიდან,
ყვავს უთეთრებდა იუვენალს.

მზეს დაგვიბნელებს ორიონი,
შიში ყვავ-ყორნის, კვლავ კორონის.
ვერ გჭრი მშვილდოსანს ორიონი,
ხელს გთხოვ, უარი მკლავს კორონის!

დაჩრდილულ ცაზე კორონა ზის,
შავ ქორწილს გიხდის დიადემას,
ხმა გაქვს ქორების ქორო, ნაზი,
ვატარებ ყორნის დიადემას!

11 აპრილი, 2021

რიონი!!!

ხალხში დიდ მუხტს ააფეთქებს შეჯახება ორიონის,
ბატონებო დამერწმუნეთ არ გახდება
ყმა -რიონი.
გვერდში უდგას შორიონი და მაღალი და ნორიონი.
ცხენისწყალზე ამხედრდება რიონამდე მაყ-რიონი.
დინება რომ შეგიცვალონ, კალაპოტი აგიმ-ღვრიონ,
ამ სისხლს გისხამ არტერიას, შენთვის სისხ-ლსაც დავღვრი, რიონ.
წყალწითელა შეიღება ერთდროს სისხლით კირიონის,
დღეს მოწმეა მოწამეთა და მდინარეც კირიონის.
აქ იუდას სამებაა, ერთი სახით ვახ, ტრი-ონით,
არც თავს გერად არ მიიჩნევ, ჩვენი შვილი ბრგე რიონი!
ჩვენს გვერდში დგას ჯვარიონი და არაგვი ბახტრიონით,
არაფერი აგერიონ, თქვენ, შვილებო გერი-ონის.
შენი ლექსის კალაპოტში, ეს სტრიქონიც შევარიონ,
გამოვფხიზლდეთ თავს ნუ ვიხრჩობთ, მოგვი-წოდებ, ჰე, რიონი.
ილარიონ, ბესარიონ, კვირიონ და სევარიონ.
ჰერი ერი, ჰერი ბერი, ასე მღერის ჰერიონი!

საამბორო ბორიონი გიგზავნიან,
ო, ფიცს რიონს,
ხმაში თრთოლვა მეპარება,
რომ წარმოვთქვამ ბაგით რიონს.
ვეუბნები ცენტურიონს, მხედრიონს და ოფიცრიონს,
მტრებს მზაკვრულად დაუგეგმავთ,
რომ ფსკერამდე ჩაგითრიონ!
ცაზე მთვარე ემბრიონის, რადგან ვაი გივერიონს,
იმედს მაძლევს გაბრწყინების
წმინდა შუქი მე რიონის.
იმერიონს - ამერიონს, ქიმერიონს, ივერიონს.
ერთიანი საქართველო უნდა უქიმერიონის!

15 აპრილი, 2021

დავით გარეჯა

შაშით გასხვისდა ერთ დროს ჰერეთი,
დღეს ხომ არ ჩადეს გარე ჯიბე-ში ?!
გულის ჯიბეში თუ ვერ შევერთდით,
ჯიბგირი ხელს ჰყოფს, გარე ჯიბეში.
თუ უდაბნოში გაცივდა ლავრა,
ასურელ მამის ანდერძს ვასრულებთ?!
ძლიერ მაწუხებს, განვიცდი მძლავრად,
შედეგს არავინ მაძლევს სასურველს.
ვცდილობ და სიტყვით გეგარეჯები,
შიგნითაც ბევრი გარე ჯიშია.
არავინ იცის გეგმა რეჯების-
-პირღია მთვარეს გარეჯიშია.
სულო, მდინარით გაჯერებულო,
წაღებული გაქვს გარს ჯებირები.
აზერ! შენს ალაგს დაჯექ! რებულო!
თორემ მტრობაში გაგეჯიბრები!
მაქვს კბილებშუა თმენა გაჯრილი,
ბოლოს კი მტრისას თუკი ვიფეთქებ,
მოყვრობისთვის მაქვს ენა გარჯილი,
თუმც, მტერს ნიადაგ უკეთ ვაფეთებ.
ნოტას ვუგზავნი საგარეო ჯიშს,
გადამდგარ ნაბიჯს დავით, გარს ეჯით.
საიდან მოხვდით საგარეჯოში?!
საქართველოა დავით გარეჯი!

კარანტინი

შავი მთის წვერი ორმოცის.
ტალანტით ანგრევ ტარანტინს.
შავი ხვრელია ორმოცის,
სინათლეს უწყობს კარანტინს.

სიკვდილს უხმობდა „ვორონა“,
საკუთარ სახლში ვეტევით.
ყვავს გვირგვინს ადგამს კორონა,
კორონალური შეტევით.

საით მოცურავ კორონა
და მიწის ანტივირუსის?
ღვინით გვმკურნალობს ორონა,
კორონასანტივირუსი.

ძალიან გიჭირს ბუფალო,
ცოფზე ცრის ცერბერს პასტერი.
შენ დაიფარე უფალო,
ერის და ბერის კლასტერი.

15 სექტემბერი, 2020

ნამოხვანი!!!

სირცხვილია ჩვენი ხელით მტერს ჩაბარდეს ჰესი ოდეს,
ხალხს არაფერს არ უთანხმებთ და არც ქართველ ჰესიოდეს!
ყელში ბურთი მეჩხირება,რომ ცრემლებმაც ნამოხვანი,
“შინაური მტერი” ჰქვია გამსხვისებელს ნამოხვანის!

მიკვირს, როცა ვერ თანხმდებით ხმოვანი და თანხმოვანი,
რანაირად შეუთანხმეთ, მტერს ორთავემ ნამოხვანი ?!
განგაშის ზარს ლექსით ვრეკავ, სდუმს რი-
ონო, ჰე, სიონი.
ვიღას უნდა ჰიდრო ჰესი, დადგით ქარის ჰესიონი!

8 აპრილი, 2021.

სანდრო ნებიერიძე

წვიმა

მოკლე პროლოგი
ცა გაშავდა.
დაიგრუხუნა და..
დაიწყო.

***

მარადმწვანე ქალაქში გაწვიმდა ერთხელ. მთელი ქალაქი დაასველა ნისლმა და ღრუბლებმა... მწვანე ფოთლებს ზევიდან ესხმებოდა ნაცრისფერი წყალი და უფერულ მტვერს რეცხავდა. მანქანების ჩუმი შრიალი ზოლად გასდევდა გაჟღენთილ ქუჩებს.

ტროტუარზე ხალხი მიდიოდა. როგორც კი ყველაფერი დაიწყო, მაშინვე ყვავილებივით გაიშალნენ შავ-შავი ქოლგები გრძელი სახელურებით... ზოგმა დაიბღვირა, პალტოს საყელო ცხვირამდე აიწია და უკმაყოფილო ბურტყუნით და გუბეებში სწრაფი ჭყაპა-ჭყუპით გააგრძელა გზა; ზოგმა კი კაპიუშონი გადაიწია და სახე თბილ წვეთებს შეუშვირა.. სახეზე გაოცება და ღიმილი უთამაშებდათ.

...ბიჭი ოთახში იჯდა და წერდა. ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე დიდი პარტიტურა ედო, ხელში ფანქარი მოემარჯვებინა და ცალ ყურში ყურსასმენი ედო. ყურსასმენის ზოლი გველივით იკლაკნებოდა და მაგიდაზე უყურადღებოდ მიგდებულ მობილურთან მთავრდებოდა. მობილურში ჩართული მუსიკა ყურსასმენის მეორე ბოლოში ისმოდა ძლივს-გასაგონად; ფანქრის ნერვიული ფხაჭუნი ეხმაურებოდა ფანჯარას მიხლილ წვიმას.

ბიჭი მუსიკას წერდა. ყურსასმენიდან გამოსულ ბგერებს არც უსმენდა, ფანქარს თითებს შორის ათამაშებდა და მშვიდად უყურებდა მოყვითალო ფურცლებს; დროდადრო მხარს იცვლიდა და წყნარად ამოისუნთქებდა ხოლმე, მერე კი შავ თმას იჩეჩავდა და ცხვირზე ჩამოცურებულ სათვალეს ისწორებდა.

...წვიმა ისე დაიწყო, ბიჭს თავი არც აუწევია. წერდა შეუჩერებლად, რაც ფურცელზე გადაჰქონდა, თავში უგუგუნებდა. ერთ მომენტში ყურსასმენი გამოიძრო ყურიდან და მაგიდაზე

მიაგდო, უფრო წინ გადაიხარა და ღრმად ჩაეფლო მუსიკაში.

რამდენიმე ფურცლის შევსების მერე, ამოიოხრა, ფანქარს ხელი უშვა და სკამზე გადაწვა.

სიჩუმეს უსმენდა.. და წვიმას, რომელიც აქამდე მის მუსიკაში მოდიოდა.

ფანჯარაში გაიხედა. წვეთებით დაცხრილული მინა ნაცრისფერი სინათლით ბრჭყვიალებდა. წვიმა ფანჯარასთან მოსეირნე ფოთლებს აშრიალებდა.

ბიჭმა გაიღიმა. „წვიმს...“ გაიფიქრა კმაყოფილებით.

რამდენიმე ხანი გარინდული იჯდა და სველ ხმაურს უგდებდა ყურს, მერე კი წელში გაიმართა და პარტიტურას მიუბრუნდა.

გარეთ ყველაფერი სისველემ მოიცვა. ქუჩაც, ხეივანიც, და ბიჭის ფანჯარაც.

***

(ეს წესით არ უნდა შედიოდეს მოთხრობაში. უბრალოდ, ახლა, როცა ამ სიტყვებს ვწერ, წვიმა მოდის გარეთ. მაშინ დაიწყო, როცა ‘‘გარეთ ყველაფერი სისველემ მოიცვა“. გაუთვალისწინებელი მოულოდნელობაა ნამდვილად.)

***

სველ ტროტუარზე ძაღლი მირბის. სცხელა, ენა გადმოუგდია და დრუნჩიდან წვეთები მოსწვეთავს. წვრილი, პატარა თათების მოძ-

რაობა რიტმად გაჰყვება წვიმის ხმას. დროდადრო ჩერდება, ქუჩას გაყოლებულ მწვანე, გაჩეჩილ, სველ ხეებს უყურებს. უცბად სერიოზულდება, თვითონაც არ იცის, რატომ. მერე იღიმის, თვალებს ოდნავ ჭუტავს და გადმოგდებული ენით აგრძელებს გზას. ხალხი გვერდს უვლის, მაწანწალა ძაღლების ეშინიათ. ძაღლს არავინ აინტერესებს, ყველას ენაგადმოგდებული უღიმის და ცდილობს, ქუჩა გადაჭრას.

წვიმა ძლიერდება. წვეთები სეტყვასავით ეცემიან შავ ასფალტს, ბორდიურებთან პატარა მდინარეები მიედინება. ირგვლივ დასველებული ხეების მომწვანო ნაცრისფერი სინათლეა ჩამოწოლილი. შხეფები მიწას ეცემიან, ისხლიტებიან და გზაზე ნისლს ქმნიან.

ძაღლი ყურადღებით ათვალიერებს გარემოს. წვიმა მოდის და იცის, რომ ბევრ რამეს ვერც გაიგონებს, ვერც დაინახავს, ასე რომ წყლით გაჟღენთილ წვეტიან ყურებს მაღლა სწევს და ემზადება.

მერე მიწას ყნოსავს და გზაზე გადარბის. სწრაფად. ნისლი ხედვაში უშლის ხელს, მიწასთან დაბლაა და არაფერი ჩანს, ისიც თვალებს ხუჭავს და ყნოსვით იგნებს გზას.

ყურები დაცქვეტილი აქვს, წვიმის ყოველი წვეთი თეფშის რეკვასავით გაისმის გონებაში. წარმოსახვაში ხედავს, როგორ ჩარიგებულან ხეები გრძელ ქუჩაზე, როგორ ეფერება წყალი ფოთლებს, როგორ დასველებულა ხეთა ვარჯები ციური ცრემლით...

ნაცრისფერი სინათლიდან გამომტყვრალი მანქანა უჩუმრად ეჯახება ძაღლს. შეჯახებისას უცნაურად საწყალობელი, სველი და თბილი ხმა ისმის, ძაღლი კი უხმოდ მიფრინავს წვიმით გაჯერებულ ჰაერში.

პატარა სხეულის დაცემისას მხოლოდ წყლის ჭყაპუნი ისმის. ნაცრისფერი წყლის გუბეში დაეცა ძაღლი. მოდის წვიმა, ის კი იქვე წევს, ჩუმად და წყნარად, ხმას აღარ იღებს, ვეღარც ამოიღებს უკვე, წვიმა კი ნაზად ეფერება, თბილი წვეთებით ეფერება, რბილ ბეწვებზე ეალერსება, ძაღლიც ხომ ისეთი თბილია, ისეთი საყვარელი...

***

„ის ხომ ისეთი თბილია, ისეთი საყვარელი“, ფიქრობს ქალი და ვარდისფერ ბავშვს დასცქერის. ჩვილი ხმას არ იღებს, ტუჩებს აცმაცუნებს და დედას გაკვირვებული უყურებს. პატარა თითები პირთან მიაქვს და იშმუშნება. თვალებს ლულავს და პატარა, ახალთახალი სხეულით ცდილობს, გაიზმოროს.

ქალს ეღიმება. ტკბილი ტკივილი წიაღში ქრება უკვე, გამქრალია თითქმის, მხოლოდ სასიამოვნო სისველე და გუგუნი შემორჩა. ყველაფერი თბილია და ღუნღულა, დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ მყუდროდ დანთებული კოცონივით. უბალნო თავზე ეფერება ახალშობილს, გრძელი თითებით უსინჯავს თავს, პაწია ყურებს, კიდევ უფრო პაწია ცხვირს და დიდრონ თვალებს თითის წვერებით ეხება ნაზად. ჩვილი იღიმის და დედის გრძელ თითებს ორივე ხელში იქცევს. იქვე ექიმები და ბებიაქალები ტრიალებენ, ამოწმებენ რაღაცეებს, ჩუმად ლაპარაკობენ ერთმანეთში და ხანდახან თბილ, ღიმილიან მზერას აპყრობენ დედას და შვილს. დედა იღიმის, მაგრამ ვერ ამჩნევს ვერაფერს, დაბნეული და გახარებული თავის ბიჭუნას ეფერება ისევ, ის ხომ ასეთი ბედნიერია..

გარეთ წვიმა ეხლება ფანჯარას. დედა თავს სწევს და ღიმილით იყურება ფანჯარაში. „წვიმს“, ფიქრობს ქალი და ბავშვს ნაზად ეალერსება. „წვიმის დროს დაიბადე, პატარავ“, ეუბნება ახალშობილს და მასაც სახე უბრწყინდება, „წვიმის, სისველის დროს დაიბადე...'', ჩურჩულებს ქალი და ფანჯარაზე წყლის წვეთების ხმაურს უსმენს. მაინც რა მშვიდია ყველაფერი, როგორი სველი, ლამაზი და მწვანე... გარეთ ქუჩაში მოშრიალე ხეების რწევა ისმის, წვიმა კი მოდის, მოდის, არ ჩერდება, მოდის და მიაქვს მტვერი, ჭუჭყი, ყველაფერი მიაქვს. თბილ ნისლში მყუდროდ ეხვევა მარადმწვანე ქალაქი.

„შენც ამ წვიმასავით მშვიდი ხარ, პატარავ“, ამბობს ქალი და ბავშვს ფრთხილად იკრავს გულში. პატარას შიში იპყრობს, ცხვირს აცმაცუნებს და სახე ეღუშება.

გარეთ ხეებს არწევს წვიმა. ქალი კი ახალშობილს არწევს მკლავებში.

ბიჭუნა თვალებს ხუჭავს და ჩუმად ტირის. ცრემლები მრგვალ ლოყებზე ჩამოსდის, მიგორავს და დედის თითებზე ეწვეთება. ჩუმად ტირის, მაგრამ ისეთ შეგრძნება ეუფლება ყველას, თითქოს მხოლოდ მისი ტირილის ხმა ისმოდეს და მეტი არაფერი.

''ჩემი პატარა", ჩურჩულებს ქალი, მოჯადოებული გასცქერის წვიმას და შვილს წყნარად არწევს, ''ჩემი პატარა ბიჭი"...

წვიმა მოდის გარეთ. არა და არ ჩერდება, პირიქით, იმატებს კიდევაც, მაგრამ მაინც მშვიდად, აუღელვებლად, თბილად წვიმს...

''შენი ცრემლებია წვიმა...", დასჩურჩულებს ქალი პატარას, ''შენი ცრემლები წვიმს".

და მართლაც, თითქოს მხოლოდ ბავშვის წყნარი ტირილი ისმოდეს ქალაქში.

***

დიდი, გაჩეჩილი, სველი ჭადრის ქვეშ ხის გრძელი სკამი დგას. ისიც სველი იქნებოდა, რომ არა სამი უსახლკარო კაცი, რომლებსაც წვიმამდე დაეკავებინათ ადგილები. წვიმაც მათ ასველებს და არა სკამს, კაცები კი მოღუშული, პირქუში სახეებით სხედან და მიწას ან თავიანთ ხელებს დასცქერიან.

ჩუმად სხედან. რაც წვიმა დაიწყო, არავის ამოუღია ხმა. ალბათ იმიტომ, რომ ხვდებიან, ასეთ დროს სიტყვები მხოლოდ აფუჭებს საქმეს. სხედან წყნარად, ყველა თავისას ფიქრობს და ყველა თავის წვიმას უსმენს.

წვიმა უფრო ძლიერდება. მსხვილ, დიდრონ წვეთებს ასხამს და ძირითძირობამდე ჟღინთავს ყველაფერს. კაცებიც სხედან, იჟღინთებიან თბილი, მოალერსე წყლით.

''წვიმა კარგია..", ჩურჩულებს ბოლოს ერთი.

ორივე თავს სწევს და უხმოდ უყურებენ სიჩუმის დამრღვევს.

ისიც თავს სწევს და აკვირდება სხვებს.

''მამშვიდებს წვიმა, წყალი მამშვიდებს..", ცდილობს კაცი; სხვები ჩუმად უმზერენ მას.

''ჩემშიც წვიმს, ნუთუ ვერ ხედავთ? '', იხვეწება ის და ვედრებით შეჰყურებს დანარჩენებს, ''წვიმა ჩემშია, და მე ვარ მასში, ის მე ვარ..." ამბობს კაცი, უფრო ხმამაღლა.

''წვიმა ჩემი მეგობარია, გესმით?! '', სასოწარკვეთილი იძახის ის და ხელებს იწვდენს კაცებისკენ, '' როცა წვიმს, მე ბედნიერი ვარ, როცა ვსველდები, ვორთქლდები და ყველაფერს ვხედავ, გესმით, არა, არ გესმით, ვერ გაიგებთ, წვიმა მხოლოდ მე ვარ, მხოლოდ მე მახარებს სველ, ნაცრისფერ საბანში გახვევა და ნისლში ჩაკარგვა, მხოლოდ მე მიყვარს სველი ფოთლების შრიალი, მხოლოდ მე მაბედნიერებს მილიონობით პატარა წვეთად ქცევა და კილომეტრებიდან მიწაზე დანარცხება, გესმით, არ გესმით, ვიცი რომ არ გესმით, ვერც გამიგებთ, არაუშავს, ხალხს ხომ არ უყვარს, როცა სველდებიან, ისინი ხომ ქოლგებს შლიან და ცხვირწინ მიჯახუნებენ კარს, არ უნდათ, წყნარად მოვეფერო სახეზე, ტანზე მოვეალერსო და თბილი წყლით გავუგრილო უაზრო, შეკრული სახეები... არ უყვართ წვიმა, არ ვუყვარვარ, მაგრამ თქვენ ხომ გიყვართ, ვიცი რომ გიყვართ, არაუშავს თუ ვერ გამიგებთ, მთავარია, რომ გიყვართ წვიმა, მთავარია, რომ გიყვარვართ..." ჩურჩულით, ციებცხელებიანივით ლაპარაკობს კაცი, ბოლოს დუმდება და ცალკეული სიტყვების შრიალი თუ ისმის მხოლოდ..

კაცები ჩუმად, პირქუშად უყურებენ მას. არცერთი პასუხობს სიჩუმის დამრღვევს, ის კი საკუთარი სიტყვების ციებცხელებიან შრიალში იკარგება, როგორც დასველებული, მწვანე ფოთლები თავსხმა წვიმაში.

კვლავ სიჩუმე ისადგურებს. წვიმს მხოლოდ.

''არა.", ამბობს მეორე. ეს ერთადერთი სიტყვა მეხის გავარდნასავით ისმის წვეთების ჭყაპუნში. ვარდება კიდეც, ავისმომასწავებლად გრუხუნებს და რამდენიმე წამის დაგვიანებით სტყორცნის თორი ურუოს. ცა თეთრდება, მერე კი ისევ ბნელდება და აგრძელებს წვიმა არემარის წყლით გაჟღენთას.

''არ ხარ შენ წვიმა." მეორე კაცი პირველს უყურებს, მის მზერაში ზიზღი და სხვა, უცნაური გრძნობა ჩანს, ''აბა, შეხედე შენს თავს,

რანაირი წვიმა შენ ხარ? არც კი ჰგავხარ, არც ხასიათით, არც გარეგნობით და არც არაფ-რით!“ კაცი ნელ-ნელა ხმას უწევს, იძაბება. კიდევ ვარდება მეხი. პირველი კაცი კუთხე-ში მომწყვდეულივით იკუმშება, პატარავდება და ასცქერის ზემოდან წამომართულ მეორეს. მესამე... მესამე სადღაც სხვაგანაა.. არაფერს უყურებს, არაფერს ხედავს და არაფერი ესმის. წვიმის ხმაურიც აღარ არსებობს მისთვის.

‘‘არ ხარ შენ წვიმა!“ ამბობს მეორე და დგება,“ წვიმა დაუნდობელია.“, ამ სიტყვებზე ის კბილებს კრეჭს და სახეში უყურებს პირ-ველს, ‘‘წვიმა მხეცია, წვიმა ბოროტია და სას-ტიკი,“ პირველი უკვე სასოწარკვეთილებამდეა მისული, ‘‘ის არასდროს დაგინდობს; დაგ-ასველებს, წყლით გაგჟღინთავს, ამოგალპობს და აზროვნების უნარს დაგიკარგავს! ‘‘, მეორე ყვირის თითქმის, ‘‘თქეშს დაგიშენს, ტანსაც-მელს შემოგახევს, თავში ათასობით მწველ, ცივ წვეთს დაგახლის და ცივ, ბლანტ, საზიზ-ღარ ნისლში შეგითრევს! იქ კი, საბოლოოდ დაბრმავებულს და სასოწარკვეთილს, სეტყვით და ყინულით მოგიღებს ბოლოს! იქამდე დაგი-შენს საძულველ წყალს, სანამ შენც წყლად, სისხლად, თხევად მასად არ გადაიქცევი, მხ-ოლოდ იმისთვის, რომ აორთქლდე და მას შეუერთდე, რომ შენც წვიმად მოევლინო ქვეყ-ანას! ხარ შენ ასეთი?! მიპასუხე, ხარ შენ დაუნ-დობელი, საზიზღარი, მწველი და სასტიკი?! ‘‘ კაცი ყვიროდა, პირველი კი თავზარდაცემული უყურებდა პირში, ‘‘არ ხარ! არ ხარ და ვერც იქნები! არაფერი ხარ შენ! ‘‘ამ სიტყვებზე კაცი უცებ ჩუმდება, პატარავდება და მოწყვეტით ეცემა სკამზე.

ისევ გრგვინავს და ნათდება ცა. წვიმა მო-დის, თბილი, ალერსიანი წვიმა, თუ ბოროტი, დამცინავი?..

ორივე ჩუმდება. მესამე ისედაც ჩუმადაა. წყნარად ჩამოსდის სახეზე წვეთები და უემო-ციო სახით იყურება არსაით.

ხეები შრიალებს. ისევ ნათდება ცა და ის-ვრის თორი ურუს.

ახლა პირველი და მეორე მესამეს უყურე-ბენ. ის არაფერს ამბობს, მაგრამ ორივემ იცის, რომ უნდა თქვას. სხვანაირად არ გამოვა. ასე უნდა იყოს.

გრძელი სიჩუმე ჩამოვარდება.

და მართლაც, მესამე აღასრულებს დაწერ-ილს.

‘‘დღეს ჩვენი ტანსაცმელი კარგად გაირეცხება..“ ამბობს იგი დინჯად, მშვიდად, უემოციოდ, და თავზე ხელს გადაისვამს. მერე ჩუმდება და ისევ არსაით აგრძელებს ყურებას.

წვიმა წყდება ნელ-ნელა... ხეებს აშრიალებს წყლის წვეთები.

***

...ბიჭმა წერა დაამთავრა. უხმოდ გადადებს პარტიტურას, ნელა დგება სკამიდან და იზ-მორება.

გარეთ წვიმა წყდება ნელ-ნელა... ბიჭი მაგიდაზე იხრება, ფანჯარას აღებს და ხარ-ბად ისუნთქავს ნაწვიმარ ჰაერს. მერე რაფაზე ჯდება და თავის ქუჩაზე ჩარიგებულ ხეებს გა-ჰყურებს.

სველი ხეებიც იზმორებიან თითქოს, აღარ შრიალებენ ისე ძალიან, წვიმა კი ეთხოვება მა-რადმწვანე ქალაქს.

ბიჭი მუსიკას უსმენს. განა ყურსასმენში, არა, მას გონებაშიც ესმის ყველაფერი. და ბო-ლოს და ბოლოს, წვიმა ხომ ჯერ კიდევ მოდის?

უსმენს და თან ყველაფერს ათვალიერებს.

ხედავს ქუჩის ბოლოში მწოლიარე მაწანწა-ლა ძაღლს...

ხედავს ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე ფანჯარაში ანთებულ შუქს და ქალს ბავშვით მკლავებში...

ხედავს სამ უსახლკარო კაცს, რომლებიც უიმედოდ ჩამომსხდარან ტროტუართან მდგარ ხის სკამზე...

ბიჭი ამ ყველაფერს აკვირდება. მერე სათ-ვალეს ისწორებს, თმას იჩეჩავს და ფანჯარას ხურავს.

წყდება მუსიკა, მაგრამ ჯერ წვიმს მაინც, კიდევ წვიმს...

ჯემალ მეხრიშვილი

ასფურცელა ოთხი წლისაა!

„ისინდი; უკვე ოთხი წლის გახდა! თუმც ლიტერატურული ცხოვრებისთვის ეს მხოლოდ წამიერი გაელვებაა, მაგრამ ჟურნალმა ამ მცირე დროშიც შეძლო სახელის განთქმა! ეს კი მისი დამაარსებლისა და რედაქტორის, ქ-ნ იკა ქადაგიძის დამსახურებაა, ვინაიდან თვალსა და ხელს შუა ააღორძინა მავანთაგან სხვადასხვა მიზნითა და მიზეზით წლების მანძილზე გზაგადაღობილი ლიტერატურული კრიტიკა!!!

გასაოცარია, კრიტიკული მასალა როგორი მწვავეც უნდა იყოს, თუკი ის სამართლიანია, რედაქტორი შეუკრთომლად ბეჭდავს, სტატიის ავტორი თუგინდ თავისი მოსისხლე მტერიც იყოს და ეს კრიტიკა ვისაც არ უნდა ეხებოდეს!

ამით პრინციპული რედაქტორი მწერლობასა და მკითხველ საზოგადოებას თითქოს ამშვიდებს - კრიტიკული სტატიების გამოქვეყნებით ქვეყანა არ იქცევა!

პირიქით, მხატვრული ლიტერატურის განვითარებისთვის კრიტიკის ჟანრიც ისეთივე აუცილებელია, როგორც მოსახლეობისთვის, მაგალითად, საყოველთაო საექიმო შემოწმება ანდა კომუნალური ჰიგიენა.

ჯემალ მეხრიშვილი

დროის პერიოდები

ო, რა დრო დაგვიდგა! რას მოვესწარით!
ციცერონი

1

ღმერთო, თუგინდ მათუსალას ასაკს გადააშორე დიდებისა და უკვდავებისთვის მოჩალიჩე ეს ამოდენა ე.წ. მამულიშვილები, შემოქმედნი თუ საზოგადო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხალხს ყელს რომ აჭრევინებენ თავ-თავიანთი გამოგონილი ,,დამსახურების" გაუთავებელი ჩამოთვლითა და დებილური პრეტენზიების ბჟუტურით! თანაც მაშინ, ჭერი თავზე რომ გვენგრევა და გაუბედურებული საქართველო ნალსა და ჩლიქს შუა გამოდის!

ცხადია, მკითხველები დაიბნევიან: თუკი ასეა, აბა, ღმერთს მათ დღეგრძელობას რაღას შესთხოვო?! ჰმ! მათ კიდევ ჯვარი სწერიათ — რაღაც საზღვრებსა და ზომიერებას ასე თუ ისე, მაინც იცავენ!.. მაგრამ რომელიმე მათგანი გარდაიცვლება თუ არა, მერე იწყება, რაც იწყება! მათი ოჯახის ერთ-ერთი, ყველაზე უკანდაუხეველი, თუჯისშუბლიანი წევრი ყოველგვარ კანონიერ წინაღობეს კულაკურ-კამეჩურად აწვება, რათა რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი ,,ღირსეული", ,,დაჩაგრული", ,,აუღიარებელი" ,,მიჩქმალული" თუ ყველასათვის ჯერ უცნობი ,,გენიოსი" დროზე გააუკვდავოს!!!

აგერ, ერთ-ერთ ქალბატონს, თუგინდ ცარიელ სატვირთო ვაგონს რომ გადააყირავებს, ერთი ვირის საპალნე ხელმოწერები შეუგროვებია და თავისი ჭკუით საჭიროდ მისაჩნევ ინსტანციებს კარს უტალახიანებს: მთელი თბილისი მოწმეა, ჩემი ძმა სუფრასთან სამი დღე-ღამეც რომ მჯდარიყო და ექეიფა, გარეთ (ე.ი. მოსაშარდავად!) ერთხელაც არ გავიდოდაო!!! ჰოდა, ეროვნულ გმირად ეხლა მაინც გამოაცხადეთ და დედაქალაქის რომელიმე ,,ფარსაგი" რესტორნის წინ ძეგლი დაუდგითო!..

თბილისში რომელიღაც სოფლიდან დილის ავტობუსს ჩამოყოლილი და ამოჩემებულ დაწესებულებაში გამოცხადებული გაშავრკინებული ხნიერი ქალი ერთ-ერთი განყოფილების გამგის მისადგმელ მაგიდაზე საქმიანად ალაგებს ავტოავარიაში ნაადრევად დაღუპული თავისი დისწულის ლექსების ხელნაწერებს.

მერე კი, როგორც წყალგაუვალ თვალსაჩინოებას, მოჩვენებითი მოთმინებით მოჩერებულ სათ-

ვალიან გამგეს ცხვირწინ თავდაჯერებით უშლის მრავალტირაჟიანი გაზეთის შელახულ ნომერს.

- აი, ის ადგილები გახაზულიცა მაქვს — 1988 წელს გამოქვეყნებულ თავის პოემაში ლომისდარმა — დეიდა მოუკვდეს! — რუსეთის პოლიტბიუროს წევრები გაუმაძღარ მონღოლ მთავრებს შეადარა!. მითხარით, იმჟამად ამაზე მეტი რაღა უნდა გაებედათ?!. პირველი მდივნის მითითებით რაიმილიცია მოსაკლავად დასდევდა და ერთხანობას მთაში ძმადძრახულთანაც იმალებოდა!..

- ჰმ, ჰმ!

- ხოლო მისი ლექსების ხელნაწერებს მელნის გაშრობასაც არ აცლიდნენ და... დღესაც გაიმღერიან!

- ვინ?

- ყველანი!.. მთელი რაიონის მედოლგარმონეები... მედუდუკეები... ჩვენი ანსამბლის, ,,შეხტი, შემობზრიალდი!" წევრები... ჰოდა, ნუთუ არ დადგა დრო, ჩემი დისწულიც ფუნიკულიორზე ანდაც დიდუბის პანთეონში გადმოასვენონ!

- ეგ ასე არ ხდება, ქალბატონო!

- მაშ, როგორ ხდება?!. შეუძლებელია?!. აბა, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაქოდან, ვასილ ყიფიანი კი — აკაკიმ ,,განთიადისას" რომ მიუძღვნა! — როსტოვიდან როგორ გადმოასვენეს?

2

- ქალბატონო, ჯერ ერთი, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაქოდან კი არა, განჯიდან გადმო...

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს! ხომ გადმო...

- ხოლო ყიფიანს ვასილი კი არა, დიმიტრი ერქვა და თანაც გადმოასვენეს არა როსტოვიდან, როგორც თქვენ ბრძანეთ, არამედ ნალჩიკიდან!

- მით უმეტეს — ჩვენი სოფელი უფრო ახლოს არ არის?!. აჰ, შეუძლებელია, არა?!. აბა, ლომისდარსაც ჰყოლოდა პატრონი, აქამდე უკვე...

- ქალბატონო, მაგას ჩვენ არავინ გვეკითხება — ეგ დროის საკითხია! დრომ უნდა...

- დრო რა შუაშია?! გულთან დღესვე თუ არავინ მიიტანა, მერე უფრო ვინღა შეიწუხებს თავს?!.

ან დროს სად ველოდო?!. ამას ისე არ დავტოვებ — ბლუაშვილთანაც მივალ!.. ბოდიში მომითხოვია შეწუხებისთვის!.. ნახვამდის!..

პარლამენტის ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარის კაბინეტში შეშვებული წარმოსადეგი ქალბატონის თავდაჯერებულ მზერას ვერაფერს დააკლებს ცეცხლი, მახვილი, ტყვია, ხერხი, შიში, ქლიბი, შეგონება, ურო, ელექტრობურღი!.. მას ,,სამართლიანი" მოთხოვნა ამოძრავებს — მისი ძმა დიდ ქართველად აღიარონ!

- რის საფუძველზე, ქალბატონო?

- 1983 წლის შვიდ ნოემბერს ჩემმა ძმამ რაიკომის შენობის ფასადიდან დილაბნელზე ჩამოხსნა ლოზუნგი ,,პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" დაგრიხა, მეზობლის თხას თოკივით შეაბა და მერე პარადზე ჩამოატარა!

- აჰა!

- ჰოდა, ჩემმა ძმამ ამით შეარყია კომუნისტური იდეოლოგია და სსრკ მალე დაინგრა კიდეც!.. მაშ, ნუთუ არ არის ღირსი, დიდ ქართველთა სახელოვანი პლეადის კაშკაშა თანავარსკვლავედს ისიც ამშვენებდეს?!

პარლამენტარი ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა — ერთი შეხედვით შეატყო, ვისთანაც ჰქონდა საქმე!

- ქალბატონო, კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის!..

ამას კი გპირდებით — სადაც საჭიროა, საკითხს იქ დავაყენებ!. პასუხი გეცნობებათ!.. ეს თქვენი განცხადება კი მისაღებში ჩემს მდივანს ჩააბარეთ!.. კარგად ბრძანდებოდეთ!..

დინოზავრისსახიანი ქალბატონი პარლამენტის შენობას გულის ამრევი გამომეტყველებით ტოვებს,

— თავისი ძმის გაუკვდავების გზაზე უმთავრესი ნაბიჯი უკვე გადადგმულია!.. ერთი რიგითი, უფერული მხატვრის დაია თბილისის მერიაში გადაჭრით მოითხოვს — ჭავჭავაძის პროსპექტის ერთ-ერთ მიმდებარე ქუჩას წოდება შეუცვალონ და მისი ძმის სახელი მიეცეს!

რატომ? რატომ და მის ძმას ჯერ კიდევ 1977 წელს ჭიათურელ მეშახტეთა საფარველით ,,გენიალური" ფერწერული ტილო შეუქმნია - ,,მეტი შავი ქვა კომუნისტურ პარტიას!"

- აჰ, ვიცით, ვიცით ეგ ნახატი!.. თბილისის სხვა რომელიმე რაიონის ქუჩა რომ...

- არავითარ შემთხვევაში! მხოლოდ ვაკეში!.. ილია ჭავჭავაძის...

* * *

ღმერთო, ეს რა დღეში აგდებენ ისედაც ილაჯგაწყვეტილ საქართველოს!

3

შიშით ზოგიერთი გაზეთი აღარ გადაიფურცლება!.. ველარც ტელევიზორი ჩაგირთავს!.. თუ მაინც ვერ ისწავლე ჭკუა ან ვინმეს ხათრი ველარ გაუტეხე და მის შემოქმედებით საღამოზე შეგიცდა ფეხი, მალე ახალი თავსატეხი გიჩნდება: იქიდან როგორმე მეჭორავეთა თვალშეუსწრებლად გამოიძურწო, თორემ ამდენი განდიდების ბოდვისგან შეიძლება გულყრა დაგემართოს — ყველა თავისი სასურველი პერსონის სახელდახელოდ ,,გაუკვდავების" უტიფრულ გაწამაწიაშია და თავიანთ პათოლოგიურ მოუთმენლობასა თუ უსაფუძვლო სურვილებს უდანაშაულო საზოგადოებას თავ-პირში მუხის კეტივით ურახუნებენ: თქვე კრეტინებო, ბოლოს და ბოლოს შეისმინეთ, დაიჯერეთ, შეიგნეთ, დაგვთანხმდით, ჩაინერგეთ და სხვებსაც ჩაუნერგეთ — ჩემი შვილი (ძმა... მამა... ქმარი... შვილიშვილი...) პოეზიის დედოფალი (მეფე, კაპიტანი, პრინცესა, უფლისწული...)... დიდი ქართველი... არქიტექტურის მამამთავარი... პრეზიდენტობის უბადლო კანდიდატი... მუსიკის მაესტრო... ვოკალის გრანდი... სამთაწმინდე მამულიშვილი... ბალეტის მეტეორი... ფუნჯის ჯადოქარი... თეატრის ქურუმი... სცენის ფარაონი... ესტრადის ლერწამი...) იყო ან არისო!!!

ან რა დღეში არიან მავანთაგან მავნებლურად წატყუებული ეს ამოდენა — მოდი, მათ პირობითად ასე ვუწოდოთ — სწრაფი რეაგირების კორპუსის მამაცი ჯარისკაცები! ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობმა პირებმა ვისიმე სახელდახელო გაუკვდავებაში იქნებ როგორმე თვითონაც ჩაიდონ წილი და ტელეეკრანებსა თუ გაზეთის ფურცლებზე მათი გვარ-სახელიც ელავდეს, საძრახისი პოპულარობის წყურვილით გათანგული კაცების ერთი კატეგორია დროდადრო ივიწყებს თავის ღვიძლ საქმიანობას: მენახირეობას... გარევაჭრობას... სტამბა-რედაქციას...

დურგლობას...

ვითომ სამეცნიერო მუშაობას... ბაზრის მეჩეკეობას... ხოლო ასაკგადაცილებული ,,საზოგადო მოღვაწე" ქალბატონები — სარეცხს... უთოს... საოჯახო საქმიანობას... სამზარეულოს... შვილიშვილების მოვლა-პატრონობას... ბაღ-ბოსტანს... ნემსსა და ძაფს... კრუხ-ჭუჭულას და მავანთა ,,გამაუკვდავებელ", თან თავიანთ ,,თავგამოსაჩენ" რაღაც უკბილო ლექსებს, ბალადებს, შაირებს, ბაიათებს, მილოცვებს, პოემებსა თუ სახოტბო ოდა-სადღეგრძელოებს დამშვიდებული სინდისით მჭადივით აცხობენ და... უქვეყნებენ კიდეც!!!

შედეგი? ოოო!..

ერთი სიტყვით, განსჯა-მოთმინება აღარავის ჰყოფნია — თათარიახნად ,,გაუკვდავებულთა" ტვინდაობებულ პატრონებს ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ურჩევიათ!

არადა, დახედული კაცი მაშინვე ხვდება: მოუსყიდველი დრო ქათმის კი არა, მათ შემთხვევაში ჩიტის კვერცხსაც არ ჩაიფიქრებს! ქათამზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია!

ვინ იცის, ამას იქნებ ბევრი ,,გაუკვდავებულის" გონებაბნელი, იხტიბარგაუტეხელი პატრონიცა ხვდება, მაგრამ ველარ გაჩერებულან! ანდა, რატომ უნდა გაჩერდნენ, თქვენი ჭირიმე — ულმობელ დრო-ჟამს თუ ვერ მოაღორებენ, ჭრელ საახლობლოსა და თავიანთი სადარბაზოს ხათრიან მეზობლებს მაინც ხომ აყრიან თვალებში ნაცარს?!

აი, ასე უტიფრად ითითხნება საგვარეულო თუ სულაც საოჯახო კარიკატურული ლეგენდები: ჩემიანი პოეზიის მეტრად... ჰოლივუდში გასაგზავნ კანდიდატად... დიდ ქართველად... მეორე ილია ჭავჭავაძედ.... წმინდანად... ქართული ლექსის რეფორმატორად... პრეზიდენტობის კანდიდატად...

4

საქართველოს უგვირგვინო მეფედ... სამთაწმინდედ უნდა ეღიარებინათ, გამოეცხადებინათო, მაგრამ!..

მაგრამ თავმდაბლობის გამო თვითონა თქვა უარი!.. ერთი ხმაღა დააკლდა!.. ქართველურმა შურიანობამ შეუშალა ხელი!.. თანამშრომელთა ინტრიგამ იმსხვერპლა!.. ჟიური თუ დამკრძალავი კომისია განგებ მისი მტრებით გაავსეს, თორემო!.. ბნელეთის მოუთმენელმა მოციქულებმა საქართველოს არსებობა საუკუნეებით ან წლებით კი არა, ლამის თვეებით გამოგვითვალონ!.. საქართველო ცას ცხვირით ჰკიდია, ესენი კი!.. თუ საქართველო აღარ იარსებებს, მაშინ ვიღა შეინახავს ან ჩვენს ნამდვილ უკვდავთა და მით უმეტეს, ან შინაურებისგან თვითნებურად ,,გაუკვდავებულთა" ხსოვნასა და სახელებს?!

ამ ტვინშედედებულებს ეს შიში ნეტავი ოდესმე თუ გავლებიათ?! აბა, ამათ ხელში საქართველოს რა გაახარებს?!.

ვინ იცის, ამათნაირები კიდევ რას გვიმზადებენ! ამგვარმა შეუპოვარმა მოძალადეებმა თავისიანების ბრინჯაოს ანდა ოქროს უზარმაზარი ძეგლები შეიძლება უცხოეთში ჩამოასხმევინონ, საქართველოში ფარულად ჩამოიტანონ და ერთ დილას რუსთაველის... ილიასა და აკაკის... დავით აღმაშენებლის... არსენა ოძელაშვილის... ვახტანგ გორგასლის... დავით გურამიშვილის... გალაკტიონის... ნიკოლოზ ბარათაშვილის... კონსტანტინე გამსახურდიას... ფიროსმანის... ერეკლე მეორის... ალექსანდრე ყაზბეგის... ვაჟა-ფშაველას... სულხან- საბა ორბელიანის... ზაქარია ფალიაშვილის... ნიკოლოზ მუსხელიშვილის... გიორგი ლეონიძის... მიხეილ თუმანიშვილის ძეგლების გვერდით ანდა სულაც მათ ადგილას აღმართული დაგვახვედრონ!!!

არც გაგიკვირდეთ — ამათნაირებისგან ყველაფერია მოსალოდნელი! აბა, კარგად დააკვირდით: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მავნებლური გამოყენებით ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთურ სამწყვდევს დაამსგავსეს, რათა ისედაც გატანჯულ-გაწამებული საზოგადოების სმენა, მზერა,აზრი, ფიქრი, ვარაუდი, გემოვნება, განსჯა, გულისყური, მეხსიერება, მოთმინება, მახსოვრობა სულ თავისიანების „გაუკვდავების“ ძალადობრივი პროცესის ირგვლივ ატრიალონ და თავიანთი გონებამიღმური ახირება თავში სადისტურად ჩაგვილურსმონ!!! ოღონდ აქ ესღაა გასაკვირი — ეს მარტორქისტვინიანები რატომ ვერ ხვდებიან, ამდენი უღმერთო ძალადობა უკუშედეგს რომ იძლევა ანდა ნუთუ არასოდეს სმენიათ: სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადაო!.. კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი არა იყო რაო!.. ქუხილით წვიმა არ მოვა, დაძახებით კი ლაშქარიო!.. ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო!... თავის ქება კიტრის ფასიაო!.. ღმერთმა ნუ ქნა შინაბერას ბუქნაო!.. ააფრინე ალალიო, რაც არ არი — არ არიო!.. ბოსტნის ბოლოს ქინძარაო, გინდ მდგარა და გინდ არაო!.. მეტისმეტი — რეტისრეტიო!.. ვერ მააწონებ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშიაო!.. კარგნი ვართ, ამას ნუ იტყვი, თავს (შვილს, ძმას, დას...) ნუ დაუწყებ ქებასა, კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა!.. ბევრი მაამო ხარს გააგიჟებსო!.. სინდისიც კარგი საქონელიაო!.. თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო!.. სულში ჩაფურთხებული საზოგადოებაც ხან გებრალება, ხან — გაღიზიანებს: რატომ ისმენს და ითმენს ამდენი ჭკუასუსტის გაუთავებელ ღრიჭინს?! აუცილებლობისას წამქეზებლებსაც და

5

წაქეზებულებსაც გონზე მოსაყვანად ნუთუ ისე ვერ უნდა მოსწიოს სიფხიზლის აღვირი, სულ ლაშები დაეჟეჟოთ?!.

სასოწარკვეთა თავისთავად გპოულობს — ეს რა საზიზღარ მოდას ამკვიდრებენ: აღარავის ხიბლავს თავმდაბალი, რიგითი მოღვაწისა თუ შემოქმედის საჭიროება, აუცილებლობა, მიმზიდველობა, მნიშვნელობა, მშვენიერება!.. რანაირად შეიძლება, ყველა დიდი ქართველი და სამთაწმინდე იყოს?!. ამასთან დაკავშირებით ვინმესთან ლაპარაკი შეგიხვდება და ქვეყნის მომძულებლები მაშინვე პირზე კლიტეს გადებენ — შენ ჩამორჩენილი ხარო!.. ვერ უყურებ, რა დრო დაგვიდგა: შენ თვითონვე თუ არ იზრუნე საკუთარ ან შენიანის გაუკვდავებაზე, მერე თქვენთვისთავს ვიღა გაიცხელებსო?!. ამქვეყნიური ორომტრიალისაგან შენც თავს გარიყულად გრძნობ და ერთადერთი ბედნიერებაღა გრჩება — სევდადაცემული, თბილისური ხმაურისაგან ცოტა მოშორებით, მოუვლელი ტყეპარკის ხექცეულის ტოტებშუა ძაღლივით მოძუძგულმა ღამღამობით შტერულად უცქირო ვარსკვლავებით მოჭედილ ცას!.. თუმც ამდენი შეცქერაც ცრემლმოწოლილ თვალებსა და გონებას გიღლის, რის გამოც ამის მეტი აღარაფერი გეფიქრება: შეუძლებელია, უცხოპლანეტელები ჩვენზე უკეთ ვერ ხვდებოდნენ ამ თავიანთი ექსპერიმენტის წარუმატებლობას! მაშ, რაღას უცდიან და ჩვეული წარღვნით არ გადარეცხენ მატრაბაზების ამ სათარეშოს, რათა ახალმა ექსპერიმენტმა იქნებ ცოტათი უფრო გაუმართლოთ?!

მაგრამ აი, უბედურება: როგორც ყველაფერი, უცხოპლანეტელების არც ეს ვიცით — ამასთან დაკავშირებით როგორია მათი დროის პერიოდები!!!

მედგარ ჭელიძე

რვეულიდან: სანამ ბინდი ჩამოწვება

არწევს ოკეანე
ტალღებზე მოყიალე
კიდობანს ნესტანის
საით გაირიყება ეს სული, ეს ტანი?
ეს ქვეყანა, ეს კაცობრიობა?
ისევ მოადგება ოდესმე იორდანს
ნეტავი?

* * *

შლეგივით აჭერ ღილაკებს პულტის,
თითქოს სხვა არხზე - სხვა რამეს ნახავდე,
აგინებ დედის ყველაფერს პუტინს,
სულმდაბლობაში ამხელ დასავლეთს,
ლანძღავ მთავრობას, ოპოზიციას,
ნაძირლებს, სუკებს, სუკის აგენტებს,
შენს თავს - რომ მათთვის ხმა მიგიცია,
ყველას - ვინც ამათ ჩასვრილს ათეთრებს...
და იცი - ვერვის ვერ მოსჭამ ფეხებს,
და ამ - ნახევარ სახლით, ვენახით
მავთულხლართს მიღმა დარჩენილ გლეხებს
ვერც შენ
ვერაფრით შველი,
ვერაფრით...

* * *

В Европе холодно. В Италии темно...
Власть отвратительна как руки брадобрея.
О.Мандельштам

თოვს ევროპაში - სამშობლოში სიბნელე სუფევს.
კეთილ ზრახვებით მოკირწყლულ გზას მივყვებით ნებით.
წინ მიგვიძღვიან - დაბადებით ყრუნი და ბრმები,
ზოგნი კი - განგებ იგლისავენ ტალახით უპეს,
რომ რჩეულთაგან არ განირჩენ... გვათოვს და გვი-წვიმს,
გვხრის სიდუხჭირე - წრეზე მავალთ ჩაკეტილ გზაზე:
კაენმაც ხელი კვლავ აღმართა საკუთარ ძმაზე,
სასძლოსაც ძმისას - ჩაუცვია სამოსი სიძვის.
ორმოცი წელი ატარებდა ებრაელთ მოსე...
მოსეს ლოდინით ჩვენშიც ბევრი თვალებს იოსებს.
სხვებს ამ ამბავში სულ სხვა რამე მაინც გვენიშნა:
მთავარი იყო არა მოსე - არამედ ქვიშა,
ქვიშა, რომელიც ხსნამდე მრავალს შთანთქავს ქა-რავანს...
ჯერ ბზობას - „ქრისტეს“ დავიძახებთ, მერე - „ბარაბას“...



რვეულიდან: ძველებური შრიფტით აკრეფილი ტექსტი

ფიქრით ნაქარგი ქუჩები თბილისის -
ჰგავს ტექსტს აკრეფილს ძველებურ შრიფტით,
გვერდებს წარსულის ქრონიკის, მითის,
წიგნს გადაკითხულს ყოველ ძილისპირს...
აქ - წვიმა მოდის, ცხოვრება - მიდის
თუ შეხვდებიან სადმე - ვინ იცის?..

***

ძველი თბილისის ყველა აღმართი,
ყველა სტრიქონი ვიწრო ქუჩების,
სასიყვარულო როგორც ბარათი,
მაქვს დაკოცნილი დამსკდარ ტუჩებით...
სხვა დრო მოვიდა, თუ - ჩვენ წავედით...
კედელთან - მეძავ ქალთა ჩვენებით
ჩამწკრივებულან ცათამბრჯენები
ვით უცხო, სხვისი ტექსტის ბწკარედი...

***

ძმად არ იგულო - სიტყვა “სიბერე”!
წყალიც დაუსხი, ლუკმაც გაუყავ,
არ მოიხსენო ფიქრშიც აუგად
და მაინც - პირი ამოიკერე
და სარეველა როგორც საყდარში,
არ შემოუშვა სულში, სახსარში...

რვეულიდან: ჭაღარის სამოცდაოთხი ელფერი

პირველი თოვლი

შენ - პეშვით იჭერ აფოფრილ ფიფქებს,
თითქოს ხელიდან აჭმევ ბელურებს,
თოვლი კი ფრთხილად შენს ნაფეხურებს
აგროვებს პეშვით და სუნთქვას იკრავს...

მეც
ვიკრავ სუნთქვას...
მე
თვალებს ვხუჭავ,
თანდათან ქრება
სხვა
ყველაფერი
და როგორც თოვლით
ივსება ქუჩა,
ვივსები შენით,
თოვლით,
ნათელით...

***

სიშიშვლესა და სიშიშვლეს შორის
არც საზღვარია - და არც ტიხარი,
აღარ არსებობს - ახლო და შორი,
შენი და ჩემი,
სიმართლე,
ჭორი,
დღე,
ციფერბლატის ორი ისარი...
სიშიშვლესა და სიშიშვლეს შორის
შიშველი გულის ფეთქვაა ორის
სხვა - არაფერი...
არავითარი
სივრცე არ რჩება სხვა რამ მეტისთვის
ფრთადაღალული,
სიგარეტისთვის
რომ დაბრუნდები - რამე მითხარი...

***

თქვენი სურნელი განცმეურია,
თქვენი ღიმილი - მზის ათინათი,
და კომპლიმენტიც ლაკონურია:
ო თქვენ შეცვალეთ ჩემი კლიმატი...
ამ გლობალურის
არის მიზეზი ჩემში დათბობის -
ასე ქალური,
ეს სიხავერდე თქვენი, დამთმობი...
ჰო, თქვენი შარმით ეროტიკულით
მე ისევ ვხდები მხნე და დიდგული...
და ყოფნის ყველა მთავარ საკითხზე
(რაც ფიქრს აწვალებს ხნიდან შექსპირის)
უფრო მაღელვებს თქვენი საკინძე -
ოდნავ შეხსნილი

***

ვირტუალურად, მეც ვგავარ სულთანს -
ჰარამხანიანს თუ ჰარემიანს:
შარბათს და სურნელს ვატარებ სულ თან
ყველა იმ ქალის, ვინც მყვარებია,
ვისი დანახვაც მიკრავდა სულს და
ვის გამოც გული ამჩქარებია,
იმათსაც,
ვისაც არ ვიცნობ სულ და
ვისიც -
აჟურულ - მაქმანებიან
სამოსელისაგან განძარცვა სურდა
ჩემს წარმოსახვას
ანგარებიანს

* * *

შენ მე მიფარავ ავი თვალისგან,
მე შენ გიფარავ ავი ენისგან,
შენ მე - სიგიჟის და სიმთვრალისგან,
მე შენ - დასერილ მკლავზე ვენისგან,
შენ მე - იმ უცხო, მაცდურ ქალისგან,
მე შენ - ქალების გადამრჩენისგან,
შენ მე - საკუთარ ჩემი თავისგან,
მე შენ - შენს ბოლო განაჩენისგან...

ცენტრში -
სამასი არაგველი -
შეკრულნი
წარბივით,
უდრეკნი...

ირგვლივ -
გველი უამრავი
დაუთვლელი, უხსენებელი,
უკუნის ტალღა
დაფით და ნაღარით დაღარული

მერაბ აბრამიშვილი „სამასი არაგველი“

მარსიანი

ქვიშანი დარჩებიან



იკა ქადაგიძის ლიტერატურულ ჟურნალ ''ისინდის" გუნდის წევრი ვარ მისი დაარსების დღიდან (2017 წ). ამ ხნის განმავლობაში გუნდის შემადგენლობამ შესამჩნევი ცვლილებები განიცადა - ზოგმა დატოვა ჯგუფი, ზოგიც ახალი წევრი შემოგვემატა, თუმცა ამ ახალ შემომატებულთაგანაც ყველა არ შემორჩა დღემდე; რედკოლეგიაში არიან როგორც საპატიო წევრები, ასევე ძირითადი, ასე ვთქვათ, ''მუშა'' ბირთვი და სწორედ ამ ბირთვს შეეხო ცვლილებები განსაკუთრებით. ამ ცვლილებებმა, რასაც მეტად ჩახლართული ფსიქოლოგიური ფონი ახლდა, ფრიად უსიამო გართულებები გამოიწვია. მე ერთობლივი მუშაობა სულ სხვაგვარად წარმომედგინა: ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც (90 - იან წლებში) ვმუშაობდი ჟურნალ „განთიადში", რომელიც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ორგანო იყო. იქ თავისუფალ გამოხდომებს არავინ გაპატიებდა და საკუთარი ხუშტურებით ვერაფერს გახდებოდი. სუბორდინაცია რედაქტორსა და რედაქციის წევრებს შორის მკაცრად იყო დაცული. და სადაც ეს სუბორდინაცია ირღვევა, იქ მუშაობა შეიძლება წარმოუდგენლად გაძნელდეს და გამორიცხული არ არის, ჯგუფი საერთოდ დაიშალოს. სწორედ ამის საშიშროება შეიქმნა ჟურნალ „ისინდში", მისი არაერთი წევრის უსაფუძვლო პრეტენზიების გამო. ასეთ დროს ჯობს უკმაყოფილო ელემენტებმა უბრალოდ დატოვონ ჯგუფი და მის მუშაობას ხელი არ შეუშალონ.

ასე მოიქცა „ისინდის" წევრი სევარიონ ნადირაძე, რომელიც იკას ძველი თანაგუნდელი იყო (როცა იკა ლიტერატურულ გაერთიანება ''დიაოხს'' და ამავე სახელწოდების ალმანახს ხელმძღვანელობდა); მიზეზი სევარიონის განდგომისა იყო მისი პოლიტიკური ორიენტაცია (ნეოლიბერალურ- ამერიკანისტული, ანუ იგი ჩვენებური ''ნაცმოძრაობის'' თავგადაკლული პროპაგანდისტია), რაც იკა ქადაგიძის მკვეთრად ეროვნულ პოზიციას სრულებითაც არ ესადაგებოდა. ისე გასაკვირი კი არის, ოცწლიანი მეგობრობის განმავლობაში რომ ბ-ნმა ს. ნადირაძემ იკას ეროვნული მრწამსი ცალსახად ვერ განსაზღვრა... მაგრამ რას იზამ, უცნაურ, პარადოქსურ ეპოქაში ვცხოვრობთ - იმ პროამერიკული (თუ ზოგადად პროდასავლური) პოლიტიკური გაერთიანების იარლიყი ''ნაციონალური მოძრაობა'' გახლავთ (ყოველივე ნაციონალურის ამოძირკვას რომ ცდილობდა და ცდილობს)... სხვათაშორის, ამ მიმართულების მომხრენი ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელიც დღეს ეროვნულობის სახელით გამოდის, ''რუსულ ნარატივად'' მიიჩნევენ და ხშირ შემთხვევაში მართლაც ასეა, მაგრამ ''ისინდის'' პოზიცია თანაბრად შორსაა როგორც პრორუსული, ასევე პროამერიკული (პროდასავლური) გადახრებისაგან და ამიტომაცაა, რომ ჟურნალს დღემდე არ გამოუჩნდა დამფინანსებელი. ჩვენ არცერთ დღეს მოქმედ პოლიტიკურ ძალას არ ვემხრობით, რადგან არცერთი არ მიგვაჩნია ჭეშმარიტად ეროვნულ ძალად. შედეგიც სახეზეა - გუნდს საველე პირობებში, საკუთარი ჯიბიდან შეკოწიწებული თანხებით უხდება ჟურნალის ყოველი მორიგი ნომრის დაფინანსება...

პოეტმა ლაშა გვასალიამაც (რომელიც თავის დროზე ეროვნული ხელისუფლების მომხრეობის გამო ციხეშიც კი იჯდა) არ შეასრულა თავისი დანაპირები (რომ თითქოს ჟურნალისათვის სერიოზულ დამფინანსებლებს მოიზიდავდა) და ჟურნალის გამოსაშვებად საჭირო თანხის თავისი წილიც კი - სულ რაღაც 50 ლარი არ გადაიხადა. არადა, მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა უჭირავს - სამეგრელო-ზემო სვანეთის ვიცე-გუბერნატო-

რის მოადგილეა. მისი განდგომის მიზეზი კი ბატონ როსტომ ჩხეიძესთან მეგობრობა აღმოჩნდა: რ. ჩხეიძე კარგახანია ყველაზე გავლენიანი მწერალი გახლავთ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში და მას, როგორც ბევრი რამიდან ჩანს, სხვა მწერლები თავის ქვეშევრდომებად წარმოუდგენია, ხოლო დამოუკიდებელ, მებრძოლ გაერთიანებას, როგორიცაა „ისინდის“ ჯგუფი, არ სწყალობს და, როგორც ირკვევა, მის „დასამუხრუჭებლადაც“ კი გამოუღია ხელი არაერთგზის: პირადად იკა ქადაგიძესთან მას მრავალწლიანი და საკმაოდ რთული კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებს და მისი არაკოლეგიალური ქმედებანი (სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოვლენილი) ცალსახად მიუთითებს ამ პიროვნების მონოპოლისტურ ბუნებაზე. ამ უკანასკნელ ხანს კი მისი კოლაბორაციონიზმის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ნაციონალებს მიემხრო, რომელთაც წლების წინათ უმოწყალოდ დაარბიეს ჩხეიძე - ოქუაშვილების ბიზნესი და სტამბა.ეს ყველაფერი რ. ჩხეიძეს აღწერილი აქვს საკუთარ წიგნში „ორშაბათიც შაბათია“. ბ-ნი როსტომი შეიძლება სულ მალე პარლამენტში ნაციონალთა პარტიის დეპუტატად მოგვევლინოს და საინტერესოა, რა გუნებაზე დადგება, როცა მავანი ოპონენტი თავის უპრინციპობას წამოაძახებს? თვითონ ხომ თავის მრავალრიცხოვან ფოლიანტებში გამუდმებით ამუნათებს უკვე გარდაცვლილ გამოჩენილ მოღვაწეებს ორმაგი სტანდარტის გამოვლენის გამო!

იკასთან ერთად მეც ძალიან დამენანა, რომ ჟურნალის პირველი ნომრის გამოშვების შემდეგ კრიტიკოსი ლევან ბებურიშვილიც ჩამოშორდა „ისინდის“ კოლექტივს. ამ ახალგაზრდა კაცმა ხომ ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა, როცა, ასე ვთქვათ, აკაკი ბაქრაძის ესტაფეტა გადაიბარა (ვგულისხმობ „მწერლობის მოთვინიერების“ თემის პოსტსაბჭოურ გაგრძელებას). მიხაროდა, რომ ჩვენს გუნდში ასეთი გაბედული, ეროვნული ორიენტაციის მქონე პროფესიონალი ლიტერატორი იქნებოდა და ახალ - ახალი პუბლიკაციებით შეეწეოდა საერთო საქმეს. მაგრამ ჩანს, კაბინეტურ მოღვაწეობაზე გადასვლამ ახალგაზრდა მეამბოხეს გეზი აცვლევინა (ანუ ისიც დაექვემდებარა „მწერლობის მოთვინიერების“ მისგანვე შერისხულ სინდრომს) და მან ქართული ლიტერატურის ჟანა დ’არკად წოდებული იკა ქადაგიძის გვერდით წინა ხაზზე დგომა თავისი კარიერისთვის საზიანოდ მიიჩნია; რას იზამ, ყველას თავისი გზა აქვს და ვერავის დაატან ძალას, მაინცდამაინც ისე მოიქცეს, როგორც შენ მიგაჩნია მართებულად...

ცნობილი მწერალი და მეცნიერი გიგი ხორნაული იკას ყოველთვის საიმედო ეროვნულ ძალად მიაჩნდა და გულდასაწყვეტია, რომ ამ ღვაწლმოსილ პიროვნებასაც თავკერძობის სენმა (ქართველთა უმრავლესობისათვის ტიპიურმა) სძლია. მან, როგორც ჩანს, წარმოიდგინა, რომ თვითონ იყო მთავარი ფიგურა ამ ჯგუფში (რომლის რედკოლეგიის საპატიო წევრადაც იკამ ჩარიცხა) და ჟურნალის ნომრების პრეზენტაციებზე სიტყვით გამოსვლისას რეგლამენტის კანონი მას არ ეხებოდა.თანაც თავის გამოსვლებში იგი ჟურნალის შესახებ როდი ლაპარაკობდა, არამედ სულ სხვა, პირადად მისთვის საინტერესო საკითხებზე. ბ-ნი ხორნაული ვერც კი ხვდებოდა, რომ თავისი პოლიტიკური ორიენტაციის წარმოჩენით (ვგულისხმობ სააკაშვილის მომხრეობას) საფრთხეს ქმნიდა, რომ „ისინდის“ კოლექტივიც „ნაციონალების“ პარტიული გეზის გამომხატველად მიეჩნია დამსწრე საზოგადოებას. იკას მოწოდებაზე, რომ რეგლამენტი დაეცვა და სხვებისთვისაც მიეცა სიტყვით გამოსვლის საშუალება, ბ-ნ ხორნაულს მძვინვარე პროტესტი გამოუხატავს: ’’აბა მარტო შენ უნდა ილაპარაკო?!’’ ეს პირდაპირ რომ ვთქვათ, საბჭოური მენტალიტეტის გამოვლინებაა: ამ ხალხს ვერ გაუგია, რომ „ისინდი“ იკა ქადაგიძის ჟურნალია და არა კულტურის სამინისტროსი! ჟურნალის გამოცემას ათასნაირი მანიპულაცია სჭირდება, ეს მეტად მძიმე, შრომატევადი სამუშაოა და იკას, სულ ცოტა, საქმის 95 პროცენტის კეთება უწევს; და თავისი ჟურნალის პრეზენტაციაზე რომ სხვებზე მეტი ლაპარაკი მოუხდეს აუდიტორიის წინაშე, განა ბუნებრივი არ არის? რეგლამენტის კანონი ამ შემთხვევაში სხვებისთვის არსებობს და არა მისთვის და ეს უნდა შეიგნონ სხვებმა, მითუმეტეს იმათ, ვისაც მხოლოდ საკუთარი მასალა მოაქვს ჟურნალში დასაბეჭდად და სხვა მხრივ არანაირად დასაქმებული არ არის!

ან ბადრი პატაშურს რაღა დაემართა, იკას ძველ მეგობარს, რომ ჟურნალისთვის საჭირბოროტო საკადრო ცვლილებების დროს (რომელიც ერთ კაფეში ჩატარებულ კრებაზე მოხდა) ახლოს არ გაე-

კარა თანაგუნდელებს. არადა, როგორც შეამჩნიეს, კრების დროს იმავე კაფეში, სადღაც კუთხეში მჯდარა მეგობარ ქალთან ერთად. შემდეგაც, როცა იმ კრებაზე რამდენიმე წევრმა დემონსტრაციულად დატოვა გუნდი, თავისთვის გაყუჩდა და მთელი წლის განმავლობაში არ შეეხმიანა ძველ მეგობარს, იკას, თუნდაც იმის გასაგებად, ამ გაქანებული პანდემიის დროს რაიმე ხომ არ უჭირდა. არ ვიცი, რა ჰქვია ამგვარ საქციელს... და ახლა ინტერნეტში რაღაც ირიბული საშუალებით („პოსტის დალაიქებაა“ თუ რაღაც) ცდილობს ურთიერთობის აღდგენას და გუნდში ისე მობრუნებას, ვითომც არაფერი მომხდარა! სადაა ან თავმოყვარეობა, ან მომნანიებელი აღსარება თუ ჟესტი?

არა, ამგვარ ხალხს პირადი ინტერესების გარდა არაფერი აღელვებს!

არაერთმა სხვა ყოფილმა მეგობარმა, პროტეჟემ თუ თანამოაზრემაც უმტყუვნა „ისინდის“ რედაქტორს, მიზეზთა და მიზეზთა გამო; მთავარი მიზეზი კი ალბათ მაინც ვაჟასეულ უკვდავ აფორიზმშია გამოხატული - „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი!“ იკა ქადაგიძის „ბრალი“ ხომ არ არის, რომ იგი ნიჭითაც, ერუდიციითაც, მებრძოლი ეროვნული სულისკვეთებითაც, და, გნებავთ, ფიზიკური გარეგნობითაც აღემატება უმრავლესობას, ოჯახიშვილობაც მოსდგამს და კარგი საკუთარი ოჯახიცა აქვს შექმნილი; და ამ ყველაფრის გამო იგი მრავალთა შურის ობიექტი იყო და არის: ერთ ყოფილ მეგობარს ვერც კი დაუფარავს ეს უკეთური გრძნობა და პირდაპირ მიუხლია იკასთვის: „შენ ყველაფერი გაქვს და მე რაო!“ იკას უპასუხია: „კი მაგრამ, შენ წაგართვი რაიმეო?“

მართლაც, ვის რა წაართვა? თუ პირიქით, არაერთ ვინმეს ყოველმხრივ მხარში დაუდგა, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოიყვანა, კარგი იმიჯი შეუქმნა, ბეჭდვად ავტორად აქცია, ტელეეკრანზეც კი გამოაჩინა... სხვა ვინ ანებივრებდათ ამდენს,თანაც ასე პერმანენტულად?

გული მოგიკვდება, როცა ყველა იმ პერიპეტიას მიადევნებ თვალს, რაც ამ ჩვენი ჟანა დ'არკის მოღვაწეობას თან სდევს წლების განმავლობაში: მას არაერთგზის მოუხდა და, სამწუხაროდ, ალბათ კვლავაც მოუხდება თავისი თანამებრძოლების, თანაგუნდელების თუ მოკავშირეების ორ, რადიკალურად ურთიერთგანსხვავებულ „ამპლუაში“ დანახვა: რამდენი ვინმე, ვინც ყოველმხრივ დადებითი მახასიათებლებით ჰყავდა თავის დროზე მოხსენიებული, მომდევნო ეტაპზე სულ სხვა კუთხით წარმოჩნდა თავისი საქციელიდან გამომდინარე: სანდო - არასანდოდ, ერთგული - ორგულად, პრინციპული - უპრინციპოდ, გაბედული - ლაჩრად, თანამოაზრე - მოწინააღმდეგედ, ალალი - ქვეგამხედვარად, უანგარო - ანგარებიანად და ა.შ. რამდენჯერ შეიძლება ადამიანებს ნდობა გამოუცხადო და მათ კი სასტიკად გაგიცრუონ იმედები? როცა ამგვარი რამ სისტემატურად ხდება, შეიძლება ადამიანებისადმი ნდობა დაკარგო და მართლა ერთგულ, უღალატო მეგობარშიც კი დაეჭვდე ზოგჯერ, თუკი ის, მიზეზთა გამო, ყოველთვის ზუსტად ისე ვერ მოიქცა, როგორც, შენი აზრით, უნდა მოქცეულიყო...

ჩვენ აქ საუბარი გვაქვს არა უბრალოდ პირადულ ურთიერთობებზე, არამედ საერთო საქმეზე, რისი კეთებაც ყველა დროში ურთულესი იყო და არის. იკა, როგორც ჟურნალის რედაქტორი, გუნდის ყოველ ახალ მიღებულ წევრს წინასწარ აფრთხილებდა, რა სიძნელეებიც ახლდა ჟურნალის გამოცემას. წევრთა უმეტესობას ხომ მინიმალური დატვირთვაც არა ჰქონდა და მათთვის, როგორც ჩანს, ყველაფერი გართობად აღიქმებოდა; არაფრად აგდებდნენ რედაქტორის დაუცხრომელ გარჯას და მისი კეთილგანწყობით გალაღებულებს უსაფუძვლო პრეტენზიებიც უჩნდებოდათ დროთა განმავლობაში (''ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს...''). პოსტსაბჭოურ პერიოდში უკუღმართად გაგებულმა ''თავისუფლებამ'' რაც თავაშვებულობისა და განუკითხაობის გამოხატულებად იქცა, გამოიწვია ქაოსი და ანარქია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. უზნეობას წარმოუდგენლად ფართო გასაქანი მიეცა და სამწუხაროდ მწერლებიც არ აღმოჩნდნენ დაზღვეული ამ სინდრომისგან.

თუმცა ჯობს ისევ კონკრეტულ ფაქტებს დავუბრუნდეთ, კონკრეტული პიროვნებების საქციელი განვსაჯოთ.

ქალბატონი დალი კახიანი თავიდანვე დიდი ექსპანსიურობით გამოირჩეოდა გუნდში. საკუთარი პერსონა მუდამ წინ უნდა წამოეწია, სრულიად შეუფერებელ ვითარებაშიც კი. მახსოვს, ერთხელ ჩემთან ვიყავით შეკრებილნი ''კავკასიური სახლის'' აივანზე და იმპროვიზირებულად ლექსების კითხვა წამოვიწყეთ.ამ დროს აივანზე გამოიარა ''კავკასიუ-

რი სახლის'' თანამშრომელმა, რომელიც დირექტორის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფიგურა გახლავთ ამ დაწესებულებისა. ქ-ნმა დალიმ საკმაოდ ხმამაღლა უკმაყოფილება გამოთქვა - ''ჩვენ აქ პოეზიის საღამოს ვატარებთ და ესენი რა უფლებით გვიშლიან ხელსო!'' კიდევ კარგი, მისი ეს ყოვლად არაადეკვატური გამოხდომა ადრესატის ყურს არ მისწვდომია...

ლექსების წიგნი რომ გამოსცა, ქ-ნმა დალიმ თითო ეგზემპლარი გვისახსოვრა თანაგუნდელებს. ხანი რომ გამოხდა, მისაყვედურა, ჩემს ლექსებზე შენს აზრს რატომ არ მეუბნებიო. აღარ მახსოვს, რა ვუპასუხე და როგორ დავაღწიე თავი ამ უხერხულ მდგომარეობას. მიზეზი ჩემი დუმილისა ის იყო, რომ არ მომეწონა მისი ლექსები... რა მექნა, მეთქვა ავტორისათვის ჩემი აზრი? თვითონ ხომ, რასაკვირველია, მხოლოდ ქებას მოელოდა და არავითარ შემთხვევაში კრიტიკულ შენიშვნებს! მომეტყუებინა და ყალბად შემექო? აი მისი ნახატი კი (''ნიღბების გამყიდველი'') მართლა მომეწონა, ''ისინდის'' ერთ-ერთი ნომრის ყდაზე რომ დაიბეჭდა და კიდევაც ვუთხარი ჩემი აზრი, რითაც დიდად ნასიამოვნები დარჩა. რაკი ნახატი ვახსენე, ბარემ იმ საკითხსაც შევეხები, ჩემს ზურგსუკან ქ-ნი დალი კახიანი როგორ ცდილობდა, ჟურნალის ყდის მხატვრის ფუნქცია ჩამოერთმია ჩემთვის; მე, რაკი ვიცოდი, რომ ჟურნალის ყდის თავისი ნახატებით შემკობა სურდა, რამდენჯერმე ვთხოვე იკას - იქნებ რაიმე შეარჩიოთ ქ-ნი დალის ნახატებიდან, არ ეგონოს, რომ მე ვუშლი ხელს და კონკურენციას ვუწევ-მეთქი. ამაზე იკამ საკმაოდ მკაცრად მიპასუხა - თქვენი თხოვნის გარეშეც დავუბეჭდავდი ნახატებს, რამეგვარად ჟურნალის სულისკვეთების შესატყვისი თუ იქნებოდა, მაგრამ მაგას მაინცდამაინც თავისი კინტოების გამოფენა ნებავს ჟურნალის ყდაზეო! ქ-ნი დალისათვის კი (როგორც იკა აღნიშნავს ''ისინდის'' ქრონიკაში №10), არაფერს ნიშნავდა ის, რომ იკა ''საკინტოურე მსოფლმხედველობისაგან ისევე შორს დგას, როგორც მთვარე გომბეშოსაგან'' (ეს იკას სიტყვებია, ბევრი რომ მაცინა, როცა მის მიერ გამოგზავნილი ჟურნალის რამდენიმე ნომერი მივიღე სოფელში, სადაც წელიწადნახევრის განმავლობაში ვიყავი გადახვეწილი ავადმყოფობის გამო).

ქალბატონ დალის ნამდვილად ვერ დავუკარგავ იმას, რომ მან იკას ლექსებთან ერთად ჩემი რამდენიმე ლექსიც თარგმნა რუსულად. მე პირადად რუსულში იმდენად მოვიკოჭლებ, რომ ამ თარგმანების ავ-კარგზე ვერაფერს ვიტყვი. იკა ამბობს, რომ საკმაოდ კარგი თარგმანებია. მით უფრო მეტად მიკვირს, ქ-ნი დალის მიერ გაკეთებული რუსი პოეტების თარგმანები ქართულად ისე ჩიქორთული იყო, მე და იკას გვიხდებოდა მათი საფუძვლიანი გადამუშავება, რათა ნორმალური პოეტური ტექსტები მიგვეღო. შესაძლოა ეს იმის გამოა, რომ ქ-ნ დალის განათლება რუსულად აქვს მიღებული...

მე არც ქ-ნი დალის ხელგაშლილობა, პურადობა მავიწყდება - არაერთხელ გაგვმასპინძლებია როგორც თავის ბინაში, ასევე კაფეში თუ ''კავკასიურ სახლში''; რამდენჯერმე ფულადი დახმარებაც გამიწია; ყოველივე ამისთვის დიდი მადლობა მას! მაგრამ მან რომ თავისი გადამეტებული პრეტენზიებით, ჟურნალისათვის არახელსაყრელი წინადადებებითა და საერთოდ დესტრუქციული მუხტის შემოტანით გუნდისგან მოკვეთა დაიმსახურა, ეს ფაქტია, რომელსაც ვერსად წაუვალთ...

ქალბატონი რუსუდან ჭანტურიშვილი თითქოს ასე აშკარად არ ავლენდა თავის პრეტენზიებს (ყოველ შემთხვევაში მე არ შემიმჩნევია), მაგრამ ერთგვარი დესტრუქციულობის ელემენტი მასაც შემოჰქონდა გუნდის შეკრებებზე სისტემატური დაგვიანებებით, გამომცემლობაში დასაბეჭდი ტექსტების დაგვიანებული წარმოდგენით თუ ოპერატორთან ხშირი კინკლაობით კორექტურის გამო. გარდა ამისა, მის წერილებს ზოგჯერ პროფესიული ლიტერატურისათვის შეუფერებელი ლაფსუსებიც ახლდა, რაზეც დაკონკრეტებით ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ქალბატონი რუსუდანიც ერთობ პურადი და ხელგაშლილი გახლდათ, მის ბინაშიც არაერთგზის მოგვილხენია, ''კავკასიურ სახლშიც'' ნამცხვრებით ხელდამშვენებული მოსულა არა ერთხელ და ორჯერ. მე პირადად მაგიდის ნათურაც მაჩუქა და მასაც ვმადლობ ამ ყველაფრისათვის...

მაგრამ სამწუხაროდ, ქალბატონ დალის პროტენსტანტულ გამოხდომებს თანდათან ქალბატონი რუსუდანიც აჰყოლია; ის თურმე ლექსებსაც წერდა და ამ ლექსების ''ისინდში'' არდაბეჭდვის გამო თავს ''დაჩაგრულად'' გრძნობდა, თუმცა რედაქტორთან ამ თემაზე სიტყვაც არ დასცდენია. არ ვიცი, ეს

იყო ვითომ მთავარი მიზეზი იმისა, რომ როცა საქმე ქ-ნი დალის კახიანის გუნდიდან გაშვებაზე მიდგა, ქ-ნი რუსუდანი ათი წლის მეგობარს, იკას გადაუდგა და იკასგანვე გაცნობილ ახალ მეგობარს, ქ-ნ დალის მიემხრო? ან იქნებ იკას გადაწყვეტილება ქ-ნი დალის გუნდიდან გაშვების შესახებ ისე უსამართლოდ მოეჩვენა, რომ ''კეთილშობილურმა აღშფოთებამ'' შეიპყრო და ''დაჩაგრულის'' მხარეზე დააყენა? ნაკლებად დასაჯერებელია ეს, რბილად რომ ვთქვათ...

რაც შეეხება ქალბატონ ნინო ბაქანიძეს, მას ყველანი ვიცნობდით, როგორც სავსებით მოწესრიგებულ პიროვნებას, რომელსაც არაფერი ეშლებოდა პირადულ ურთიერთობებში და არც რაიმე პრეტენზია გამოუხატავს, როგორც ავტორს. ზემოთ დასახელებული ორი ქალბატონის მსგავსად ისიც ერთობ ხელგაშლილი იყო, არაერთხელ დავუპატიჟებივართ კაფე - რესტორნებში, მე პირადად არაერთხელ სერიოზული ფულადი დახმარება გამიწია; ჩემი მადლიერება და კეთილგანწყობა ამ პიროვნებისადმი განსაკუთრებული იყო, ამიტომაც ვალში რომ არ დავრჩენოდი, რამდენიმე ნახატი ვაჩუქე. იკაც თავის ქრონიკაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მასთან არასოდეს მცირეოდენი კონფლიქტიც კი არ მოსვლია (განსხვავებით იმ ორი ქალბატონისაგან); როცა სოფელში გახიზნულს დროდადრო იკა ტელეფონით შემომეხმიანებოდა და ქ-ნი დალისა და უკვე მასთან ერთად ქ-ნი რუსუდანის დესტრუქციულ ქმედებებზე მიამბობდა, იმასაც აუცილებლად დასძენდა, რომ ორი თანაგუნდელი - ნინო ბაქანიძე და თემურ ნადარეიშვილი (ფიზიკის პროფესორი) ერთგულად ედგნენ მხარში. და ერთ მშვენიერ დღეს, როცა იკამ ტელეფონით შემატყობინა, რომ დ. კახიანთან და რ. ჭანტურიშვილთან ერთად ნ. ბაქანიძემაც დატოვა გუნდი, პირდაპირ თავზარი დამეცა: ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა! თანაც ეს ''ყველაზე სანდო'' ქალბატონი, რომელსაც იკა არაფერს უმალავდა და რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს გუნდიდან დესტრუქციული წევრების ჩამოცილების განზრახვას, არამარტო ამ დესტრუქციული წევრების ფარული მხარდამჭერი, არამედ მათი ''ჯანყის'' ინსპირატორიც კი აღმოჩნდა, როგორც ყველა ამ მოვლენის საკუთარი თვალით მხილველი იკა და თემურ ნადარეიშვილი ასკვნიან და მათი დასკვნები, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკური ჩანს!

ქ-ნი ნინო ბაქანიძის საქციელი არამარტო იკასთვის, არამედ ჩემთვისაც და ყველა დანარჩენისთვისაც შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მას ხომ ბოლო წუთამდე არაფრით გაუცია თავი: შენიღბვის ნამდვილი დიდოსტატი, პროფესიონალი ყოფილა, ვერაფერს იტყვი!

მე რომ წელიწადნახევრის განმავლობაში მოწყვეტილი ვიყავი გუნდს, თურმე აქ ერთი ამბები ტრიალებდა, ნაირგვარი ინტრიგები იხლართებოდა გუნდის მეთაურის გარშემო!

მაგრამ სანამ ამ ინტრიგებზე ჩემსას ვიტყოდი, ჯერ მინდა, გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრის, გიორგი შიშნიაშვილის შესახებ ვისაუბრო, მითუმეტეს, რომ დესტრუქციული ქმედებები მან ჩემს გამგზავრებამდეც არაერთგზის გამოავლინა...

გიორგი შიშნიაშვილი ''ისინდის'' გუნდში ერთგვარი ''გმირის'' შარავანდედით შემოსილი შემოვიდა; საქმე შემდეგში იყო: იკამ თავისი მძაფრად აქტუალური, ეროვნული სატკივარის მღაღადებელი ლექსი ''მოძმე'' რომ დაწერა, სასწრაფოდ განათავსა ინტერნეტში. ვიღაცეებმა კი აიღეს და ეს ლექსი ავტორის დაუსახელებლად და მისდა დაუკითხავად სხვა საიტზე გადაიტანეს. შეიქმნა საშიშროება, რომ სხვა ვინმეს მიეთვისებინა ხსენებული ნაწარმოები: ამის გამო გიორგი შიშნიაშვილს ინტერნეტში საჯაროდ განუცხადებია, რომ ''მოძმის'' ავტორი იკა ქადაგიძეა. იკამ დიდად დაუფასა ახალგაზრდა კაცს ეს გამოქომაგება, ''ისინდის'' გუნდის წევრად მიიღო და მუდმივ ავტორადაც აქცია, რადგანაც აღმოჩნდა, რომ გ. შიშნიაშვილი ლექსებს წერდა: მისი ''პოეტად კურთხევა'' სწორედ იკა ქადაგიძის დამსახურებაა. ეს წარმოსადეგი გარეგნობის, მოკრძალებული ყმაწვილი ერთბაშად ყველას ყურადღების ცენტრში მოექცა. შემდეგ მან საკუთარი ინიციატივით ჟურნალის ვირტუალური გვერდი დააარსა და საქმისადმი მუყაითი დამოკიდებულებით რედაქტორის ''მარჯვენა ხელის'' ტიტულიც დაიმსახურა. მისი შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა უფროსთაობელებში სიმპათიასა და ნდობას იწვევდა...მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და ერთხელაც იკა გამომიტყდა, რომ თავის ''მარჯვენა ხელთან'' ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები შეექმნა: თურმე, მიუხედავად იმისა, რომ ''ისინდის'' კოლექტივის წევრი და მუდმივი ავტორი გახდა, პოეტის იმიჯი გაინაღდა და გუნდის რამ-

დენიმე წევრთან ერთად ტელეეკრანზეც კი გამოჩნდა, გ.შიშნიაშვილი სულაც არ თვლიდა თავს „ბედის ნებიერად“, პირიქით, მიიჩნევდა, რომ მხოლოდ მას და რედაქტორს უწევდათ საკმაოდ შრომატევადი საჟურნალო საქმის კეთება (არ ვიცი, ძალას ვინ ატანდა, ხომ თავისი ინიციატივით შექმნა ვირტუალური გვერდი!) და სხვები კი უქმად ისხდნენ: კაცმა რომ თქვას, ზოგ -ზოგების მიმართ ეს განაცხადი სავსებით სწორი იყო, ოღონდ თუ ახალგაზრდა პოეტს მეც ერთ-ერთ უსაქმო წევრად ვეჩვენებოდი, ეს უკვე მეტისმეტი მოსვლია: მე რედაქტორის დავალებებს ყოველთვის კეთილსინდისიერად ვასრულებდი - ვწერდი კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, ვხატავდი იმ კომპოზიციებს, რასაც იკა მოიფიქრებდა ჟურნალის ყდისათვის, ასევე ქართველი მწერლების პორტრეტებსაც ვხატავდი, როცა პუბლიკაცია ამა თუ იმ მწერალს ეხებოდა (გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, მირზა გელოვანი და ა.შ) იკასთან ერთად კორექტორის როლსაც ვასრულებდი. სწორედ ამიტომ იკა ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ჩემს შეუცვლელობას.

ახლა ისევ ''მეამბოხე'' ქალბატონებს დავუბრუნდეთ. ცოდვა გამხელილი სჯობს: მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენი ქალბატონების ხელგაშლილობით არაერთგზის ''მისარგებლია'' მთელ გუნდთან ერთად, სადღაც მაინც გული მეთანაღრებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი არ წაგვმწარდეს - მეთქი... ჩვენ ხომ ისეთ დროში ვცხოვრობთ, ღმერთის ადგილი მამონას რომ აქვს მისაკუთრებული: კომუნისტურ ეპოქაში ყალბი იდეალებით ასე თუ ისე გვაბრუებდნენ და მაშინ ფულის ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკი მხოლოდ ე.წ. საქმოსნების და დაბალი ინტელექტუალური დონის ადამიანთა დამახასიათებლად მიგვაჩნდა, ინტელიგენტები უფრო ''მაღალ მატერიებზე'' ვიყავით ორიენტირებულნი (თუნდაც თვალთმაქცურად)... დღეს კი ნეოლიბერალი იდეოლოგების ძალისხმევით ფული ცალსახად ერთადერთ ჭეშმარიტ ღირებულებად არის მიჩნეული ყველას მიერ - გინდ ინტელექტუალი იყოს, გინდ ბიზნესმენი, გინდ პოლიტიკოსი, გინდ მათხოვარი... და ამ ჩვენს ფულიან ''ისინდელებს'', ჩანს, ყოველი ნომრის გამოსაშვებად გაღებული ის მიზერული თანხა - 50 ან მაქსიმუმ 100 ლარი, რომელსაც ყველა წევრი და ავტორი იხდიდა, დიდ ''მსხვერპლშეწირვად'' მიაჩნდათ და ამიტომაც იყვნენ დიდ გულზე...

მაგრამ იმ თანხის გამოისობით რომ ''ისინდის'' მუდმივი ავტორები იყვნენ, ეს ვითომ ცოტა იყო? სხვა რედაქციებში რომ ათასში ერთხელ გაჭაჭანდებიან ზოგნი და გაცილებით დიდი თანხის გაღებაც უწევთ, ნუთუ ესეც არაფერს ეუბნებათ? მათი შემოქმედება ხომ - ვთქვათ პირდაპირ - სულაც არ არის იმ ღირებულებისა, რომელიმე რედაქტორი რომ დაინტერესდეს და თავის ჟურნალში დაბეჭდვა მოინდომოს!

ისიც მოსწვდა ჩემს ყურს, თურმე ქ-ნ დალი კახიანს უთქვამს, ''ეს მარსიანი და სხვებიც სულ ამ იკას აქებენ და ადიდებენ, ჩვენ კი ყურადღებას არავინ გვაქცევსო!''

რა ვთქვი მე ზემოთ, ხომ გახსოვთ? ''მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა!'' (იხ. საბას ლექსიკონი)

თუ ღმერთი გწამთ, რას მოითხოვდა ეს ხალხი? იკა ქადაგიძე იქნებ მე გენიოსად მიმაჩნია და რა ვქნა, ხათრის გამო სხვებიც ასეთად მივიჩნიო?

ჰოდა ამ უკმაყოფილო ელემენტებს დაუწყიათ რაღაც ინტრიგების ხლართვა რედაქტორის გარშემო, მოუნდომებიათ ამ ''საქმეში'' გ. შიშნიაშვილიც გამოეყენებინათ, მაგრამ მან, როგორც ჩანს, რაღაც სათავისო საფრთხე იყნოსა და არ გამოაყენებინა თავი; ამდენად რედაქტორის დისკრედიტაციის მცდელობა ჩაუფლავდათ; მაგრამ ''ისინდის'' აქილევსის ქუსლი ხომ უფულობაა და ამ ფაქტორის გამოყენებით მოინდომეს თავის დაკრულზე ეცეკვებინათ იგი... აკი იმ კრებაზე, სადაც ქ - ნი დალის გუნდიდან გაშვების საკითხი დადგა, ქ - ნ რუსუდანს პირდაპირ მიუხლია იკასათვის – ''ისინდი'' შენი არ არის და ვნახავთ, უჩვენოდ როგორ გამოუშვებ ახალ ნომრებსო! ქ - ნი ნინო კი ქ-ნების დალისა და რუსუდანის ბობოქრობისას თურმე საეჭვოდ დუმდა (იკას უთქვამს კიდეც, რატომ ხმას არ იღებო) და როცა ორმა მეამბოხემ კრება დატოვა, ისიც მათ გაჰკიდებია! იკას თურმე აზრადაც არ მოსვლია, მისი ''სანდო მეგობარიც'' თუ იმათ მხარეზე იყო, ეგონა სიგარეტის მოსაწევად იყო გასული... თემურ ნადარეიშვილი, რომელსაც იკამ ''მეგრე'' შეარქვა დეტექტიური ალღოს გამო, მიმხვდარა, რაშიც იყო საქმე და უთქვამს კიდეც იკასათვის – ''ეგეც იმათთანაა და აღარ მობრუნდებაო''. იკას მაინც არ სჯეროდა ამ ''გულში ჩახუტებული მეგობრის''

ღალატი და უცდია ტელეფონით დაკავშირებოდა მას. ქ-ნ ნინოს არ უპასუხია! თურმე სამივე ქალბატონი ჩაის სახლში გადაბრძანებულა და ცოტა ხნის შემდეგ ქ-ნი რუსუდანი მეგრეს დაკავშირებია ტელეფონით, რათა თავიანთი ''ულტიმატუმი'' ემცნოთ რედაქტორისათვის; მან კი ამ ექსტრემალური სიტუაციის მიუხედავად არ გადაუხვია კრების დღის წესრიგს და შეთანხმებისამებრ კრებაზე დამსწრე ორი ავტორი - ბ-ნი ჯემალ მეხრიშვილი და ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე მიიღო გუნდში, ამით ''ისინდის'' შემდგომი გამოშვება უზრუნველჰყო და განდგომილებს კოვზი ნაცარში ჩაუგდო! განდგომილი ქალბატონები ჩანს არ ელოდნენ თუ ორი ახალი კანდიდატი ამგვარ დაძაბულ სიტუაციაში ისურვებდა გუნდში გაწევრიანებას!

ამ დღის შემდეგ ფულის კოზირის მოიმედე ქალბატონები არაერთხელ დაუკავშირდნენ ბატონ ვახტანგ ბახტაძეს და ცდილობდნენ მისი მეშვეობით ეიძულებინათ ''ისინდის'' რედაქტორი, მათ ულტიმატუმს უპირობოდ დათანხმდებოდა. ბატონმა ვახტანგმა არჩია პრობლემა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოეგვარებინათ, რაზეც მათ კატეგორიული უარი განაცხადეს.

ასე დამთავრდა განდგომილ ქალბატონთა ტრიადის მოღვაწეობა ჟურნალ ''ისინდში''...

სხვათაშორის, იკას არაერთგზის უთქვამს გუნდის წევრებისათვის, თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია გაქვთ, გულახდილად თქვით გუნდის შეკრებებზე და ერთად მოვძებნოთ გამოსავალიო; იმასაც სთავაზობდა, თუნდაც წერილობით ჩამოაყალიბეთ თქვენი სათქმელი და ''ჟურნალში'' გამოგიქვეყნებთო. მეტი დემოკრატია რაღა იქნება! რა საკადრისი იყო ის ინტრიგები, დებოშები და მუქარები?

იკას თავის ქრონიკაში დაწვრილებით აქვს გაანალიზებული, თუ რა და რატომ მოხდა; თუ ბრალდებულებს მისი დასკვნები მცდარი ან ტენდენციური მოეჩვენებათ, დაე საჯაროდ, წერილობით განაცხადონ: სამართლის კლასიკური ფორმულა ღაღადებს: მოვუსმინოთ მეორე მხარესაც!

ჩემი შთაბეჭდილება და დასკვნაც ასეთი გახლავთ: ამ ხალხს ის დაემართა, რაც პუშკინის პოემა-ზღაპრის ''მებადური და ოქროს თევზის'' პერსონაჟს, მებადურის მოხუც ცოლს: ამ დედაბერმა, რა ნახა, რომ ოქროს თევზი ნებისმიერ მის სურვილს ასრულებდა, მეტისმეტი მოუვიდა და მხოლოდ გადედოფლება კი არ მოისურვა, არამედ ისიც, რომ თვით ოქროს თევზიც მისი მხლებელი და მსახური გამხდარიყო! შედეგად ყველაფერი დაკარგა, რაც მანამდე უწყალობა გულუხვმა ოქროს თევზმა!

ჩემი წელიწადნახევრიანი იძულებითი გადახვეწილობის გამო გუნდისგან შორს ვიყავი და მაინცდამაინც მაშინ მოხდა მთელი ეს დრამატული პერიპეტიები და მხოლოდ თემურ ნადარეიშვილი გამოდგა ერთადერთი პიროვნება, ვინც განუხრელად ერთგულობდა განსაცდელში ჩავარდნილ ''ისინდის'' რედაქტორს და ჟურნალის საქმეს.

ის ქალბატონები ხომ სამუდამოდ წავიდნენ „ისინდიდან“ (წელიწადზე მეტია, მათგან ბაიბური არ ისმის), გიორგი შიშნიაშვილი კი დღემდე აგრძელებს ორჭოფულ თამაშს - თან წასულია გუნდიდან, თან ანგარიშს არ ასწორებს - ანუ დაპირების მიუხედავად არც აუქმებს თავის მიერ დაარსებულ ვირტუალურ გვერდს და არც რედაქტორს გადმოსცემს (ეს კი ჟურნალისთვის საბოტაჟს ნიშნავს).

იკამ მას დიდსულოვნად დაუტოვა ბოლო შანსი - მობრუნებულიყო გუნდში და საქმე ეკეთებინა, მაგრამ მას, როგორც ჩანს ის უნდა, თუ დაბრუნებაა, ძველებური ''ტრიუმფით'' დაბრუნდეს, რაც უკვე შეუძლებელია.

ჟურნალი ''ისინდი'' განდგომილთა გარეშეც აგრძელებს თავის არსებობას და ღვთის შეწევნით კიდეც ძლიერდება; განდგომილებმა კი შეადარონ თავიანთი ახლანდელი მდგომარეობა ''ისინდში'' ყოფნის დროინდელს და, მოდური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ''იგრძნონ განსხვავება'': არიან სხვა ჟურნალთა რედაქტორებისაგან ისე გალაღებულ - გაჯეჯილებულნი, როგორც ''ისინდში'' იყვნენ? რაღაც არ მსმენია მათი შემოქმედებითი წარმატების ამბები და არც ვიმედოვნებ, რომ მომავალში აღდგებიან მკვდრეთით ლიტერატურულ სივრცეში.რატომ ეგონათ, რომ მათი გროშების გარეშე ვერ იარსებებდა ''ისინდი''?

დაე, ამ განდგომილთა მაგალითმა ზოგ სხვასაც შეაგნებინოს, რომ მუდამ თავკერძობა და ეჩოსავით თავისკენ მითლა მათთვისვე არ იქნება მომგებიანი და იქნებ სამუდამოდ დაკარგონ ''ისინდის'' ფურცლებზე თავიანთი ძვირფასი შემოქმედების პუბლიკაციის შანსი!

ასე, რომ ''წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...''

3-15. III. 2021

როსტომ შამუგია

ჯანსულ ჩარკვიანის მოლანდებანი

გაზეთ „**საქართველოს სამრეკლოში**" (**5 მაისი, 1993 წლისა**), დაიბეჭდა ჩემი წერილი **„ერთობლივ საქართველოსთვის"**, რომელშიც ეთიკის დაცვით და ფაქტების განზოგადების საფუძველზე შევეცადე გამომეთქვა ჩემი მოსაზრება მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხზე ბ-ნ ჯანსულ ჩარკვიანის უმართებულო პოზიციასთან დაკავშირებით, რასაც იგი გაუწიწმატებია, აღუშფოთებია, გაუხელებია... უფრო მეტიც, მისი პასუხი ჩემდამი0 - **„ლოცვანი"** გამსახურდიას მონისა და მორჩილისა და აფხაზეთის დეპუტატისა როსტომ შამუგიასი" **(გაზ. „შანსი", 14-21 მაისი, 1993 წლისა)**, თავიდან ბოლომდე დუჟითაა სავსე. ბოღმამოწოლილ და დორბლმორეულ ჩარკვიანს დაუკარგავს ყოველგვარი ზომიერების გრძნობა, რაც გამხდარა მიზეზი სათაურშივე დაშვებული შეცდომისა. კერძოდ, ნაცვლად „აფხაზეთის დეპუტატისა", უნდა იყოს „აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატისა". ამგვარად, ჯ.ჩარკვიანი, წერილის სათაურშივე საჩინოს ხდის საკუთარ უმეცრებას. სხვათა შორის, „შანსის" ამავე გვერდზეა ჩარკვიანის უზარმაზარი პორტრეტი ტელეფონის ყურმილით ხელში („მთავრობის კაცის" პოზა! - რ.შ.) და ვრცელი, პომპეზური ინტერვიუ... საყოველთაოდ ცნობილია ჯ.ჩარკვიანის ცინიკური, აგდებული დამოკიდებულება ნებისმიერი ოპონენტისადმი, რაც მის პასუხში ჩემდამი გაათკეცებულად არის წარმოდგენილი. თანაც, მიმართვის თავაზიანი ფორმები სამასხროდ, საქილიკოდ და სასაცილოდ მიუჩნევია. სამაგიეროდ, პრიორიტეტი მიუნიჭებია სკაბრეზული გამოთქმებისათვის („მონა", „მონიკო", „ყურუმსაღი", „შე უღმერთო", და ა.შ.). ამწუთიდან, მეც იძულებული ვხდები, მიმართვის თავაზიანი ფორმა შევცვალო ფამილარულით, რადგანაც, როგორც შემდგომ ვნახავთ, ეს უკანასკნელი, სკაბრეზულ-ბრავადული სტილი უფრო ესადაგება პოეტ ჩარკვიანის ხასიათს, მისი ცხოვრების წესსა და სტილს... ამასთან, მკითხველს წინასწარ მოვუხდი ბოდიშს, ვინაიდან, ჯ.ჩარკვიანის ანალოგიით, შესაძლოა, ზოგჯერ მეც მივმართო მკაცრ ეპითეტებს... ეჰ, ჯანსულ, ჯანსულ! სიმართლე გითხრათ, თავის დროზე, მეხამუშა კიდეც მწერალ ვლადიმერ ალფენიძის მიერ ერთობ საჩოთიროდ გადაკეთებული თქვენი სახელი, ჯვამსულ, მაგრამ მოვლენათა მსვლელობა მარწმუნებს, რომ ბ-ნი ვლადიმერი თქვენთან მიმართებაში სწორია... თუ გახსოვთ, წინა წერილში მიგითითეთ ყბადაღებული ე.წ. ბუნკერის შესახებ. ვინაიდან, „შანსის" ფურცლებზე თქვენ კვლავ ჯიუტად გაჰყვირით „ბუნკერსა" და ბ-ნი ზვიადის „ფაშისტობა-ფიურერობაზე" და „უცილობლობთ ვითა ჯორი", ამიტომ, ამწუთიდან, ბ-ნი ალფენიძის ანალოგიით, ჯანსულის ნაცვლად, უნდა გიწოდოთ თქვენთვის ზედგამოჭრილი და ზუსტად შესაფერისი სახელი, ჯორ-სუღ... „იმპერია-სპექტრის სამრეკლოში" წავიკითხე", ... წერთ თქვენ და ასეთი ცინიზმით, ქილიკ-ზიზღობით, ანგლობით, მატრაბაზობით ცდილობთ მკითხველის თვალის ახვევას, არსებითზე სდუმხართ და სავსებით უმართებულოდ „მსჯელობთ" დიდი ილიას სულიერი მემკვიდრის „ფიურერობაზე", ჩემი „მონამორჩილობის" თაობაზე, არარსებულ, მაგრამ საეჭვოდ აკვიატებულ ე.წ. ბუნკერზე, ბ-ნი ზვიადის მიერ „ბუშის გადაყენებასა და კიბოს წამლის გამოგონებაზე" და ა.შ. მკითხველი უეჭველად დამემოწმება, რომ ასეთი „აზრების" მქონე ანგარებით, ქვენაგრძნობით მოქმედი პიროვნებაა. დიახ, შურისა და ბალღამისგან დაბრმავებული ჩარკვიანი არად აგდებს არც ლოგიკის კანონებს, არც ზნეობრივ პრინციპებს. მისი ერთადერთი კრედო ის გახლავთ, რომ რაც შეიძლება მეტი გესლი გადაანთხიოს ოპონენტს, ხოლო რამდენად ობიექტური იქნება იგი თავისი ქმედებით, ეს უკანასკნელი ჯანსულის ინტერესების სფეროში არ შედის. ეჰ, ჯორ-სუღ, ჯორ-სუღ! უწინარესად მსურს მოგაგონოთ, რომ გაზეთი „საქართველოს სამრეკლო" დააარსა ქართული პროზის ტიტანმა კონსტანტინე გამსახურდიამ 1923 წლის 1 იანვარს...სწორედ თქვენგვარ „მოღვაწეთა" ძალისხმევით მოხდა აღნიშნული გაზეთის ლიკვიდაცია იმავე წელს. ღვთის შეწევნით და რჩეულ ერისკაცთა მეოხებით, „საქართველოს სამრეკლო" აღდგენილ იქნა 1992 წელს. თქვენ კი დამდ-

გარხართ და საჯაროდ ქირქილებთ: ô„იმპერია-სპექტრის სამრეკლოო"... დიახ, შეჩვეულია თქვენი ქედი იმპერიის ლაქიობას და ამიტომაც გსიამოვნებთ იბერიის წარმოსახვა იმპერიად... ამასთან, ერთი გასროლით, ლამობთ ორი კურდღლის მოკვლას: შოლტი მოუქნიეთ **„იბერია-სპექტრსაც"** და **„საქართველოს სამრეკლოსაც",** ოღონდაც, შოლტის სიმოკლის გამო, ამაო გამოდგა თქვენი უკეთური ზრახვით მოქნეული. თანაც, **„იბერია-სპექტრი"** და **„საქართველოს სამრეკლო"** მოგლანდებიათ **„იმპერია სპექტრის სამრეკლოდ"**. თუმცაღა, ეს სავალალო მოლანდებაც, ეტყობა, ნიშანდობლივია: „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო". ისე, ამიერიდან მაინც იცოდეთ: **„იბერია-სპექტრი"**, **„საქართველოს სამრეკლო"**, **„აღდგომა", „კოლხური კოშკი"** და სხვა თითო-ოროლა გაზეთი აწინდელ საქართველოში აკეთებენ ნამდვილად საგმირო და მამულიშვილურ საქმეს, რაც მემატიანის მიერ ერის ისტორიაში უთუოდ ჩაიწერება ოქროს ასოებით. ხოლო რაც შეეხება თქვენ მიერ ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული გაზეთების ქირქილით და ქილიკ-ზიზღობით მოხსენიებას, გირჩევთ თავი გაანებოთ ამ უმსგავსობას, რადგან ეს უფრო დიდი სიბინძურეა, ვიდრე ყველა ერთად აღებული თქვენი „საგმირო" საქმენი... „ფურთხულ-აფხაზური „ლოცვანიო", ô წერთ თქვენ ჩემი წერილის შესახებ. მაინც როგორ მოგვიდათ მაგ ჭკუით სავსე თავში მსგავსი აზრი? სად თქვენი „ფურთხული" და სად - „აფხაზური" „ლოცვანი?" კვლავ ჰალუცინაციის ბრალია ალბათ: „ფურთხულად" და აფხაზურად მოგლანდებიათ „ყმაწვილო", ჩემი ჩვეულებრივი ქართული. ქვეტექსტით, უთუოდ, მეც გააფხაზებულ-გადაჯიშებულად მიგულისხმეთ. ნურას უკაცრავად, „ჭაბუკო", მე, სამურზაყანოს მკვიდრი ვარ, ძირძველი და ამაყი კოლხის, ô ჭეშმარიტი და ქედუხრელი ქართველის ნაშიერი... ისე, საცა კაცობა და რაინდობაა, ტერმინი „აფხაზური" არ უნდა დაგეწერათ „ფურთხულთან" მიმართებაში, რამეთუ მწამს, ჭეშმარიტი აფხაზი არ იკადრებს „ფურთხულ" - ქართულის ერთ ყალიბში მოქცევას... თუმცაღა, „ფურთხული," ფურთხი, შარდი, ჩონჩორიკი და მსგავსი „მარგალიტები" ხომ თქვენი პოეტური ლექსიკის განუყრელ კომპონენტებს წარმოადგენენ, რაშიც იოლად დავრწმუნდებით, თუ ჩავიხედავთ 1984 წელს **"მერანის"** მიერ გამოცემულ თქვენს წიგნში - „მე და მე". თქვენ წერთ: ,,აი, კახპების თვალისიერი ქვევით თხები და ზევით ვირთხები, გთხოვთ, გადმომხედოთ, ფარისეველნო, მე ვიფურთხები, მე ვი-ფურ-თხები"... გვ. 55 ექსტაზში შესული ჯორ-სუღ ჩარკვიანი უფრო შორს მიდის და მკითხველს სთავაზობს მკრეხელურ სტრიქონებს: - ,,შეიძლება ქვეყნის გლახას, მზე დაჰკიდო შანაზე, შეაფურთხო მზეთუნახავს, ვარდი მისცე ამაზრზენს". (იგივე წიგნი; გვ. 147) ეჰ, ჩემო ჯორ-სუღ, საერთოდ, დიდი უზნეობაა, როცა კაცი კაცს შეაფურთხებს, ხოლო თქვენ ამტკიცებთ და დასაშვებადაც თვლით, არამხოლოდ კაცს, არამედ შესაძლოა მანდილოსანსაც შეაფურთხოთ... ბრავო ,,პოეტო", ბრავო, ჯორ-სუღ! იქნებ, დაგვდოთ პატივი და დაასახელოთ ის მანდილოსანნი, რომელთათვისაც ,,ვაჟკაცურად" შეგიფურთხებიათ სახეში...როგორც ამგვარ ვითარებაში იტყვიან, უზნეობის, უტიფრობისა და დაბალი გემოვნების ტრიუმფია...შესაძლოა, შემომედავოთ და დაასახელოთ დიდი აკაკი /**„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო"**/ და **მუხრან მაჭავარიანი /„შეძახილით აკაკისით:** -,,ფურთხისი"/... ოღონდაც, არც აკაკი და არც მუხრანი, თქვენგან განსხვავებით, თავად კი არ იფურთხებიან და არც წარამარა, არამედ ისინი აკეთებენ შესაბამის ლოგიკურ და არსობრივად უაღრესად სწორ დასკვნას, რაც განაპირობა უზარმაზარმა ეროვნულმა ტრაგედიამ, გაუსაძლისმა ეპოქალურმა ტკივილმა... თუმცაღა, მე, პირადად, მსგავსი მამულიშვილური განცდა თუ ტკივილი ჯერხანობით ვერ შევნიშნე თქვენს ე.წ. ლექსებში, პირუკუ, შემაწუხებლად დიდი ოდენობით გვხვდება ტერმინები:-ფურთხი, ფურთხული, გაპურჭყება, შარდი, განავალი და სხვა მსგავსი ,,მარგალიტები"... საოცარია და დაუჯერებელიც კი, მაგრამ ფაქტები, როგორც იტყვიან, მეტად თვალში საცემია, ანუ ჯორ-სუღ ჩარკვიანი კვლავ უბოდიშოდ და უცერემონიოდ იფურთხება:- „შუა სტრიქონში მომინდა შორს გაპურჭყება და გაჭყირტვა, არწივს მართვე არ გამოადგა, ადგა და შიგ ბუდეში გაჭყლიტა". (იგივე წიგნი, გვ. 153) ასევე ფრიად ,,საინტერესოდ" ჩავთვალე დასახელებული წიგნის 206-ე გვერდზე დაბეჭდილი ლექსის შემდეგი სტროფი: - ,,მღერის ტალღა, მეცხრე ტალღა, მღერის ცხრავე გუნდიანა... ბერიკაცმა გააპურჭყა, დედა ამოუტრიალა" (გვ.206) მოკლედ, მაგრად გაუტიეთ ჩემო ჯორ-სუღ...მეგონა ზემოდასახელებულ კრებულში მორჩებოდით ფურთხული ,,ჟანრის" ლექსთა წერას, მაგრამ გატყობთ, გაგიტაცათ ამ ,,ჟანრმა" და თქვენ მსგავსი ლექსიკით გაჯერებულ ლექსებს ბეჭდავთ თქვენი ორტომეულის I ტომშიც /გამომცემლობა ,,საქართველო'' 1991წ. ქ. თბილისი) კერძოდ, 194 გვერდზე ვკითხულობთ:- ...,,ხოლო ვიღაცა იფურთხება ღრუბლის პირიდან"...

დასასრული შემდეგ ნომერში

ნიკო სამადაშვილი



მხატვარი: მარსიანი

***

ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა,
თითქოს გულს ქრისტემ ხელი დარია,
შენი ფიქრების ჩრდილთა გოგმანი
მტრედის სიზმრებში მომიპარია.
რომ ფოთლებიდან მეცქირა დიდხანს,
როგორ მალავდა ცრემლს მეგობარი,
და დამელია ბნელ ლუდხანაში
ჩემი ცხოვრების შესანდობარი.

ისინდის მისალოცი

მებრძოლს, მართალს, შეუპოვარს, ქართულს, მარადიული ფასეულობების დამცველ ჟურნალ "ისინდს" ვულოცავ დაბადების დღეს! მიხარია, რომ ჟურნალის რედკოლეგიის წევრი ვარ, მიხარია, რომ ჟურნალში გემოვნებიანი ავტორები იბეჭდებიან, მიხარია, რომ ახალგაზრდები გვემატებიან... დღეგრძელობა "ისინდს" და მის შემქმნელ, მასზე მზრუნველ ადამიანებს!

მარინა თექთუმანიძე

მარინა თექთუმანიძე

მეუფე თადეოზის ხსოვნას

ეს ვინ გეწვია, სად აკაკუნებს,
ფანჯრის მინაზე? ან იქნებ კარზე?
ან სად ხარ ახლა, საით მიფრინავ?
ვინ იცის, იქნებ გეთსიმანიის ბაღს ესტუმრე და იქაური
ზეთისხილის ქვეშ იგრილებ იმ საშინელი დღის
სივარვარეს? და მაინც რაზე ჩურჩულებენ
ამ მისტიკური ღამის შვილები- ზეთისხილის ხის
ფოთლები, ანდა სიჩუმის ხმები
რას გიამბობენ გვითხარ, მეუფევ!
უცნაურია, ძალიან, ძალზედ უცნაური
ეს ღამე თავის მრუმე სინათლით, და აძენძილი,
ბლონდებიდან გამოჩრილი მჭვირვალ სიბნელით...
ძარღვებში სისხლი გეყინება, როცა ლანდები,
ხორცშეუსხმელი რაღაც ლანდები
შენ გარშემო ბორიალობენ, მათი ბუტბუტი
"ჯვარს უნდა ეცვას !" "ჯვარს უნდა ეცვას!"
აქეთ-იქით გახეთქებს ჰაერის კედლებს...
ვინა ხარ მაინც? იქნება პეტრე,
ანდა პავლე, სულაც ლაზარე,
ან იქნებ თომა, ანდა იქნებ სულაც ელიოზ,
რომელსაც (დაწერილია)
ცოტა ხანში სამშობლოში უძვირფასესი
კვართით ელიან? არ ვიცი, ვინ ხარ!
უფრო სწორად, მხოლოდ ის ვიცი,
ის მეუფე ხარ, ვინაც გაეცი, რაც გაგაჩნდა
და ღარიბ-ღატაკთ გაუნაწილე...
ის მეუფე ხარ, დიდ მარხვებში
ჩვენთან ერთად რომ მიირთმევდი
უმწირეს ლუკმას...
ის მეუფე ხარ, ვისთანაც უფალი მოეშურება
და სადაცაა კარზე
ანდა შენს სარკმელზე დააკაკუნებს...
ფეხზე წამოდექ, მეუფეო,
ფეხზე წამოდექ!
მარადიული მეგობარი და სინათლე -
უფალი შენთანა!

ვანო გელაშვილი

ვასკა ვირი

(ნამდვილი ამბავი)

ფაშისტთა ჯარები კავკასიის მთებისკენ მოიწევდნენ, სადაცაა გადმოლახავდნენ კავკასიონს და საქართველოში შემოიჭრებოდნენ.

განგაში ატყდა საქართველოში. გამოცხადდა საერთო მობილიზაცია, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო მთამსვლელ სპორტსმენებზე. საიმედოდ ჩაიკეტა კავკასიონის გადმოსასვლელი უღელტეხილები, მაგრამ მტრის სპეციალურად გაწვრთნილი მთამსვლელთა ნაწილები აქა-იქ მაინც ახერხებდნენ გადმოსვლას და ბრძოლით მოიწევდნენ წინ. საბედნიეროდ, არაერთი მცდელობა „ედელვაისელებისა," ბოლომდე გადმოელახათ კავკასიის მთები, უშედეგოდ მთავრდებოდა. ჩვენი ბიჭები მოხერხებულად უსაფრდებოდნენ და სნაიპერული სროლით სპობდნენ მტერს. გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ქლუხორის უღელტეხილის ხელში ჩასაგდებად. მტერმა კარგად იცოდა, რომ დარიალის ხეობით, რომელიც საიმედოდ იყო დაცული, საქართველოში ვერ შემოაღწევდა, ამიტომ ცდილობდა სხვა გადმოსასვლელებით ესარგებლა. - ჩვენი მებრძოლები ამის საშუალებას არ აძლევდნენ, მაგრამ ძალიან უჭირდათ, სულ უფრო რთული ხდებოდა მათი მომარაგება საჭურველითა თუ საკვებით. ამ საქმისთვის თვითმფრინავები მეტად სარისკო იყო, მანქანებით კი მთას ვერ მიუდგებოდი. რჩებოდა ერთი საშუალება, ტვირთი მიეტანათ ცხენებითა და სახედრებით - ვირებით. ეს უკანასკნელი კი გადაადგილების ყველაზე მოსახერხებელი საშუალება იყო.

ქვეყნის მთავარსარდალი კავკასიელი კაცი იყო და კარგად იცოდა, ასეთ დროს ამ ცხოველის გამოყენების ფასი. ამიტომაც გამოცხადდა ვირების საყოველთაო მობილიზაცია მთელ საქართველოში. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, თუ რას წარმოადგენდა ვირი გაჭირვებული გლეხკაცისათვის, ამიტომ დაწესდა გასამრჯელო, ამასთან, თუ ვირი დაიკარგებოდა, ეს გასამრჯელო ორმაგდებოდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ პატრონი თან მოყვებოდა პირუტყვს, რომელსაც, რომ მასზე უკეთ ვერავინ მოუვლიდა და უფრო ეფექტიანად ვერ გამოიყენებდა.

...როგორც სხვაგან, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მცხოვრები ყველა ჯანმრთელი მამაკაციც ფრონტზე გაიწვიეს. შაქრო კევლიშვილიც მათ რიგებში იყო, იგი ჯერ თელავში ჩაიყვანეს, მერე თბილისში და იქ საჯარისო ბანაკებში იძენდა ჯარისკაცების ჩვევებს. შაქრო მოხერხებული და საზრიანი კაცი იყო და სოფელში მას ეშმაკ შაქრიასაც ეძახდნენ.

შემდეგ შაქრო ფრონტზე გაგზავნეს და თავისი ჯარის ნაწილთან ერთად ბელორუსიისა და ბრიანსკის ტყეებში მოუხდა მტერთან ბრძოლები. მუდამ რაღაცის გამომგონებელი, ისეთ მახეებს უგებდა მტერს ტყეში,



რომ მეთაურები განცვიფრებაში მოჰყავდა.

ერთხელ დაზვერვაზე წამოსული ოთხი გერმანელი ჯარისკაცი მოიყვანა თავისი ოფიცრიანად.

აი, როგორ მოახერხა ეს: ტყეში პატრულირების დროს თურმე აღმოაჩინა ბილიკი, რომელსაც გერმანელები ხშირად იყენებდნენ. შაქრომ მეთაურს სთხოვა ორი მებრძოლი და სამივემ მთელი ღამის განმავლობაში ბილიკის სიგანეზე ღრმა ორმო ამოთხარეს, მერე იგი კარგად შენიღბეს და იქვე ჩასაფრდნენ. გერმანელთა ოთხკაციანი ჯგუფი ორმოში ჩავარდა და შაქრო მაშინვე დაადგა თავზე და ჩასძახა: „ჰენდე ჰოჰო!" მერე ოთხივეს იარაღი აჰყარა, გაკოჭა, ერთმანეთზე გადააბა და მეთაურობას მიჰგვარა. ამით შაქრომ მთავრობის ჯილდო დაიმსახურა.

მერე იგი კავკასიის მისადგომებთან გადმოისროლეს და კაპიტან ბუხაიძის პოლკში ჩარიცხეს. ახლა აქ ებრძოდა მტერს.

სწორედ ამ დროს წამოვიდა ვირ-სახედართა მობილიზებული კოლონა საქართველოდან და დარიალის ხეობით, ბესლანისა და ჩრდილოეთის ფრონტისპირა რაიონებში დაბანაკდა. ამ ვირებში შაქროს ლურჯა - „ვასკაც" იყო, პირუტყვი სწრაფად გაანაწილეს დანაყოფებში და მომვლელები მიუჩინეს, რომ ტვირთზიდვაში ვარჯიში დაეწყოთ.

კახელ კაცზე უკეთ, აბა, ვინ იცის სახედრის მოვლა და ვინ იცნობს მის ხასიათს? ჰოდა, თურმე შაქროც გამოიძახეს.

- აბა, ჰე, ამოირჩიე ხუთი სული და ჩაიბარე. შენ უკეთ იცი მაგათი ავან-ჩავანი, მოუარე, დასახული ამოცანაც კარგად იცი, მთებში სახიფათო ბილიკებზე მოგიწევს ტარებაო, - უთხრეს შაქროს.

ჯარისკაცს ძალიან გაუხარდა და მაშინვე სახედრების სადგომს მიაშურა. შევედით თუ არა, ჰოი, საკვირველებავ, პირდაპირ თავისი „ვასკა" არ დაინახა? შაქრო სიხარულით ცას ეწია, მივარდა სახედარს, ყელზე ხელი მოხვია, ჩაეხუტა. ვირმაც მაშინვე იცნო პატრონი. კისერი

მოიღერა, და ისეთი აღტაცებული ყროყინი მორთო, რომ სხვა სახედრებიც აიყოლია და სადგომში ერთი ღრიანცელი ატყდა. ჯარისკაცები სიცილით იხოცებოდნენ.

გახარებულმა შაქრომ „ვასკა“ წყალზე ჩაიყვანა, დაბანა, დააპურა, თან ეფერებოდა, თან ელაპარაკებოდა: ბიჭო, სახლში როგორ არიანო, და ვირსაც თითქოს ესმოდა შაქროს საუბარი, ყურებს აპარტყუნებდა და თავს აკანტურებდა, დროდადრო კი პატრონს დრუნჩს მუხლებზე უხახუნებდა და ხელებში შეჩერებოდა, იქნებ კიდევ გაიმეტოს შაქრის ნატეხიო.

შაქრო არაფერს იშურებდა „ვასკასთვის“, ხშირად ეუბნებოდა, რომ მალე დამთავრდება ეს ოხერი ომი და აქედან პირდაპირ შინ წავიდეთ, ჩემო „ვასკაო“, ნუ გეშინია, პირდაპირ დარიალის ხეობით წავალთ, არაფერს გაგიჭირვებო.

„ვასკაც“ მორჩილად შეჰყურებდა შაქროს თვალებში, გვერდიდან არ შორდებოდა. შაქრო დანარჩენ ოთხ ვირსაც არ აკლებდა ყურადღებას, კარგად აბალახებდა, უვლიდა. თუ პირუტყვი მშიერია, ის არაფრის გამკეთებელიაო, - იტყოდა ხოლმე.

შაქრომ იმაზეც იზრუნა, რომ ყველა ვირი დაჭედილი და ფეხმოვლილი ყოფილიყო, მოსართავი კარგად მორგებული ჰქონოდათ. ხის პატარა უნაგირები თავისი ხელით დაუმზადა, ტანზე კარგად მოარგო და გაუმაგრა, ვინაიდან ციცაბო კლდეებზე მოუხდებოდათ სიარული და ასეთი თადარიგი, აუცილებელი იყო. შაქრომ თავისი სახედრების ქარავანი მალე გაწვრთნა. „ვასკა“ რა თქმა უნდა, მეგზურად თავში დააყენა. „ვასკა“ ძალიან ჭკვიანი სახედარი გამოდგა, ყოფილა შემთხვევა, რომ იგი შეჩვეული ბილიკით მარტო გაუშვია ტვირთზე და უკან პატრონთან დატვირთული დაბრუნებულა.

ვირები მთებში დაატარებდნენ ტყვია-წამალს, ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვიამფრქვევებს, დაშლილ მსუბუქ საარტილერიო დანადგარებს, სურსათ-სანოვაგეს და საერთოდ ყველაფერს რაც კი საჭირო იყო ფრონტის ხაზისათვის.

შაქრო ეშმაკობდა: ტვირთზე წასვლის დროს ვირებს მცირე საკვებს აძლევდა ანუ აშიმშილებდა და უკან დაბრუნებულებს საკვებს უკვე უხვად უყრიდა, ამიტომ ვირები ჩქარობდნენ ტვირთის ადგილზე მიტანას რომ შაქროს მიერ მათთვის უხვად გადანახული კოპტონი ეჭამათ და შაქრის ნატეხებით პირიც ჩაეტკბარუნებინათ.

იყო შემთხვევები, როცა ვირებს ფრონტის ხაზიდან მსუბუქად დაჭრილებიც გამოჰყავდათ. სახედრები ერთმანეთზე თოკებით იყვნენ გადაბმული. ეს დაზღვევის მიზნით კეთდებოდა. შაქრომ სადღაც ძველებური ხმალი იშოვა, კარგად გალესა და ავტომატთან ერთად სულ თან დაატარებდა, რადგან თუკი რომელიმე ვირს კლდეზე ფეხი დაუსხლტებოდა და გადავარდნა გარდაუვალი იყო, შაქრო მაშინვე ხმლით გადაჭრიდა თოკს და დანარჩენ სახედრებს გადაარჩენდა.

ასე იბრძოდნენ ერთად შაქრო კევლიშვილი და მისი ვირი „ვასკა“ კავკასიის მთებში. არა ერთი ტონა ტვირთი მიუტანია შაქროს „ქარავანს“ მებრძოლებისათვის, არა ერთი დაჭრილი გამოუყვანია ფრონტის ხაზიდან და გადაურჩენია.

ერთხელ უბედურებამ სულ ახლოს ჩაუარა „ვასკას“. იგი გერმანელთა სნაიპერმა დაჭრა, პირდაპირ თავში დამიზნებული ტყვია ყურში მოხვდა და სისხლმა იფეთქა. შაქრომ სწრაფად შეუხვია ჭრილობა და იქაურობას მოარიდა. ბოლოში მოკლული ვირი, ტვირთისგან გაათავისუფლა, ჩასაფრდა, მტრის სნაიპერი გამოიტყუა, ავტომატის ჯერით დაცხრილა და კლდეში გადაჩეხა, მერე სხვა მებრძოლები წამოეშველნენ, მოკლული ვირის საპალნე სხვა ვირებს გადაუნაწილეს და ადგილზე მშვიდობიანად მივიდნენ.

ყურგახვრეტილი „ვასკა“ მთელ ჯოგში გამოირჩეოდა, სახელი „ვასკა“ დაავიწყდათ და „ყურგახვრეტილას“ ეძახდნენ. გახვრეტილ ყურში ცერა თითი კარგად ეტეოდა. შაქრო ხშირად დახედავდა „ვასკას“, ცერა თითს გაუტარებდა ყურში და კლდის ბილიკზე მიმავალს ეტყოდა: ვასკა, იქით მეტი აღარ გადაიწიო, თორემ კარგად მეყოლეო.

1944 წლის ადრიან გაზაფხულზე, მტერი კავკასიიდან კი არა, ქვეყნის საზღვრებიდანაც განდევნეს. 1945 წლის მაისში კი შაქრომ და მისმა ნაწილმა ზეიმით აღნიშნეს ომის დამთავრება.

შაქრომ ხანდაზმულობის გამო, ომის ბოლო პერიოდი ბესლანში გაატარა და სახედართა „საპატიო“ ჯოგს, უვლიდა. მერე ყველაფერი გააკეთა, რომ ვირების უმეტესობა პატრონებისათვის ჩაებარებინა და თვითონ „ვასკასთან“ ერთად დარიალის ხეობით, სვენებ-სვენებით თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.

„ვასკას“ არ გასჭირვებია თავისი სადგომის მოძებნა, შიგ შევიდა, ჯერ წინა ფეხებზე წაიჩოქა, მერე ნელ-ნელა მთელი ტანით ძირს დაეშვა და დაწვა. ორი დღე და ღამე იწვა და ისვენებდა „ვასკა“ და შაქრო საჭმელ-სასმელს ხელით აწვდიდა.

სოფელში ხმა გავარდა: კაცო, შაქრო ომიდან დაბრუნებულა, თავისი ვირი იქ შეხვედრია და თან ჩამოუყვანიაო.

მოაწყდა ხალხი შაქროს სახლს „ვასკას“ სანახავად; ეფერებოდნენ და გახვრეტილ ყურზე უფათურებდნენ ხელს, თან ამბობდნენ: „ნახე, კაცო, ნახე, ცერა თითის ტოლა ტყვია მოხვედრია და მაინც არ გადარჩენილა?“

ამის შემდეგ შაქროსაც და „ვასკასაც“ ყურგახვრეტილაანთს ეძახდნენ.

2009

ჟურნალი „ისინდი“- არის „სულის ლოცვების“ - კარაბადინი, რომელიც აგერ ოთხი წელია, სრული ქართული ეროვნული პატრიოტული გენით, ასაზრდოებს მკითხველს. მისი სულის ჩამდგმელი არის მწერალი და კრიტიკოსი იკა ქადაგიძე. ბარაქალა მას, დღეგრძელობა, და მზეგრძელობა იუბილარ ჟურნალ „ისინდს“!

ვანო გელაშვილი

როი სოხუმელი

***

ძვირფასო, ახლა... მოსაყოლი ამბები მხიბლავს,
არც შენ ხარ...
არც მე...
არც არავის სუნი აქვს – კედლებს,
გარეთ ტყემლები აპრილივით
ჩაიცმევს იღბალს, რომელიც გვქონდა,
ან ფანჯრებთან მოჰქონდათ პეპლებს...
გავთეთრდი ალბათ... სითეთრეა –
თვალებში თოვა,
არ გესმის ჩემი...
არც
ლიმნიან
ჩაიზე
მსტუმრობ,
რაღაც სიგიჟემ – დასაბამი ნერვებში ჰპოვა,
და მარტოხელა გაზაფხულზე–
ვჯავრობ
და
ვხუმრობ...
მეექვსე დღეა – სიცხიანი სხეულით ვწვები,
და ღამის ფიქრებს შემომდნარი
სიჩუმე ლოკავს,
მიყვარდა შენში – დაგროვება საჩემო წლების,
ის ყველაფერიც,
ლოყაზე, რომ... მადებდი ლოყას...
რა უნდა ვწერო... ან ლექსებით – ვინ უნდა
შემრჩეს,
ათასგზის ვამბობ – დღის მანძილზე:
დიდება
ღმერთო...
ვებადებოდი გულჩვილობით საშველთა
შემრჩევს,
და სიმყუდროვემ,
როგორც ცოლი – თვეები შემრთო...!

***

აგიმღერდები... გადავიხსნი გულზე იარას,
იმ სისხლს ჩამოვცლი ცხელ მკლავებზე,
მარტს რომ მივანდე,
გუშინ სამყარომ განსაცდელი იმშობიარა,
დედამიწა რომ გაზაფხულით გაქრისტიანდეს...
მზეს გიყვავილებ.. მთებს მოგიხრი ირმის
წვივებით,
დამშრალ ტუჩებზე და გაწურავ მიწის ოხშივ-
არს,
გადაგიცვარავ სულის მინდვრებს
ლურჯი წვიმებით,
პოეტი ვარ და... ზღვის მებაღე –
შენთვის მოვდივარ.
ამტვერდები ან ძველ გემებზე მონათვეები,
გადაგიცურავ ტანის სითბოს,
მკერდის სიცხელეს,
თავს გადახრი და...
სიყვარულით მონართველები–
ჩემში ჩაძირავ ქარის წივილს, სადაც გიშველე...
ნუ შეგაშინებს,
ნურც დაგთრგუნავს – დღეთა სიმხდალე,
მშვენიერების თოთო ყლორტო,
თვალთა ნათებავ,
ზეცის თორმეტი ცრემლის ფასი –
ჩამოვითვალე,
და რაც ვილოცე,

ძღვნად
შეწირვას
დაემსგავსება...
არ შეჰპარვია ჩემს განგებას – ეჭვის მცირედიც,
ღმერთო უფალო... შენ ხომ უწყი –
შენში შობილის,
მარტის მხრებიდან გამთენიას ამომიხვედი,
და იებით ვარ პურის ყანას გადამხობილი ...
დანებდებიან ატმის რტოებს
რისხვის მხლებლები,
ღრუბლებს დავწნავდა... ცის და მიწის
ნატკბობს
გიმღერებ,
შენ ბავშვობიდან შერჩენილი
მორცხვი პეპლებით,
მიაღსარებებ... რომ სულში ხარ...
და სულს იბევრებ...!
გესიცოცხლები... გადავიხსნი გულზე – იარას,
იმ სისხლს ჩამოვცლი ცხელ მკლავებზე,
მარტს რომ მივანდე,
ზამთარს სამყარომ განსაცდელი უმშობიარა,
დედამიწა რომ გაზაფხულით
გაქრისტიანდეს...

***

ქალზე?... (რა გითხრა მეგობარო)...
ქალი? – ქალია,
ხელს თუ გაუშვებ,
მზეს ანატრებს ცაში ჩალეწვას,
მერეც წლებშივე – მიყოლებით, შეგქმნის
ბრალიანს,
არ გაგიღიმებს, რომ ტკივილით გული
დაგეწვას,
რადგან ქალია!... გადაგამსხვრევს თავზე
სამყაროს,
თუ პატიება – ყოველი დღის
ეჭვით
უცხვება,
შეძლებს ტანიდან – დასაწყევლი ლტოლვით
აგყაროს,
და დაგანახოს, სხვის სამკლავედ
წაკეკლუცება...
ასეც უხდებაô.. ასეც შვენის –
ქართ ქმნა ქალურად,
ხან
იწუწუნებს,
ხან
იაფთრებს,
ხან
კი
დაცხრება,
შემოგაწურავს ძველ ღიმილებს –
ამპარტავნულად,
მერე წავა და... კმაყოფილი,
მშვიდად დაწვება–
შენი ფიქრებით გამოჭედილ სიმწრის მოთქმაზე,
მოგიწიოკებს გულსაკლავად მარცხით ნარ-
თულებს,
და შეეცდება აირიდოს კოცნა – ლოყაზეც,
კოცნა, რომელიც... მთელი
ღამით გაგანადგურებს,
ის, ხომ ქალიაô.. მზედ დაენთე...
სულში ჩაისვი,
ისე დაუტკბი, რომ წაგლეკოს –
ვნების დინებით,
ფანჯრის რაფებთან დაუთბილე ზამთრის აისი,
კნუტივითაა... უყვარს, როცა... ეფოფინები ...
ააყვავილე... ღმერთს მადლობდეს,
რომ შენ გიპოვა,
აღიმილებდეს მთვარის ჩრდილქვეშ
ყელზე
ფერება,
ერთადერთია, ვინც სიცოცხლე ჩამოგითოვა–
მაშინ, როდესაც... არც ფიქრობდი
სახლის შენებას.
მოესათუთე მეგობარო... ქალი?...ქალია,
ტანში ჩაისვი,
ვიდრე ზამთრის სუსხიც იყეფებს,
სხვა დანარჩენი?... რა თქმა უნდა –
წარმავალია,
კაციც მაშინ ხარ, თუ საკუთარ ქალში იმეფებ...ô

მარი თგილელი

ვენა, სამოთხე მუსიკის მოყვარულთათვის

მოცარტი, ვალსი, ყავის სახლები, შადრევნები, ძვირადღირებული სასახლეები და პარკები, მხიარული ქუჩები და ეტლები მთელი მსოფლიოდან ჩამოსული სტუმრებით, ასეთი იყო და არის ვენა - მსოფლიო კლასიკური მუსიკის ცენტრი. მე -18 საუკუნის ბოლოს ვენა იყო ევროპის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი და, რა თქმა უნდა, პირველი იყო მიღებების, ფუფუნების, მაღალი გემოვნების დახვეწის მხრივ. მაგრამ ქალაქის მთავარი სიმდიდრე მუსიკა იყო. სწორედ აქ გაიზარდა ხელოვნების ეს ფორმა სასახლის გასართობი კატეგორიიდან და საეკლესიო მსახურების ელემენტიდან დამოუკიდებელ და თვითკმარ მოვლენად. ამის მიზეზი იყო მმართველ წრეებში რაღაც უცნაური მიდრეკილება -კომპოზიტორების მფარველობა. საღვთო რომის იმპერატრიცის და გერმანიის დედოფლის მარია ტერეზასა და მისი თანამმართველების დროს, როგორც თავად ჰაბსბურგებმა, ისე საიმპერატორო სახლის მიმბაძველმა დიდგვაროვნებმა იტალიელი და გერმანელი მუსიკის ოსტატები თავიანთ რეზიდენციებში მიიწვიეს. მე -18 საუკუნის შუა პერიოდში ბაროკო დომინირებდა მუსიკაზე - ძირითადად კამერულ ან საეკლესიო მუსიკაზე. მაგრამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ავსტრიელმა იოზეფ ჰაიდნმა. იგი კარეტის ხელოსნის შვილი იყო და ყველა წესიერი ბიჭის მსგავსად მღეროდა ვენის წმინდა სტეფანეს ტაძრის საეკლესიო გუნდში და საგალობელ სიმღერას ასრულებდა ცნობილი ანტონიო ვივალდის დასაფლავებაზე. მოგვიანებით, ჰაიდნი გახდა სხვა იტალიელის - ნიკოლა პორპორას თანაშემწე. მისი დამოუკიდებელი კარიერის განვითარება რთული იყო, რადგან ჰაიდნს არ ჰქონდა მუსიკალური განათლება. ავსტრიის გრაფებისა და ჰერცოგების სახლებში ხეტიალის შემდეგ, მან მოიპოვა კომპოზიტორის სახელი და საბოლოოდ გადავიდა ვენაში, სადაც მან შეძლო მოეხდინა მთელი ევროპიდან მუსიკალური ტალანტების კონცენტრირება.

ჰაიდნი გახდა რევოლუციონერი მუსიკაში. ის იყო სიმფონიური ჟანრის ერთ-ერთი შემქმნელი, რომელმაც დაიწყო კლასიკური მუსიკის ეპოქა. მის საქმეს აგრძელებენ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, რომლებიც ასევე მუშაობდნენ ვენაში. პარიზის, რომის, ბერლინისა და ლონდონის კომპოზიტორები მოუთმენლად ელოდნენ ავსტრიის დედაქალაქში შექმნილ ყოველ ახალი ნაწარმოებს, ცდილობდნენ გაცნობოდნენ მის სტრუქტურას და ესწავლათ მუსიკის წერა ისევე როგორც იცოდნენ ვენაში. ვენელი კომპოზიტორები არ მალავდნენ თავიანთ მუსიკას - ისინი აქტიურად მუშაობდნენ, ასწავლიდნენ და გადასცემდნენ მუსიკის ახალ ფორმას სტუდენტებს. თუ პარიზი ცნობილი იყო თავისი ოპერით, ხოლო ლონდონი - სახალხო კონცერტებით, მაშინ ვენაში ეს ყველაფერი ერთდროულად გაერთიანდა და არსებობდა, მან მუსიკის სფეროში ევროპის ყველა სხვა ქალაქს გაასწრო.

Photocredit © Andrej Grilc

ქართველი მუსიკოსები ვენაში: მარცხნიდან სოპრანო-მადინა კარბელი, ფლეიტა-თემო ხარშილაძე, ფორტეპიანო-ქეთევან სეფაშვილი.

კიდევ ერთი მუსიკალური საგანძური ვენაში იყო ვალსების მეფე იოჰან შტრაუსი. მოგვიანებით, ვენაში დაიწყო ცნობილი "ოპერეტის ოქროს ხანა". აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ბრამსი, მალერი, შუბერტი. მუსიკალური ვენის ყველაზე ძველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა შუა საუკუნეებში შექმნილი ვაჟთა გუნდი, რომლისთვისაც მუსიკას იმდენი უდიდესი კომპოზიტორი წერდა, რომ ამაში ამ გუნდს ვერცერთი სხვა მუსიკალური ჯგუფი ვერ შეედრება.

ვენელები ამაყობენ თავიანთი "ოქროს პერიოდით" და თვალის ჩინივით იცავენ მას. ვენაში შეგიძლიათ იხილოთ მარია ტერეზას ძეგლი, რომლის მეფობიდან დაიწყო მუსიკის აყვავება, ვენის ოპერა და წმინდა სტეფანეს ტაძარი, სადაც მღეროდა ახალგაზრდა რეფორმატორი და სახლები, სადაც დიდი კომპოზიტორები

მუშაობდნენ. აქ ბევრი "მუსიკალური" სახლია. მარტო ბეთჰოვენმა ვენაში ცხოვრების განმავლობაში 60-ზე მეტი მისამართი შეიცვალა. თქვენ გიჩვენებენ ბინას, სადაც გარდაიცვალა დიდი ჰაიდნი იმ მომენტში, როდესაც ნაპოლეონის ჯარები ქალაქში შემოვიდნენ. ასევე არსებობს მსოფლიოში ყველაზე "ვარსკვლავური" სასაფლაოები - ცენტრალური და წმინდა მარკოზის, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი გენიოსების უმეტესობაა დაკრძალული. სამწუხაროდ დაკარგულია მოცარტის საფლავი, რასაც ავსტრიელები ძალიან განიცდიან, როგორც დანაშაულს მთელი მუსიკალური მსოფლიოს წინაშე.

საუკუნეების განმავლობაში ვენას მუსიკალური ქალაქის რეპუტაცია ჰქონდა. ყოველივე ამის შემდეგ, აქ წარმოიშვა დასავლური ცივილიზაციის მუსიკა. კლასიკური და მხატვრული მუსიკის მრავალი დიდი კომპოზიტორი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამ ქალაქში: მოცარტიდან და ბეთჰოვენიდან შტრაუსამდე და შონბერგამდე. მათი ნამუშევრები პირველად იქნა წარმოდგენილი ან შესრულებული ვენის რამდენიმე საოპერო თეატრში და საკონცერტო დარბაზში, რომლებიც დღეს ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობებს შორისაა.

ზოგადად ვენასა და ავსტრიაში ასეთი ძლიერი მუსიკალური ტრადიციის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთი მხრივ, მუსიკის პრაქტიკა და შესწავლა აშკარად ავსტრიული იდენტურობის ნაწილია. მეორეს მხრივ, ადრეული საუკუნეებდან და მის შემდეგ, განმანათლებლობის ხანით დამთავრებული პერიოდის განმავლობაში ადგილობრივმა ელიტის წევრებმა, მთავრობებმა და ზოგადად, რელიგიურმა ინსტიტუტებმა გამოავლინეს ხელოვნების მხარდაჭერის დიდი სურვილი.

ხელოვნებისა და მუსიკის ეს ერთგულება ჩანს ვენაში მრავალ ძეგლსა და ისტორიულ ნაგებობაში ... და ისმის სხვადასხვა პერიოდისა და სტილის ავსტრიელი კომპოზიტორების მუსიკალურ ნაწარმოებებში. განმანათლებლების (ჰაიდნის) და კლასიკური ხანის (მოცარტი, შუბერტი, ბეთჰოვენი) მე -19 საუკუნის რომანტიზმამდე (შტრაუსი) და თანამედროვე დროში (ბერგი, შონბერგი). ქალაქი ასევე წარმოადგენდა და წარმოადგენს მაგნიტურ ადგილს ნიჭიერ მუსიკოსთათვის, როგორებიც იყვნენ ვივალდი (იტალია), მალერი (ავსტრია) და ლისტი (უნგრეთი).

დღესაც, ვენა არის ძლიერი მუსიკალური დედაქალაქი: მისი კლასიკური მემკვიდრეობა ჩანს მთელ ქალაქში, მაგრამ ასევე გვხვდება მუსიკალური ადგილები და კულტურული ცენტრები, რომლებიც ეძღვნება როკს, ჯაზს, პოპულარულ ელექტრონულ და ექსპერიმენტულ მუსიკას. ვენაში მუსიკა წმინდაა... ეკლესიები და რელიგიური შენობები შესანიშნავი ადგილია ვენის მუსიკალური წარსულის შესასწავლად. მაგალითად, ასეთია წმინდა სტეფანეს გამორჩეული ტაძარი (შტეფჰანსდომი). ახალგაზრდა იოზეფ ჰაიდნი (1730—1809) იყო ამ ტაძრის საეკლესიო გუნდის წევრი, ხოლო ვენის "ვალსის მეფე" იოჰან შტრაუსი II (1825—1899) აქ იყო დაქორწინებული. მრავალი ცნობილი კომპოზიტორის პანაშვიდი ჩატარდა ამავე ეკლესიაში: ჩანაწერებში ნახსენები არიან იტალიელები: ანტონიო ვივალდი (1678-1741) და ანტონიო სალიერი (1750-1825), აგრეთვე ავსტრიელები. ფრანც შუბერტი (1797-1828) და ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756 - 1791), რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ამ ტაძრის მუსიკალურ ხელმძღვანელად.

მუსიკასა და რელიგიას შორის კავშირი ასევე შეგიძლიათ იხილოთ ტევტონთა ორდენის სახლსა და ეკლესიაში (Deutschordenshaus). მრავალი ცნობილი მუსიკოსი, რომლებიც ეკლესიაში მუშაობდნენ, აქვე ცხოვრობდნენ. მოცარტი აქ რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აქ ხშირად შესრულებულა კომპოზიტორის ნამუშევრები.

რელიგიურ დანიშნულების გარდა ვენაში სხვა ადგილებსაც შეხვდებით, რომლებიც ვენის მუსიკალურ ისტორიას გვაცნობენ. ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიას აქვს ჰაიდნისა და ბრამსისადმი მიძღვნილი მთელი დარბაზები. 1813 წელს აკადემიის დარბაზში შედგა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიის პრემიერა - თავად კომპოზიტორმა დირიჟორობა ჩაატარა იმ პერიოდში, როდესაც ის თითქმის ყრუ იყო. ვენაში შეგიძლიათ მოინახულოთ მოცარტის სახლი, სახლ-მუზეუმი, რომელიც იყო მოცარტის ბინა 1784-1787 წლებში. ამ პერიოდში მან დაწერა რამდენიმე შედევრი, მაგალითად, ოპერა "ფიგაროს ქორწინება". ვენის შტატპარკში არის ისეთი კომპოზიტორების ძეგლები, როგორიცაა ანტონ ბრუკნერი და ფრანც შუბერტი, ასევე მსოფლიოში ერთ — ერთი ყველაზე ფოტოგრაფიული ძეგლი: იოჰან შტრაუსის ოქროს ქანდაკება.

დასასრული შემდეგ ნომერში

ნანა შალამბერიძე

ლედი ჯეინ უაილდი (1821—1896)

ბედისწერა

ვარსკვლავი იყო ის, ჩემს ცხოვრებას
რომ ანათებდა,
დავასაფლავე, მორჩა,
აღარსად არ გამოჩნდება.
რომ მცოდნოდა, ის სამოთხეს გაანათებდა,
აღარ დავთმობდი,
აღვავლენდი ლოცვა-ვედრებას.
ყვავილი იყო, რომ მოვწყვიტე
მე ჩემს სიზმრებში,
სურნელოვანი, საუცხოო, შემკული ეშხით.
არ გამეღვიძა არასდროს ნეტავ,
თუ ვერ ვპოვებდი
მე აქ მსგავს ყვავილს, ჩემთვის მოვლენილს.

ის ჯადოქრული ტონებით სავსე არფა იყო და
ჩემს ნაზ სიტყვებს
ასე საოცრად ესიტყვებოდა,
ბედისწერამ კი, ულმობელმა, უცებ დაწყვიტა
ეს აკორდები, ოქროცურვილი,
ნატიფი, წმინდა.

ის იყო ბილიკი, მსგავსად სამოთხის ხეობისა
და,
მასში რომ ჩავკარგულიყავი,
ო, როგორ მსურდა.
ბედისწერამ კი ცეცხლოვანი ხმალი აღმართა
თითქოს,
რომ ეს ბილიკი მარადიულად
დაეცვა თვითონ.

მივჩერებოდი მე მის თვალებს,
მსგავსს ვარსკვლავების,
რომელთა შუქი სამუდამოდ
ჩამქრალა ჩემთვის;
სული კი, როგორც არფა ოქროსი
მელოდიურად კვლავ სუნთქავს, ვიცი.

მოგონებები მინათებენ იმ
სამყაროს საოცარს,
ეს მოციმციმე ნაზი ყვავილი
ცხოვრობდა სადაც.
ღმერთო! ნეტავი უფრო ადრე მოვკვდარიყავ
მე,
ჩამოწვებოდა ვიდრე ჩემთვის უკუნი ღამე.

შევციცინებდი საბედისწერო იმ დროს მის
თვალებს,
თვალებს, რომლებიც გამოსცემდნენ
ღვთაებრივ ნათელს.
და მზერა მისი გაშეშდა,
ჩაქრა მოულოდნელად,
გაქრა ცხოვრებაც, დაისადგურა წყვდიადმა,
ბნელმა.
მწარე ფიქრები არ მასვენებენ,
დრო გაფრინდება,
თუმცა კი უკვე აღარაფერი არ შეიცვლება.
მე ვეღარ გნახავ და ვერც ხმას შენსას
ვერ გავიგონებ ვერასდროს ვერსად!

როგორ შევძლებ, ის მიყვარდეს მხოლოდ, ვით
ვარსკვლავები,
ან მშვიდად ვიყო, აქ როდესაც
წვიმს გამალებით.
ან ფერმიხდილი მთვარე როცა მიცქერის
შორით,

რომ დასეირნობს უდაბურ ტყეში ის ხეებს შორის.

ამ შფოთიანი და უცოდველი სიყვარულით მე
როგორღა შევძლებ ვუცქირო ზეცას წყნარად და მშვიდად.
როგორ შევიძლებ, ეს ცხოვრება გავლიო ისე,
რომ არ მომინდეს აჭრა მაღლა,
ოცნების ცისკენ!

თუმცა ყოველი ამაოა და იმედს ვიტოვებ, ცრემლად დაღვრილი,
ღამ-ღამობით ვვედრი უფალ ღმერთს მე, მუხლმოყრილი,
რომ ჯობს, ცხოვრების შუა წლებშივე წარმტაცოს სული,
ასე დათრგუნულს ვიდრე მიყვარდეს და მეწვოდეს გული!

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘ (ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ)

ქანცგაცლილო ადამიანებო, რას იმკით? — უცხოელთა ოქროს მარცვლის
მოსავალს ვიმკით.
და რას თესავთ? — ადამიანთა გვამებს, შურისმაძიებელს რომ ელოდებიან
ღამით თუ დღისით.
რას ხედავთ ახლო მომავალში, მისუსტებულნო შიმშილისაგან?
— დიდებულ ხომალდებს გააქვთ ჩვენი საკვები, მასხრად გვიგდებენ თანაც.
საამაყო ჯარისკაცები მრავლად თქვენს კარებს რად უტრიალებენ?
— ღარიბების გამხდარი ხელებისაგან ჩვენი ბატონების ბეღელს იცავენ.
მოთქვამენ გაფითრებული დედები, ღმერთის ნებაა ესეც, ალბათ,
ჩვენ რომ მოვკვდეთო;
ჩვენს შვილებს გული მისდით შიმშილისაგან და ჩვენ მათ პურსაც კი ვერ ვაძლევთო.
პატარა ბავშვებო, თქვენს უცოდველ სახეებზე ეს ცრემლები უცნაურია ცოტა,
ღმერთს ხომ ის სურდა, თქვენ დედების გულში ჩაკრულთ გაგღიმებოდათ.
— უი, ჩვენ არც კი ვიცით, რაა ღიმილი და არც ის ვიცით, თუ რაა სიკვდილი;
ჩვენ მშივრები ვართ, ძალიან გვშია
და ვერ შეგვიწყვეტია მიტომ ტირილი.
ზოგი ჩვენგანი იყინება და შემდეგ თეთრდება, ჩვენ კი არ ვიცით,
თუ რას ნიშნავს ეს სინამდვილეში,
მაგრამ როცა ისინი ჩვენს გვერდით წვანან, გვაკანკალებს ჩვენ ჩვენს სიზმრებში.
გზატკეცილზე ძალაგამოცლილი
ხალხი უამრავია —
მისთვის მოხვედით, რომ ილოცოთ
იმ კაცისთვის, თვალები რომ ჩასცვივნია,
ტირილი აღარ ძალუძს და ფერმიხდილი მოგ-ჩერებიათ?
— არა, ჩვენს ძარღვებში მკვდარია სისხლი, ჩვენ ახლა
სიცოცხლისთვის არ ვზრუნავთ თითქოს;
ჩვენ გვირჩევნია მკვდრები თხრილში ვიწვეთ
და ცოლ-შვილისგან სადმე შორს ვიყოთ.
არ შეგვიძლია ვარსებობდეთ, ვუსმენდეთ
დამშეულის უმწეო მოთქმას და ხვეწნას,
პური, პური მოგვეციო, ჩვენ კი ვერ ვაყუჩებ-დეთ მათ აგონიას, ტანჯვა - წამებას.
ჩვენ მივატოვეთ მოთამაშე თოთო ბავშვი,
გარდაცვლილი დედის ხელებში;
გაუთხოვარი ქალიშვილებიც მივატოვეთ,
დაჯაბნილები და შეშლილები
მტანჯავ ცხელებით.
იქნება ჯობდა, ქალწულებო, რომ მოეგუდეთ
თქვენს უცხო, მუქი ფერის ხვეულ კულულებს,
ან იქნებ ჯობდა, პატარავ, დედის პირველ ხვევნა-კოცნისას მოგღებოდა ბოლო შენ უცებ.

ჩვენ გულს გვიწუხებს ჩვენი უბედურება, თუმც კარგად ესმის ჩვენი ოხვრა ღმერთს;
თანამემამულენი რომ გვტოვებენ, თავის ტახტიდან იგი ამასაც ნეტა შეისმენს?
დაწყევლილნი ვართ ჩვენს საკუთარ მიწაზე, მაგრამ მაინც
ვშრომობთ და ვღვრით ოფლს;

თუმც უცხოელი იმკის მოსავალს, რადგან ჩვენს მიწას ახლა უცხო ფლობს.
ო, ღმერთო ჩვენო! რა შეგცოდეთ, ჩვენივ
მიწაზე უსახლკარობით რომ ვიტანჯებით,
კაენის მსგავსად თვალებდათხრილნი, ჩვენ შიშველები, მწყურვალ - მშივრები.
ვკვდებით, ვკვდებით დაქანცულები,
ნელ-ნელა სული გვხდება წამებით,
და როგორც ძაღლი მოკვდებოდა, იმდაგვარად გზისპირას ვკვდებით.

ერთმანეთის მიყოლებით ეცემიან ირგვლივ
გაფითრებულნი, მზირალნი ცისკენ;
ძალა არ შეგვრჩა, მათ საფლავები რომ
გავუთხაროთ და ვტოვებთ იქვე.
ველურ ჩიტუნას, თუ დაიჭრება,
გლოვობენ სხვები,
ჩვენ კი — ჩვენს ქრიატიანულ მიწაზე — ჩვენს
და-ძმას შორის საბრალოდ ვკვდებით.
იმ მიწაზე, რომელიც ღმერთმა მოგვცა და,
ვით ურჩხული, გამოქვაბულში
ვცხოვრობთ მას მერე,
ცრემლისა და ლოცვის გარეშე,
აღარც სუდარა, აღარც კუბო
და არც საფლავი ჩვენ არ გვაღელვებს.
ამ სიმახინჯეს ყველა უკეთურის
მხიარულ სახეზე, აბა, დაფიქრდი, მითხარ,
იმ განკითხვის დღეს უფლის თვალები არ წაიკითხავს?!
თქვენ კი გახარებთ საწყლები, დამშეულნი,
დამცირებულნი და მხოლოდ
სამუშაო იარაღად ქცეულნი რომ ვართ,
მაგრამ უფალი შურს იძიებს მათი სულების
გამო, ვისთვისაც
ქ რ ი ს ტ ე ე ც ვ ა ჯ ვ ა რ ს.
ახლა თქვენი ნეტარების ჟამი დამდგარა და ამ სამყაროს
ალერსით ტკბებით;
მაგრამ თქვენს წინააღმდეგ მოწმედ
წამოდგებიან გათეთრებული ეს ჩვენი ძვლები
ქოხებიდან თუ თხრილებიდან,
დანახშირებული და დაუმარხავი მასებიდან და
უფალს, აქ ჩამოვლილს, ამ ამბავს
ანგელოზები ამცნობენ ბუკით.
შემაძრწუნებელი ლანდების არმია დავდგებით
ჩვენ დიდი ღმერთის წინაშე,
ბრალს წაგიყენებთ ჩვენს მკვლელებსა და ჩვენი ქვეყნის მძარცველებს მაშინ.

თარგმანი ირლანდიულიდან

ოთხი წლის გახდა ლიტერატურული ჟურნალი „ისინდი“.

როგორ მახსოვს შენი დაბადება, იუბილარო! თვალწინ მიდგას შენი ფეხის ადგმის პროცესი, როგორ არ გინდოდა ხელის ცეცებით მოგენახა საყრდენი, რომ მყარად დგომა შეგძლებოდა. ადვილი შესამჩნევი იყო, რომ არც ბანცალი მოგწონდა. მაინც წინ მიიწევდი, არ ეპუებოდი არანაირ სიძნელეს, ოღონდაც ეროვნული და სამართლიანი მებრძოლის სახელი დაგემკვიდრებინა, ასე რომ სჭირდებოდა შენს სევდიან და შეჭირვებულ ქვეყანას. როგორი დიდგულა გამოდექ! გაოცებული ვათვალიერებ შენს ყველა ნომერს. მიკვირს ასე რომ ინარჩუნებ პეწსა და ლაზათს ამ ძნელბედობის ჟამს.

როგორ მახარებ, მიუხედავად კოვიდ 19-თან დაკავშირებული უსასრულო შეზღუდვებისა, მაინც რომ ახერხებ გამოუსხლტე სტამბას, ჩემთან გამოიქცე და მომანათო შენი ფერადი თვალები. ამ დროს მინდა პატარა ბავშვივით გადაგისვა თავზე ხელი და ჩუმად მოგეფერო...

მიყვარხარ იუბილარო! ძალიან მიყვარხარ და არ მრცხვენია, რომ გამოგიტყდი... მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გარს გახვევია: რედაქტორს ქალბატონ იკა ქადაგიძეს და მთელ სარედაქციო კოლეგიას. მიყვარხართ ყველანი ცამდე....

ნომადი ბართაია

ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან

სამი წლის წინ დაბადებულ ჟურნალ „ისინდს!“ ვუ-ლოცავ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ მას კვლავაც მედგრად ებრძოლოს ერის ფასეულობათა დასაცა-ვად, მისი უკეთესი მომავლისთვის, რათა ამ სამყარო-ში, რომელიც მოგვცა უფალმა „უთვალავი ფერითა“, ღირსეულად გვეჭიროს ჩვენი ადგილი.

ნომადი ბართაია

***

24. 03. 1989.

უნივერსიტეტში ჩატარდა მიტინგი. ზვიადმა მოგვაწოდა შემდეგი ინფორმაცია:

მოსკოვში ყოფნისას რეიგანს გადავეცი მიმართ-ვა, რომელსაც ხელს ვაწერდით მე, მერაბ კოსტავა და გია ჭანტურია. ვითხოვდით 21 წლის საქართველოს ანექსიის შესწავლას და საქართველოსთვის დამოუ-კიდებლობის დაბრუნებაში დახმარებას. როგორც 23 მარტს ამერიკის ხმამ გადმოსცა, ჩვენს მიმართვას მსვლელობა მისცემია სენატში. ასევე მისცემია იმ მიმართვას მსვლელობა, რომელიც უნივერსიტეტის მიტინგიდან გავაგზავნეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სუვერენიტეტის აღდგენასთან და-კავშირებით.

შემდეგ გადავიდნენ აფხაზეთის საკითხზე. აღ-შფოთებულია მთელი ქართველი ხალხი, რომ აფხ-აზებს მოუთხოვიათ საქართველოსგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება. ზვიადმა განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა შევიკრიბოთ ამ საკითხთან და-კავშირებით შესაბამისი დარგის სპეციალისტები და გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებაო.

ცხარედ ილაპარაკა ლეილა ცომაიამ: დროა, საინფორმაციო საშუალებებში აფხაზეთის შესახებ ჩვენს აზრებს ცენზურა მოეხსნასო. ხვალ სოხუმში მიტინგი უნდა გაიმართოს, აქედან წავა ხალხი, მი-ვმართავ პატიაშვილს, ისინი გზაში არ შეაფერხონო.

განსხვავებით სხვა დროსთან, ერთი მილიციო-ნერიც არ იდგა არსად.

სამი დღის წინ გაიმართა რუსთაველის საზოგა-დოების პირველი ყრილობა, სადაც მწვავედ დაისვა აფხაზეთის საკითხი.

01. 04. 1989.

გუშინ უნივერსიტეტში 50 წლის იუბილე გადაუხადეს ზვიად გამსახურდიას.

12 საათზე, სააქტო დარბაზში, ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის პრობლემასთან დაკავ-შირებით, დაიწყო მიტინგი.

ეს მონასტერი XIII საუკუნიდან 1929 წლამდე იყო ქართული და დღეს გახდა მისი ქართულობა საეჭვო. 1929 წელს საზღვარმა გადაიწია სამხრეთისკენ და იგი მოექცა სომხეთის ტერიტორიაზე.



მიტინგზე მოითხოვდნენ სომხეთისთვის უკანონ-ოდ გადაცემული მიწის უკან დაბრუნებას, რადგან არანაირ იურიდიულ დოკუმენტს არ ეფუძვნებო-და იგი. თავის დროზე ეს ყოფილა კონსტიტუციის დარღვევა. ამჟამად გზა გაჰყავთ თურმე მარნეულ-იდან ჰუჯაბისკენ. კრებამ მოითხოვა სასწრაფოდ გზის მშენებლობის შეწყვეტა და მიიღო სათანადო მიმართვა მთავრობის სახელზე.

ამ დროს სცენაზე გამოჩნდა ზვიად გამსახურ-დია. იგრიალმა ტაშმა. გამოაცხადეს, რომ ზვიადს უსრულდება 50 წელი და ჩვენ ვთხოვეთ უნივერსი-ტეტში მოსულიყოო.

ამის გაგონებაზე, გადავსებულ დარბაზში კვლავ იგრიალმა ტაშმა. ხალხი სცენაზე ავიდა. ორატორები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ქება-დიდებას აღუ-ვლენდნენ ზვიადს.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა მერაბ კოსტავა, რომელმაც მოიგონა, მოსწავლეობის წლები, როცა ზვიადმა ჩამოაყალიბა საქართველოს განთავისუ-ფლების ორგანიზაცია 9 კაცის შემადგენლობით და მიიწვია იგი: ზვიადმა გამაცნო თავისი პროგრამა. ჩვენ პროკლამაციები გამოვაკარით. რამდენიმე დღის მერე დაგვიჭირეს, ოთხი თვე უშიშროების კომიტეტში ვყავდით. შემდეგ მეორედ დაგვიჭირეს. მერე დავიწყეთ ერში რელიგიური გრძნობების გაღ-ვივება. ამ გზით ვცდილობდით გადარჩენას, მა-გრამ ეს გზა საკმარისი არ აღმოჩნდა და აქტიურ ბრძოლაზე გადავედითო.

თემურ ქორიძემ ხაზი გაუსვა, რომ ზვიადს მხ-ოლოდ მეცნიერული ღვაწლი ეყოფოდა დიდებისთ-ვის, რომ ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმა არ არის მისი განდიდების მანიით გამოწვეულიო.

სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პრორექტორი იდეურ-აღმზრდელობით დარგში, ვახტანგ გოგუაძე, რომელმაც, ვრცელი და მხურვალე სიტყვის მერე, ზვიადს ბროლის თასი აჩუქა. მან სიტყვა ასე დაიწყო: ზვიად გამსახურდია აკვნიდანვე ეროვნული იყო...

ძალიან ბევრი გამოვიდა სიტყვით: დათო ტურაშვილი, ირაკლი წერეთელი... ერთ-ერთმა გამომსვლელმა ზვიადს უსურვა - ასი წელი დამოუკიდებელ საქართველოში გვეზეიმოსო. დარბაზიდან დაიძახეს - ასი წელი შორიაო, მაშინ - სამოციო. სამოციც შორიაო. საბოლოოდ შეთანხმდნენ 55-ზე და ზვიადის 55 წლისთავი საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმის დღედ დათქვეს.

ზვიადს ადარებდნენ ლამის ქრისტეს. ილიას მერე ასეთი მოღვაწე არ გვყოლიაო. დარბაზში დიდი ტრანსპარანტი იყო, ასეთი წარწერით: გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას, ქართველი ერის ლიდერს! ასევე დარბაზში ფრიალებდა თავისუფალი საქართველოს დროშები.

ბევრმა ლექსი მიუძღვნა ზვიადს, როგორც ეროვნულ გმირს.

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა ბოდიში შემოგვითვალეს - ჩვენთანაც მიტინგია, კომკავშირული ბილეთების დაყრა მიმდინარეობს და ვერ შემოგიერთდითო. ისინი მოითხოვდნენ პოლიტიკური ინსტიტუტის აქტივისტ კომკაშირელ სტუდენტთა დასჯას, მათ ინსტიტუტში გამართული მიტიგის დარბევის გამო.

ბოლოს ზვიადი გამოვიდა სიტყვით: მე სულ დევნას განვიცდიდი და ახლა უჩვეულო გარემოში ვარ, თავს უხერხულად ვგრძნობ. ჩემი საქმე არ არის ასეთი რამე. ეს აპასიურებს ადამიანს, მაგრამ ჩემზე ეს არ იმოქმედებს. ჯერჯერობით ჩვენი მოქმედების წრე ვიწროა. რაც შეიძლება მეტი ხალხი უნდა დადგეს ჩვენს გვერდით. ჩვენ საზეიმოდ არ გვცალია. მე და ჩემი ქრისტესმიერი ძმა მერაბ კოსტავა, ახლაც საქმეზე ვბჭობდით. იგი ამაღამ სოხუმში მიდის, მიტინგთან დაკავშირებით. 26 მაისი მერაბის დაბადების დღეა და დიდი მასშტაბით უნდა აღვნიშნოთ. ორი თვის წინ უნივერსიტეტში არ მიშვებდა მილიცია, ახლა დრო იცვალაო.

ხალხმა ირაკლი ციციშვილი გადაირჩია ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თანამდებობიდან და ზვიადი აირჩია. ვნახოთ, მთავრობა როგორ მიიღებს ამ გადაწყვეტილებას. მოითხოვეს აგრეთვე ზვიადის დაბრუნება უნივერსიტეტსა და აღდგენა მწერალთა კავშირში.

ყველა აღნიშნავდა, რომ ასეთი იუბილე აქ ჯერ არ გამართულა.

ასე გადაიზარდა ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენისათვის მიძღვნილი მიტინგი ზვიადის იუბილეში.

01. 04. 1989.

გაგრძელება იქნება

ვახტანგ ბახტაძე

„სპეციალურად „ისინდისათვის“

პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს[1]

ადრესატი უფრო ნათლად ჩანს სახალხო კომისართა საბჭოსადმი მიმართვაში 1918 წლის 13 (26) ოქტომბერს:

„რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს!” (მათ. 26—52)“.

მაცხოვრის ამ ქადაგებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენი სამშობლოს ბედის დღევანდელ განმგებლებს, რომლებიც თავს „სახალხო“ კომისრებს უწოდებთ. მთელი წელია, რაც თქვენს ხელშია ხელისუფლება და ოქტომბრის რევოლუციის ზეიმისათვის ემზადებით, მაგრამ შეუბრალებლად დახოცილი ჩვენი თანამოძმეების დაღვრილი სისხლი ზეცას შეჰღაღადებს და ჩვენ გვაიძულებს, მწარე სიმართლე გითხრათ.

როდესაც ხელისუფლება ხელში ჩაიგდეთ და ხალხს მოუწოდეთ ნდობა დამოეცხადებინათ თქვენთვის, რა დაპირებები მიეცით ხალხს და როგორ აღასრულეთ იგი?

სინამდვილეში თქვენ ხალხს პურის ნაცვლად ქვა მიეცით, ხოლო თევზის ნაცვლად გველი (მათ.7,9-10). სისხლისმღვრელი ომით დაუძლურებულ ხალხს თქვენ მშვიდობას დაპირდით „ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე“.

რა მონაპოვარზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ, როდესაც რუსეთს სამარცხვინო მშვიდობა და დამამცირებელი ყოფა მოუტანეთ, რის სრულად გამოქვეყნებასაც ვერც კი ბედავთ? ანექსიის და კონტრიბუციის სანაცვლოდ ჩვენი დიდი სამშობლო დაპყრობილია, დამცირებულია, დანაწევრებულია და მასზე დადებული ხარკის გადასახდელად თქვენ გერმანიაში საიდუმლოდ გაიტანეთ ოქრო, რომელიც თქვენს მიერ არ იყო დაგროვებული...“

1918 წლის 21 ივლისს სიტყვაში პატრიარქმა ტიხონმა დაგმო ნიკოლოზ 11-ის დახვრეტა და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამის მოწონება და კანონიერად ცნობა.

1922 წლის 23 თებერვალს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლითაც ევალებოდათ ადგილობრივ საბჭოებს, „საეკლე-

1 დასაწყისი იხ. „ისინდი“ №10, №11, №12

სიო ქონებიდან, რომელიც სარგებლობაში იყო გადაცემული ყველა რელიგიის მორწმუნეთათვის, აღწერითა და ხელშეკრულებით ამოეღოთ ყველა ძვირადღირებული ოქროსა და ვერცხლის ნივთი და ძვირფასი ქვები, რომელთა ამოღება არსებითად არ შეეხებოდა თვით კულტის ინტერესებს, და გადაეცათ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისთვის მოშიმშილეთა დასახმარებლად". დეკრეტი მიუთითებდა, რომ ამოღება მომხდარიყო მორწმუნეთა იმ ჯგუფების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელთა სარგებლობაში იყო გადაცემული ეს ნივთები. იმავე დღეს გამოიცა სპეციალური ინსტრუქცია საეკლესიო ღირებულებათა ამოღების წესის შესახებ, სადაც გათვალისწინებული იყო ამოღების სამუშაოს ზუსტი პირობები და გარანტირებული უნდა ყოფილიყო ამოღების სისწორე.

12 აპრილს პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება: „დაევალოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, ტიხონის საქმე განიხილოს მთელი სიმკაცრით, იმ უზარმაზარი დანაშაულის გათვალისწინებით, რაც ტიხონმა ჩაიდინა". ეს იყო მითითება სასამართლოს მიმართ, რომ ტიხონისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ. 19 აპრილს ტიხონი გადაიყვანეს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ციხეში, სადაც მიმდინარეობდა მისი ხანგრძლივი და დამქანცველი დაკითხვები. 8 მაისს იგი დააბრუნეს დონის მონასტრის სენაკში, რათა იქ მისვლა შესძლებოდათ დელეგატებს აპრილის ბოლოს გამართული განახლებული საეკლესიო კრებისა, რომელმაც მისთვის საეკლესიო ხარისხის ჩამორთმევა დაადგინა.

1922 წლის 5 მაისს პატრიარქი სასამართლოში გამოიძახეს მოსკოვის სამღვდელოების პროცესზე. სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება მოქალაქე ბელლავინის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ. ამის შემდეგ პატრიარქი პატიმრობაში იმყოფებოდა დონის მონასტრის ყოფილ სახაზინო სენაკში, გარესამყაროსაგან სრულ იზოლაციაში.

1923 წელს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებშიც ისინი მოითხოვდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, „კაციჭამია" ტიხონის სასტიკად დასჯას. ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ამ შეთითხნილი წერილების საფუძველზე

1923წლის 6 აპრილს გაზეთ „**იზვესტიაში**" გამოქვეყნდა ცნობა: „11 აპრილს უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგია იწყებს ყოფილი პატრიარქის ტიხონისა და მისი უახლოესი დამქაშების საქმის განხილვას... პროცესის მოსმენა მოხდება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში". 11 აპრილის ნომერში გაზეთი იუწყებოდა: „ყოფილი პატრიარქის ტიხონის პროცესი გადადებულია გარკვეული დროით. პროცესის დაწყების თარიღი საგანგებოდ იქნება გამოცხადებული".

პატრიარქ ტიხონის 16 ივნისის განცხადება რსფსრ უმაღლესი სასამართლოში შუამდგომლობის შესახებ, შეცვლილიყო მის მიმართ ამღკვეთი ღონისძიება გამოიხატა მონანიებით „დანაშაული სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ". გაზეთ „იზვესტიაში" 1 ივლისს გამოქვეყნდა „მოქალაქე ბელლავინის (ყოფილი პატრიარქ ტიხონის) რსფსრ უზენაეს სასამართლოში შეტანილი განცხადების ფაქსიმილე" (თვით განცხადების ტექსტი გამოქვეყნდა ადრე, 27 ივნისს).

„მივმართავ რა ამ განცხადებით რსფსრ უზენაეს სასამართლოს, მე საჭიროდ მიმაჩნია, ჩემი სამღვდელო სინდისით განვაცხადო შემდეგი:

მე აღვიზარდე მონარქიულ საზოგადოებაში და დაპატიმრებამდე ვიმყოფებოდი ანტისაბჭოთა ძალების გავლენის ქვეშ, რის გამოც მართლაც მტრულად ვიყავი განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებოს მიმართ, ამასთან ჩემი პასიური მტრობა დროდადრო გადადიოდა აქტიურ ქმედებებში, როგორიც იყო: მიმართვა 1918 წლის ბრესტის საზავო ხელშეკრულებას-

თან დაკავშირებით, იმავე წელს ხელისუფლების ანათემაზე გადაცემა და ბოლოს მოწოდება 1922 წლის დეკრეტის წინააღმდეგ საეკლესიო ღირებულეათა ამოღების შესახებ. ყველა ჩემი ანტისაბჭოთა მოქმედება ზოგიერთი უზუსტობით გადმოცემულია უზენაესი სასამართლოს საბრალდებო დასკვნაში. მე ვაღიარებ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობას ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის პასუხისგებაში ჩემი მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნაში მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, რაც ითვალისწინებს ანტისაბჭოთა საქმიანობას. მე ვინანიებ ამ დანაშაულთა გამო საბჭოთა სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და ვთხოვ უზენაეს სასამართლოს, შემიცვალოს აღკვეთის ღონისძიება, ანუ გამანთავისუფლოს პატიმრობიდან.

ამასთანავე მე ვუცხადებ უზენაეს სასამართლოს, რომ ამიერიდან აღარა ვარ საბჭოთა ხელისუფლების მტერი. მე საბოლოოდ და გადაჭრით ვემიჯნები როგორც საზღვარგარეთულ, ისე აქაურ მონარქიულ-თეთრგვარდიულ კონტრევოლუციას.“

25 ივნისს მიღებულ იქნა დადგენილება ტიხონის განთავისუფლების შესახებ. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მისი განთავისუფლება იყო შედეგი კერზინის ნოტისა, რომელიც გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით. ნოტა შეიცავდა მუქარას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის სრულ გაწყვეტაზე და მოითხოვდა ეკლესიისა და სამღვდელოების დევნის შეწყვეტას.

პარტიული გაზეთის „პრავდის“ 27 ივნისის სარედაქციო სტატია ასე მთავრდებოდა:

„... დაე, მთელი მსოფლიოს პროლეტარებმა და გლეხობამ, რომელთაც პოლიტიკოსი არქიეპისკოპოსების და ღვთისმოსავი იმპერიალისტების პროვოკაციული კამპანია შეეხო, გაიგონ, როგორი ფურთხით დააჯილდოვა ისინი ყოფილმა პატრიარქმა, რომლის გამოყენება სურდათ , რათა ჩაესოთ დამპალი კბილები საბჭოთა ქვეყნის ცოცხალ სხეულში.“

დასასრული შემდეგ ნომერში

მარიამ ტოხიშვილი

შეშლილი სამყარო

მზე ჩადიოდა. კოკისპირულად წვიმდა. დაღლილ, ღონეგამოცლილ დედამიწას ჯოჯოხეთიდან გამოქცეული ქიმერასავით გარს შემოეხვია ამდენი უბედურების გამომწვევი მიზეზი - კორონა, მანაც ველარ მოითმინა და მის ბინადართა ჭირით შეძრწუნებულმა, გააფთრებულმა ჰკითხა:

- რატომ დაგვესხი თავს ასე მოულოდნელად?! რა დაგიშავეთ?!

- მაგ კითხვას არ უნდა სვამდე! - ურცხვად უპასუხა პანდემიამ.

- ამდენი სიცოცხლის მოსპობის შემდეგ თავს საუბრის უფლებასაც არ უნდა აძლევდე!

- კარგი, რადგან ასე ფიქრობ, გეტყვი, ყველაფერს გეტყვი! ჩემთვის არაფერი დაგიშავებია; ხალხმა დაგიშავა შენ... დაგიშავა და დაგაშავა,გარდაგქმნა, დაგასუსტა, დაგაუძლურა...

- ხალხს აბრალებ შენს დაუნდობლობას?!

- სწორედაც! ამ საუკუნეში მათმა დიდმა ნაწილმა ერთმანეთი დაკარგა და შენც გიშვებენ ხელს ნელ-ნელა, სულის ძაფები გაუწყდათ; დაავიწყდათ სიყვარული, სითბო, თანადგომა, სიბრალული. ზოგიერთ ადამიანს ადამიანობა დაავიწყდა; ასეთები უგრძნობ ჰიბრიდებად იქცნენ, მონსტრის თვისებებით, რომელთაც ერთმანეთის უბედურება აბედნიერებთ; რომლებიც გადარჩენის უწმინდურმა ინსტინქტებმა თვითგანადგურების გზაზე დააყენა... გულბინძურმა ხალხმა ფლორა და ფაუნა გაგინადგურა... ზუსტად მათ გადაწვეს შენი ფილტვები- ამაზონის ტყეები! და მარტო ეს? -კიდევ ვინ მოსთვლის! შენს მიწას არავინ უფრთხილდება. გაბინძურებენ, გაჭუჭყიანებენ... ამით იმ ტოტს ჭრიან, რომელზეც სხედან! მუდმივი არაფერია, თუ არ მოუფრთხილდი! ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამას თვითონ ვერ აანალიზებენ!

- გგონია მე ვერ ვხედავ? მაგრამ რა შემიძლია? რისი გაკეთება?

- გული მეწვება შენს შემხედვარეს! გამომიყვანეთ ბოროტად ... ვაღიარებ, რომ კეთილი არ ვარ - მე ხომ ამდენი სიცოცხლე მოვსპე, მაგრამ მე რომ არა შენს მიწას სევდისფერი ნისლი დაფარავდა, ცას კი ფერი გაუხუნდებოდა; მე რომ არა, სხვა გამოჩნდებოდა და თანაც

უკურნებელი; მე რომ არა, შენი მკვიდრები იმ მძლავრი იარაღის შექმნას განაგრძობდნენ შენს წინააღმდეგ, რასაც თვითონ გლობალურ დათბობას უწოდებენ; მე რომ არა, შენ მეტს ვეღარ გაუძლებდი!

- გავუძლებდი! სადამდეც შევძლებდი გავუძლებდი!

- დასაფასებელია შენი მიდრეკილება თავგანწირვისკენ, თუმცა ასე ერთიანად განადგურდებოდი რამდენიმე წელში, თვეში ან სულაც დღეში... და შენ თუ აღარ იქნები, კაცობრიობაც გადაშენდება! - ეს დაუწერელი კანონია, რომელსაც წინ ვერავინ აღუდგება! თუ შენი მკვიდრები კვლავაც განაგრძობდნენ შენთვის ზიანის მოყენებას, მაშინ რაღა მნიშვნელობა ექნებოდა მე გავანადგურებდი შენი მოსახლეობის რაღაც ნაწილს თუ თვითონ მოისწრაფებდნენ აღსასრულის დღეებს?!

- შენ შეიძლება შენი სიმართლე გაქვს, მაგრამ ვინ მოგცა უფლება უფლის ნაბოძები სიცოცხლე ვინმეს წაართვა? მითუმეტეს ათასობით უდანაშაულოს?!

- გაახილე თვალები, დედამიწავ! მიმოიხედე! განა მე იმდენი სიცოცხლე შევიწირე, რამდენსაც მსოფლიოში ყოველდღიურად შიმშილობა იწირავს?! ხალხი საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა, მაშინ როდესაც ათობით ბავშვი უპატრონოდ რჩება, ასობით გაჭირვებული ლუკმა-პურს ითხოვს, ათასობით უსახლკარო კი თავზე ჭერს ნატრობს!

- სანამ შენი შიშით ხალხი სახლებში ჩაიკეტებოდა ჩემს ყოველ კუნჭულში ვუყურებდი ყოველდღე ქუჩაში უაზროდ მოხეტიალე დაკარგულ სულებს; ვუყურებდი უსახლკაროებს, რომელთაც ღამის გასათევად მუყაოს ყუთის პოვნა ახარებდათ; ვუყურებდი ხელგაწვდილ გოგო-ბიჭებს, ჩამოკონკილი ტანსაცმლით რომ კაპიკებს ითხოვდნენ; ვუყურებდი ლოთებს, რომლებიც ცხოვრებისგან ხელნაკრავნი, ქუჩაში უგონოდ მთვრალები მოსთქვამდენ და მერე გონების დაკარგვამდე ილეშებოდნენ; ვუყურებდი ამ სცენებისთვის გულცივად მოცქირალ გამვლელებს ტელეფონებით ხელში, რომელთაც იმედი ჰქონდათ ფოტოზე აღბეჭდილი მოვლენებით ინტერნეტ სივრცეში პოპულარობას მოიპოვებდნენ; ვუყურებდი მუშებს, რომლებიც ყოველდღე თავგანწირვით მუშაობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მშიერი შვილები დაეპურებინათ... ვუყურებდი და

ერთიანად ვიწვოდი იმ ცოდვა-ბრალით, რაც ჩემს მიწაზე ტრიალებდა, მაგრამ არაფრის გაკეთება შემეძლო... ახლა კი, შენ გამო, სისხლისმსმელო ტირანო, ვუყურებ ემიგრანტებს, რომელთაც სამშობლოდან ზარი აშინებთ - ,,ჩემებს ხომ არაფერი დაემართათო", რომლებიც ლუკმა-პურის საშოვნელად ცხრა მთას, ცხრა ზღვას გასცილებიან და მონური შრომით შვილების კეთილდღეობას უზრუნველყოფენ... მაგრამ მე მაინც მყარად ვდგავარ და გაჩერებას არ ვაპირებ!

- არ დაიღალე?! როგორ შეგიძლია ამ ყველაფერს ასე მშვიდად უყურო?!

- დავიღალე თუ არა? შენი აზრით, ის მამები იღლებიან ,,უძღები შვილები" რომ ჰყავთ? დავიღალე... ისე დავიღალე, რომ ზოგჯერ გაჩერებაზეც კი ვფიქრობ... მაგრამ მე უფლისგან დაკისრებული მოვალეობები მაქვს და რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა დააშავონ ჩემმა ბინადრებმა, ვალდებული ვარ გავუძლო, მოვითმინო და ვიტრიალო. ეს ჩემი ვალია კაცობრიობის წინაშე და მას დღემდე პირნათლად ვასრულებ! შენ არ დაიღალე?! - ყველა გებრძვის! ხან შენ მარცხდები, ხან ექიმები. ახალგაზრდა კი ხარ, მაგრამ საიდან ამდენი ენერგია?

- სიმართლეს გეტყვი, მოხუცო, მეც დავიღალე... მაგრამ მე რომ დედამიწა ვიყო, აქამდე ყველა უსამართლობას და ბოროტებას გავა-

ქრობდი ჩემს მიწაზე და შესაბამისად, აღარც მე და ჩემნაირები ვიარსებებდით!

- ნუ იქნები გულფიცხი! ყოველივე ბუნების კანონზომიერებაა - კეთილიც, ბოროტიც, დღეც და ღამეც.

- კანონზომიერება?! ჰმ... ხალხი ვერ აფასებს იმას, რასაც სამყარო სთავაზობს! 21 საუკუნის განმავლობაში იესო 21-ჯერ კიდევ ჯვარზე გააკრეს! უფლის ნაბოძები შანსი გონივრულად ვერ გამოიყენეს... მე მათ ხელები ზეცისკენ ავაპყრობინე და ლოცვა დავაწყებინე, რწმენა გავუმყარე! სიცოცხლის ფასი გაიგეს! ერთად დგომის, ერთ მუშტად შეკვრის ძალა დაინახეს!

- თავი კეთილ ჯადოქრად გინდა წარმოგვიდგინო?

- შეიძლება ვერ ამჩნევ, მაგრამ ადამის მოდგმას მივიწყებული გრძნობები გავახსენე. დავანახე, რამდენად ბედნიერად უცხოვრიათ აქამდე; რა ტკბილია ჰაერის ჩასუნთქვა პირბადის გარეშე, ხელის ჩაკიდება უხელთათმანოდ, სიყვარული დისტანციის გარეშე... გავაგებინე , რომ სოფელი ქალაქზე ბევრად უკეთესია! გავახსენე უპატრონოდ დატოვებული, შვილებისთვის მლოცავი მოხუცები, მიტოვებული ნასახლარების დარაჯობა რომ უკისრიათ... ხალხს გლეხის შრომა დავაფასებინე და მივახვედრე, რომ უშრომელად არაფერი მოდის; მონატრებით სიყვარული გავამძაფრე! ექიმებისა და მედიცინის როლი დავანახე სამყაროს; შენ ამოსუნთქვისა და დასვენების საშუალება მოგეცი! მგონი დროა შენ და შენმა მკვიდრებმა ჩემში რაღაც კარგიც დაინახოთ!

- ხალხს იმედი სჭირდება კარანტინის შემდეგ ცხოვრებისთვის ფეხის თავიდან ასაწყობად. იმედი კი ერთადერთია - შენი გარდაუვალი დამარცხება! შენი კლანჭებიდან ერთ დღესაც დავიხსნით თავს! ჩვენ ვერ გვაჯობებ, ვერ დაგვჯაბნი! შენ ხალხის ძალა არ იცი რა არის! - უთხრა დედამიწამ თვალებში შიშჩამდგარ კორონას და თვალი გააყოლა შორს მიმავალს... ახლაღა შეამჩნია, რომ შემოსთენებოდათ... მზე ამოდიოდა, იმედებითა და მომავლის რწმენით გაბრწყინებული სხივებით... შორს, შორს, მთების გადაღმა კი ცისარტყელაც მოჩანდა...

ელენე ელყანიშვილი

თვითნასწავლი მხატვრის ფერადი სამყარო

პატარა, მაგრამ დიდი ნიჭით დაჯილდოებული ელენე ელყანიშვილი თითქოს არაფრით გამოირჩევა თანატოლებისგან, არადა, მის ფერად სამყაროს რომ ეწვიოთ, ნამდვილად გამოარჩევთ. 12 წლის მოზარდი 700-მდე ფერწერული თუ გრაფიკული, მრავალფეროვანი თემატიკის ნამუშევრებით ხიბლავს მნახველს.

ელენემ ფანქრით ხატვა 3 წლისამ დაიწყო, ფერადი სამყაროს შექმნა კი 6 წლის ასაკიდან განაგრძო. მისი პირველი ნახატი, ზეთის საღებავებით შესრულებული-ყვავილებია. სწორედ ყვავილების აღმოჩენით დაიწყო პატარამ, მაგრამ დიდმაძიებელმა სამყაროს მშვენიერების ამოცნობა.

საუბრის დროს, თუ რომელი თემა იყო მისთვის საინტერესო, გაგვიმხილა:

„მინდა სამყაროს მშვენიერება ჩემს ნახატებში გადმოვიტანოო“

ელენეს სიტყვები მის ნახატებში აისახა. სიტყვა საქმედ იქცა. შემოქმედის ნახატებში იგრძნობა სამყაროს მთლიანობის ერთ პატარა, მაგრამ შემოქმედი, გონიერი ნაწილის ჰარმონიული შერწყმა.

ელენე, მართლაც რომ აღმოჩენაა. მისი ნამუშევრები ინტერნეტის საშუალებით გაიცნო ხალმა.ბევრი მოწონება და კომენტარი დაიმსახურა.

პირველი პერსონალური გამოფენა გალერეა „ვაჩეში“ მოეწყო, როდესაც ელენე ჯერ კიდევ მეოთხე კლასში იყო. გამოფენაზე ელენეს 40-მდე ნამუშევარი იყო გამოფენილი.

ელენეს პერსონალურ გამოფენას ტელევიზიის სხვადასხვა არხები გამოეხმაურნენ: (რუსთავი 2, იმედი და ინტერნეტპორტალი).

ელენეს მეორე პერსონალური გამოფენა შარშან თბილისის პარლამენტის შენობაში, შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზში შედგა. დამთვალიერებლებმა აღნიშნეს მხატვრის დიდი ნიჭი, რომელსაც მუდმივად ავითარებს პატარა ხელოვანი.

მესამე პერსონალური გამოფენა მოეწყო ელენეს მშობლიურ ქ. თბილისის N142 საჯარო სკოლის პირველი სართულის დერეფანში. მხატვრის ნამუშევრებმა მაგნიტივით მიიზიდა მნახველები: მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები, რომელთა სახეზე შეუმჩნეველი არ დარჩენილა აღმაფრენა და დიდი სიხარულის განცდა.

ელენე თავისი ნათელი და მსუყე ფერებით უშურველად გვმასპინძლობდა ყვავილების სურნელით და ფერებით გაჯერებულ გაზაფხულის, ოქროსფერი შემოდგომი სადა ზამთრის გადათეთრებული პეიზაჟებით. მისი ნამუშევრიდან „დაქალები“ დიდი სიყვარული იღვრება. დამთვალიერებლები ელენეს პეიზაჟებმა მთვარით განათებულ მის იდუმალებასაც გვაზიარა, უკიდეგანო ზღვის სანაპიროზე ტალღის ხმაც მოგვასმენინა. ელენეს შემოქმედებაში ბიბლიურმა თემებმაც გაიჟღერა: **„სამარიტელი დედაკაცი“**, **„ლოცვა გეთსიამანიის ბაღში“**. საინტერესოა მისი ნახატი გასეირნება ჯუთაში, რომელშიც მთავარი მოქმედი გმირი ელენე მშობლებთან ერთად ბუნების მშვენიერებას ჰარმონიულად შერწყმიან. ელენეს ნამუშევრებში ყურადღებას იქცევს ნახატი „დაბადების მოლოდინში“ დედა, რომელიც შვილის მოლოდინშია, ნათელ ფერებში იკვეთება, იგრძნობა მხატვრის სიცოცხლისადმი სიყვარული. ამ ნამუშევარს სიცოცხლის ჰიმნს დავარქმევდი. ელენეს ნამუშევარში გამოიკვეთა დედის პორტრეტი, რაც დიდი სიყვარულისა და სითბოს გამოხატულებაა მშობლის მიმართ.

ელენეს ნამუშევრები რომ დიდი სიყვარულით არის შექმნილი, მის შემოქმედებაში თბილი ოქროსფერი, მზის მბზინვარე ფერებით ისარკება. ელენე ჯერჯერობით დედისერთაა, მშობლები: ქალბატონი მაია ბედუკაძე პროფესიით ფსიქოლოგი და მამა ბატონი კონსტანტინე ელყანიშვილი, პროფესიით ეკონომისტი, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ ელენესგან შორს იყოს უფერულება, შვილის სამყარო მუდამ ფერადი იყოს.

გამოფენას ამშვენებდა ელენეს ავტოპორტრეტები, რომელშიც დაკვირვებული ფერთა და ხაზთა მკითხველი ამოიცნობდა მხატვრის შემოქმედებით ზრდას, წინსვლას, მის სულიერ ფერიცვალებას.

მინდა №142 - საჯარო სკოლის დირექციის პედკოლექტივის სახელით მადლობა გადავუხადო უნიჭიერეს შემოქმედს ფერად სამყაროში მასპინძლობისთვის დავუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება და მომავალში მრავალი, მრავალი წარმატება.

მაყვალა გერმანოზაშვილი: ქ. თბილისის №142 სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ერეკლე საღლიანი

მედეა
(მითოლოგიური პოემა)

ამ ნაწარმოების პერსონაჟი არ არის მხოლოდ გარკვეული დროითა და სივრცით შემოფარგლული. ის ყველა დროის მედეაა. ავტორმა გამოიყენა მითის სვანური ვერსია, რომლის მიხედვით, მედეა ბრუნდება სამშობლოში და ჩამოაქვს ოქროს საწმისი. მან სთხოვა თავის სვან ძმობილს - ბეშვანს სვანეთში წაყვანა.

ცრემლით სავსე დამაქვს დევნილს უბე,
ზღვის ტალღებში ვავლებ ორთავ ხელს და...
ჰელადისკენ მიაქვს ქუფრის ღრუბელს
სავსე მთვარის ნაღველი და ელდა.
ფიქრს და დუმილს ცასთან ერთად ვიყოფ,
ვარ შორეულ მომავალში მხედი,
რა ვქნა, მეტად უცნაური იყო,
უცნაური იყო ჩემი ბედი.
სულს ღაფავენ მითანი და ხათი,
ვარ კოლხეთის მე დიდების მომსწრე,
მე რომ გავჩნდი, ცად აინთო მნათი,
უცნაური დაბადების მომსწრე.
მამაჩემმა წამსვე უხმო მოგვებს,
რას გვიქადის მომავალი? - ჰკითხა –
ცა და მიწა ვხედავ, ერთად ჰგოდებს,
ნუთუ ასე გაგრძელდება დიდხანს?
მნათი იყო მოკაშკაშე ძალზე,
ცეცხლს ისროდა და აფრქვევდა ირგვლივ,
ცეცხლის სვეტი ედგა თითქოს თავზე,
ცეცხლის ეტლში ება ცხენი კირჩხიბს.
და მოგვებმაც უთხრეს მამას ასე:
ეს ვარსკვლავი მაცნე არის ავი,
კაცთა მოდგმა არის ცოდვით სავსე,
ცოდვით სავსე დედამიწა ხავის.
ღამე უსვამს დღეს როდესაც წერტილს,
ცეცხლის ალი სივრცეს როცა გაბანს,
მამაჩემსაც შეძრულს თხემით-ტერფით,
მოუტანენ მაცნეები ამბავს.
აიეტად იწოდება იგი,
არის მზის ღმერთ ჰელიოსის შვილი,
მოკვდავს ყველას აქვს იმისი რიდი,
არის რადგან მზესთან წილხვდომილი.
არის უკვდავ დასკრებულთა მოდგმა,
წინამძღოლთა არის იგი გვარის,
მოახსენეს წუნწუხოსთან მოდგა,
თრიერების მოდგა დიდი ჯარი.
ბედნიერი ვიყავ დიდი მამით,
გვერდით მყავდა სანატრელი დედა,
კოლხეთის ჯარს ვხედავ შეყრილს ღამით,
ომში მავალ მხედრებს ახლაც ვხედავ.
არ ვივიწყებ, თვალს თუ რამეს მოვკრავ,
რვალზე მყარი არის ჩემი ძვალი,
არ არსებობს დრო, როდესაც მოკვდავს
ახელილი აქვს მესამე თვალი.
დაიქუხა ქუხილივით მამამ:
მრავალ ომში გამოვლილო სპანო,
მკლავში ძალა შეგვრჩენია სანამ,
ვმუსროთ მტერი აღარ დავახანოთ!
არ გეშლებათ საგრობა და ომი,
არ გეშლებათ ერთგულება, ძმობა,
მარტოოდენ ხართ მცირედის მდომი,
ჩვენი მოდგმა ჩვენთვის ხმალს სჭედს ყობანს.
ნახოს მტერმა ჯაბანი რომ არ ვართ,
ვეფხის ველზე გავალთ ყველა სისხამს,
ძილს მინდობილ ურჯუკსა და მტარვალს,
დავატყდებით ერთიანად რისხვად.
ჩვენი ქვეყნის სიმტკიცევ და ფრთებო,
არ დაგესხათ მხედრებს თავზე რეტი,
მტრის სიმრავლემ არ დაგაფრთხოთ, ძმებო,
რაა მერე, თუა სამჯერ მეტი!
თქვენთან ერთად გავლევ ცხრა დღის სავალს,
ვარ უღელში მეც შებმული ხარი,
დღეს მე მხოლოდ თქვენი მეფე არ ვარ,
არ ვარ მხოლოდ ერთი მეომარი!
სადაც უნდა ვიყოთ მთად თუ ბარად,
არ წავხდებით სიკვდილთანაც, ვფიცავ,
ჩვენს მიწაზე ვდგვართ მტკიცედ, მყარად,
ღვთისგან აღთქმულ სამკვიდრებელს ვიცავთ!
ომს შეუდგნენ სულით ძლიერები,
დადგა ჟამი კოლხთა წარმატების,
ჯერ ჩაკაფეს ბლომად თრიერები,
შემდეგ მათთან მბრძოლი სარმატები.
არ წასვლია არც ერთ მხედარს ფერი,
კი დამთავრდა თუმცა ომი გვიან,
და მეფემაც რაი მოსრა მტერი,
გაქცეულებს ტამანამდე სდია.
სძლია იმან სივრცესა და დრო-ჟამს,
ახლა უკვე ძველ აიეტს არ ჰგავს,
მზე დაკოცნის მის საბრძოლო დროშას,
ბადრი მთვარე შეუვერცხლავს ქარქაშს.
ახლავს მეფეს თავის წმინდა ალაგს,
ქართლოსის და თარგამოსის ძენი,
რა მოადგა იგი გოდოლ-ქალაქს,
ქუთაია მეფეს დახვდა ლხენით.
პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას,
წუნწუხოსაც შეხსნეს რკინის კარი,
მოდიოდა მამა და მოჰქონდა,
ფაზისის და კოპიტნარის ქარი!
დაფდაფები გამეტებით სცმდნენ,
ზეცას ეცხო თიამათის სისხლი,
შემოჰქონდათ დიდ ქალაქში გემებს
ანძის წვერზე წამოცმული ნისლი.
ზე აწევენ კოლხნი მუხის კირბებს -
დამწერლობის უპირველეს ძეგლებს,
სიხარული წუხილს აღარ ირგებს,
სიმარტოვე უკვე მარტო ვერ ძლებს.
ყველა მებრძოლს ერგო თავის წილი,
გმირებს შევხვდით შეკრულები გრძნებით,

კირბებზეა სტეკით ამოჭრილი,
საზღვაო და სახმელეთო გზები.
ესტუმრება დიდროვანის მინდორს
მამა და დიდ მეგალითებს ნახავს,
ბევრი კოლხი ნატრობს ახლა იმ დროს
ამთლიანებს ერთად ძველს და ახალს.
ღმერთის ტოლკაცს უწოდებენ მამას,
მქუხარე ხმით მორიგე ღმერთს ბაძავს,
თავის ქვეყნის დიდება მას გააქვს,
არ აკარებს თავის მოდგმას ძაძას!
იტყვის მამა: ცრემლს არ ვწურავ უპეს,
მარგალიტად ნუ ვასაღებთ რიოშს,
ვძლიეთ მტერი, მაგრამ ახლა უკვე,
ყველამ უნდა საკუთარ თავს ვძლიოთ!
გადახედავს ბერკეთილას ბორცვებს,
თავის მზერას ზღვის ტალღებზე ლესავ,
ეს სიტყვები აქამომდე მომდევს,
ეს სიტყვები თავს მახსენებს დღესაც.
დასავლეთით გახსნის რკინის ფარდას,
დაუძახებს მთესველსა და მომხვნელს,
იტყვის დიდის მოლოდინში ვარ და,
რაღაც დიდი რამე უნდა მოხდეს!
გაიშალა უჭირველი სუფრა,
თამადამ თქვა სეფე-სადღეგრძელო:
ვიდრე ცა და მიწა ერთად სუნთქავს,
გაგვეტანოს გასატანი ლელო!
იმ დროს მე ხომ მხოლოდ ჩვილი ვიყავ,
თამადის ხმა მაინც თითქოს მესმის,
კაცებს თავზე ამშვენებდათ ჯიღა,
კმაყოფილი იყო ყველა ხემსით.
ბნელ სურვილებს ყველა ერთად ვხოცავთ,
მეც ჩემს ფიქრებს პაპირუსზე ვფენ და...
არ იცვლება არაფერი როცა,
დრო შევცვალოთ მაშინ უნდა ჩვენდა.
რა უნდა ქნას მეოცნებემ მაშინ,
რკინის ხამლი ჩაიცვას და ჯვალო,
საიდუმლო უნდა ჰპოვოს მთაში
და გარშემო ყველაფერი ცვალოს.
მამის დიდ და - პასიქაე კრეტის -
მინოს მეფის არის ურჩი ცოლი,
სიმდიდრემ მას ისე დასცა რეტი
მზეს მოტეხოს ლამის წმინდა ბროლი.
მეორე და მამის არის კირკე,
მფლობელია ისიც უშტთა განძთა,
მან მასწავლა მე ბუნების სიბრძნე,
მან მასწავლა განკურნება კაცთა
დავადუღებ სიტყვას, როგორც ღვინოს,
ვეურჩები მგრეველსა და დამქცევს

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მოქანდაკე მარმარილოს ლოდში ხედავს თავის ქანდაკებას. ასეთია ლიტერატურულ ჟურნალ „ისინდისადმი" მისი რედკოლეგიის თითოეული წევრის დამოკიდებულება.



მე, პირადად, ამ პირობებში, ჩვენს ქვეყანაში რომ არის შექმნილი, სულიერ ფასეულობათა გადარჩენისთვის ბრძოლა, გმირობად მიმაჩნია. უამრავი სიხარული მოგვგვარა ამ ჟურნალმა. მისი უმთავრესი ღირსება მაღალ მოქალაქეობრივი პოზიციაა. ვუ-ლოცავ ჟურნალ „ისინდს" საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ მრავალი კუპრის ღრუბელი განარიდოს სამშობლოს ზეცას.

ერეკლე საღლიანი

თეიმურაზ ნადარეიშვილი

დაცემის ანატომია

ჟურნალ ''ისინდთან'' თანამშრომლობა მისი დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, 2018 წლის აგვისტოში დავიწყე. მანამდე გაგონილი მქონდა, რომ ''ისინდი'' მკვეთრად გამოხატული ეროვნულ პოზიციებზე მდგომი მებრძოლი ინტელექტუალური ჟურნალი გახლდათ, რაც სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო, რადგანაც მისი რედაქტორი კარგად ცნობილი პოეტი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი იკა ქადაგიძეა, რომელსაც საკუთარი ეროვნული პოზიციის და პრინციპულობის გამო ლიტერატურულ წრეებში ჟანა დ,არკად მოიხსენიებენ. საბედნიეროდ, მე იკასთან დაახლოებით 15 წლის მეგობრობა მაკავშირებს და ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით სხვადასხვა ლიტერატურულ თავყრილობებზე. 2011 წელს კი იკამ მიმიწვია საპატრიარქოს რადიოში თავის საავტორო გადაცემაში, რომელიც კვირაში ერთხელ იმართებოდა. მახსოვს თითქმის ერთსაათიანი ძალზე საინტერესო საუბარი გვქონდა ჩემი ლიტერატურული ჩანახატების ''სულის ფოტოგრაფიების'', მეცნიერებისა და მწერლობის ურთიერთმიმართების, ვაჟას შემო-

ქმედების და ა.შ. შესახებ. გამაკვირვა იკას განსაწავლულობამ ჩემს პროფესიაში - მას დიდი დაკვირვებით წაკითხული ჰქონია კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ''მამის'', ნობელის პრემიის ლაურეატის ვერნერ ჰაიზენბერგის წიგნი ''ნაწილი და მთელი'' და იკამ საუბრისას ბევრი საინტერესო ანალოგი გაავლო მწერლობისა და ატომურ ფიზიკაში მიმდინარე ''უცნაურ'', საღი აზრისთვის ერთი შეხედვით მიუღებელ მოვლენებს შორის. ასევე, როგორც ერთობ კრეატიულმა და ახალი იდეებით ''დახუნძლულმა'' პიროვნებამ, შემომთავაზა ვლადიმერ ვისოცკის ლექსების თარგმნა, რადგანაც მე მოგონება მქონდა გამოქვეყნებული ვისოცკისთან შეხვედრის შესახებ (მოგვიანებით ''ისინდის'' 9-ე ნომერში დაიბეჭდა უფრო სრული ვერსია ჩემი მოგონებისა სათაურით ''შეხვედრები ვლადიმერ ვისოცკისთან და ანდრეი ტარკოვსკისთან''). ჩემდა სამარცხვინოდ, აქამდე ვისოცკის მხოლოდ ერთი ლექსი მაქვს ნათარგმნი, მაგრამ აუცილებლად ვთარგმნი სხვა ლექსებსაც იმის გამო, რომ ჯერ ერთი, ავასრულებ იკასადმი იმ საღამოს დანაპირებს და მეორეც, უაღრესად საინტერესო ლექსების ავტორია ეს მეამბოხე ბარდი! საპატრიარქოს რადიოს ჩანაწერი დღესაც შენახული მაქვს და პერიოდულად დიდი სიამოვნებით ვუსმენ!

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორმა ''გამაბედინა'' იკასთვის დამერეკა და მეთხოვა მისთვის ჩემი ''სულის ფოტოგრაფიების'' ახალი ''პორციის'' გამოქვეყნება; და აქ ძალზე საინტერესო ფსიქოლოგიურ მოვლენასთან მომიხდა ''შეჯახება''-ჩვენი საუბარი ისე დინამიკურად, ''ბობოქრად''წარიმართა, თითქოს გუშინ თუ გუშინწინ დავშორდით ერთმანეთს (არადა იკას დაახლოებით ორი წელი არ შევხმიანებივარ!). ძალიან პატარა დროში უამრავი რამ ვუამბეთ ერთმანეთს, მე დაწვრილებით გავიგე თუ როგორ წარიმართებოდა ჟურნალის საქმიანობა, იკამაც ბევრი რამ შეიტყო ჩემზე. ასეა, როდესაც ორი ნამდვილი მეგობარი, სულიერად ახლო პოზიციებზე მდგომი ადამიანი ერთმანეთს ხვდება, თვით დროც კი ''საკუთარ უძლურებას აღიარებს''! ამიტომ სექტემბერში ძალზე ბუნებრივად ჩავერთე ''ისინდის'' მუშაობაში, თუმცა იკას პრინციპულობიდან და მაღალპროფესიონალობიდან გამომდინარე, მაინც გავიარე ''საკარანტინე, საგამოცდო'' პერიოდი, რომელიც ''უდანაკარგოდ'', წარმატებით დასრულდა და 2019 წლის იანვრიდან ჟურნალის რედკოლეგიის წევრობასაც კი გამოვკარი ხელი!

თავიდანვე დიდი ხალისით დავიწყე ჟურნალის წევრებთან თანამშრომლობა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ზოგიერთ წევრს აქამდეც ვიცნობდი (მარსიანს,რუსუდან ჭანტურიშვილს, ნინო ბაქანიძეს, დალი კახიანს, ერეკლე საღლიანს), ზოგთან კი

შორეული შეხების წერტილი მქონდა (კობა ცხაკაისთან, რეზო ადამიასთან), მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ მე შემოქმედ, თავისუფალ ადამიანებთან მიხდებოდა ურთიერთობა! ცოდვა გამხელილი სჯობს - როგორც ფიზიკოსს, ზოგჯერ მბეზრდება ხოლმე ფორმულების ''სიმკაცრე'' და ''სიმშრალე'' და მივილტვი სხვა ''ჯურის'' ადამიანებისაკენ, სადაც უფრო მეტი ''არალოგიკური'', პოეტური სულია! როგორც ა.პუშკინი თავის ცნობილ ჩანაწერთა კრებულში ''The table talk'', მოსწრებულად შენიშნავდა ''Поэзия это состояние души!'' დიახ პოეტი, შემოქმედი ადამიანი სულ სხვა ტრანსცენდენტულ მდგომარობაში, სხვა განზომილებებში იმყოფება ''მუზებთან საუბრისას'' და სწორედ ეს დავინახე მე ''ისინდის'' წევრებთან, განსაკუთრებით ჟურნალის ნომრების დაუვიწყარ საღამოებზე და შემდეგ გამართულ ტრადიციულ ე.წ. ''მეორე განყოფილებებზე - კაფე-რესტორნებში მოლხენისას, როდესაც მაქსიმალურად იხსნება შემოქმედებითი ''მუხტი''. თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ამ მხიარულების დროსაც კი, მუდამ ''გამოჟონავდა'' ხოლმე იქ დამსწრეთა დიდი განსწავლულობა და პროფესიონალიზმი! ბევრჯერ მინატრია, რომ ეს საუბრები ჩემს ''ტექნიკოს'' სტუდენტებსაც მოესმინათ, რადგანაც ძალიან ბევრ საინტერესო და შემეცნებით ფაქტს გაიგებდნენ ამ მსჯელობებიდან, რომელიც შემდგომ თვით ფიზიკაშიც კი გამოადგებოდათ ზოგადი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში! მართლაც გავიხსენოთ, რომ უმრავლესობა დიდი ფიზიკოსებისა უაღრესად ერუდირებული ადამიანები იყვნენ. მაგალითად, იგივე ვერნერ ჰაიზენბერგმა შესანიშნავად იცოდა პლატონის ფილოსოფია, რასაც შემდგომ წარმატებით იყენებდა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში (პლატონის ცნობილ იდეებს იგი სხვადასხვა ნაწილაკს უთანადებდა), ფრანგმა ფიზიკოსმა და მათემატიკოსმა ბლეზ პასკალმა ფიზიკაში დაგვიტოვა ''პასკალის კანონი'', ხოლო ესეისტიკაში ''აზრების'' შესანიშნავი კრებული და კიდევ სხვა უამრავი ამგვარი ''უცნაური სიმბიოზის'' მაგალითის მოტანა შეიძლება!

მაგრამ, როგორც ნათქვამია ''ეშმაკს არ სძინავს'' და ჟურნალის გუნდში თანდათანობით გამოიკვეთა სხვადასხვა არასასურველი ''შიდა დინებები''. კერძოდ, ''მანდილოსანთა ბუნტის'' შესახებ ამომწურავად არის საუბარი''ისინდის'' 9-ე ნომერში გამოქვეყნულ იკა ქადაგიძის ობიექტურ წერილში ''დაარსებიდან დღემდე'', რომელიც ჟურნალის ქრონიკაა და ''ისინდის'' ამ ნომერში მარსიანის წერილში ''ქვიშანი დარჩებიან''. ამიტომ დუბლირების თავიდან ასაცილებლად ამ საკითხს აღარ შევეხები. დავძენ მხოლოდ იმას, რომ ამგვარი ''აჯანყებების'' საფუძველი, მაინც ადამიანთა შესაძლებლობების, ნიჭიერების სხვაობაში უნდა ვეძებოთ, რადგანაც ნაკლებ ნიჭიერს ჯერ აღიზიანებს უფრო ნიჭიერი ადამიანი, შემდგომ კი შურის დონემდე ''მაღლდება'' მისი ზიზღი! (თუნდაც რად ღირს მოცარტის და სალიერის კლასიკური მაგალითი - ლეგენდის თანახმად, ხომ სალიერიმ მოწამლა მოცარტი, რადგანაც მისთვის აუტანელი გახდა მოცარტის გენიალობა!)

ახლა კი მინდა ვისაუბრო ჩემს მთავარ სათქმელზე (რაც სათაურშიც მაქვს გამოტანილი!), კერძოდ კი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრის, გიორგი შიშნიაშვილის შესახებ. მახსოვს გიორგის ჯერ კიდევ არ ვიცნობდი, როდესაც ძალიან მომეწონა ''ისინდის'' ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული მისი ლექსი თოვლის შესახებ და იკას ვკითხე, თუ ვინ იყო ეს ახალგაზრდა. იკამ ძალზე დადებითად დამიხასიათა გიორგი, მითხრა, რომ იგი ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და მიუხედავად მოუცლელობისა, მაინც ახერხებდა ჟურნალისთვის ბევრი სასარგებლო საქმე ეკეთებინა! მოგვიანებით ისიც შევიტყვე თუ როგორ მოხვდა გიორგი ''ისინდში''- იკამ 2017 წლის 26 აპრილს ინტერნეტში განათავსა მძაფრი, დიდი ეროვნული სულისკვეთებით დატვირთული ლექსი ''მოძმე''. უცნობმა პირებმა კი ეს შედევრი იკასგან დაუკითხავად, ისე რომ არც კი დაუსახელებიათ ლექსის ავტორი, სხვა საიტზე განათავსეს და სწორედ ამ გაურკვეველ სიტუაციაში, როდესაც არსებობდა საშიშროება, ვინმე არაკეთილმოსურნეს მიეთვისებინა ლექსი, გიორგი შიშნიაშვილმა სოციალურ ქსელში საჯაროდ დაიცვა ''მოძმე'' . კერძოდ განაცხადა, რომ ლექსის ავტორი იკა ქადაგიძეა. როგორც მარსიანი წერს: ''იკამ სათანადოდ დაუფასა გიორგის ეს საქციელი - იგი ''ისინდის'' გუნდის წევრი და მუდმივი ავტორი გახდა, რადგანაც როგორც აღმოჩნდა, გიორგი ლექსებს წერდა და მისი ''პოეტად კურთხევა'' სწორედ იკას ძალისხმევით მოხდა''. შემდეგ გ. შიშნიაშვილი გუნდის რამდენიმე წევრთან ერთად ''ობიექტივის'' ტელეარხზეც გამოჩნდა,რაც ახალბედა ავტორის დიდ აღიარებას ნიშნავდა. გ.შიშნიაშვილმა ერთი წლის შემდეგ (2018 წლის 9 მარტს) საკუთარი ინიციატივით ''ისინდის'' ვირტუალური გვერდი დააარსა. მაგრამ ეს ყველაფერი, მე მხოლოდ გადმოცემით ვიცოდი და გიორგის ჟურნალში მოღვაწეობის 10 თვიან ''ოქროს ხანას'' სამწუხაროდ, ვერ შევესწარი!

როდესაც სექტემბერში მოვიკითხე თუ სად იყო გიორგი, მივხვდი, რომ ჰამლეტის გამოთქმისა არ იყოს, ''რაღაც ყველაფერი ვერ იყო წესრიგში დანიის სამეფოში!''. აღმოჩნდა, რომ გ. შიშნიაშვილი ''პირველ პაბეგში'' იმყოფებოდა ანუ ნებაყოფლობით განერიდა გუნდს და მხოლოდ ნოემბრის დასასრულს ''ისინდის'' მეხუთე ნომრის წარდგინებისას პირველად ვიხილე იგი. მის დაბრუნებას კი რედაქტორის დიდი ძალისხმევა დასჭირდა! როგორც შემდეგ გავარკვიე,მიუხედავად იმისა, რომ გიორგიმ იმ ''ოქროს პერიოდში'' საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და ინიციატივების გამოვლენით რედაქტორის ''მარჯვენა ხელის'' ტიტულიც კი დაიმსახურა, ახალგაზრდა და განებივრებული ავტორი მაინც უკმაყოფილებას გამოხატავდა, პირიქით, მიიჩნევდა, რომ დაჩაგრულიც კი არის იმით, რომ მხოლოდ მასზე და რედაქტორზეა „ჩამოკიდებული“ ჟურნალის გამოცემის მართლაც მძიმე ტვირთი და სხვები კი არაფერს აკეთებენ! შესაძლოა ზოგიერთების მიმართ ეს პრეტენზია სავსებით სწორიც კი იყოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მთავარი აქ შეუთავსებლობაა გუნდის წევრებთან, (როგორც ამაში თავად დავრწმუნდი გიორგისთან ურთიერთობის შემდეგ) რომლის გამომწვევი მიზეზი გარკვეულწილად ასაკობრივი განსხვავება და მეორე უფრო სერიოზული მიზეზი კი პროფესიულ, ინტელექტუალურ დონეთა შორის სხვაობაა. ამის ერთ-ერთ საფუძველს კი ის მაძლევს, რომ გიორგის ერთხელ გულწრფელად წამოსცდენია: ''მე მწერლობა სულ სხვა რამ მეგონაო!''დიახ მწერლობა და საერთოდ შემოქმედებითი საქმიანობა ერთობ რთული, ''გაუგებარი'' პროცესია, შემოქმედი ადამიანები კი მრავალი ''ახირებებით'' გამოირჩევიან და ამ ყველაფრის ''ატანა'' უბრალო მოკვდავისათვის ადვილი არ არის! შესაძლოა ადამიანმა ''შემთხვევით'' რამდენიმე კარგი ლექსი დაწეროს, მაგრამ შემდგომ მუდმივად ამ რეჟიმში ყოფნა, წარმოუდგენლად მძიმე აღმოჩნდეს მისთვის, თუ დიდი შინაგანი ''შემოქმედებითი ვულკანი'' არ ბობოქრობს მის სულში ანუ თუ მას დიდი სათქმელი არ ასვენებს! ჰქონდა კი ამ ახალგაზრდა კაცს ეს განუწყვეტელი სათქმელი (არადა ჟურნალის მუდმივი ავტორის ტიტული ამას ''აიძულებდა''!) და ესეც შეიძლება იყოს ერთ-ერთი შინაგანი ძლიერი გამაღიზიანებელი ფაქტორი, რაც დროთა

განმავლობაში მძიმე კომპლექსად ჩამოყალიბდა და იგი გუნდის წევრებთან გააუცხოვა.

ამის შემდგომ ფეხბურთის კომენტატორის ტერმინოლოგიას თუ დავესეხებით, გ.შიშნიაშვილის ''მოღვაწეობა'' ''ისინდში'' გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ანუ გიორგის კარგი პერიოდები და აშკარა ''ჩავარდნები'' ჰქონდა გუნდის წევრებთან ურთიერთობებში, რაც კარგად აქვს აღწერილი რედაქტორს ჟურნალის ქრონიკის ორ წერილში (იხ. ''ისინდი'' № 10 და № 13) ; და აი 2020 წლის 15 იანვრის კრებაზე, რომელზეც ჟურნალში გადამწყვეტი საკადრო ცვლილებები, რომ უნდა განხორციელებულიყო და ამდენად, ყველა წევრის დასწრება სავალდებულო იყო, მიუხედავად დაპირებისა, გ.შიშნიაშვილი არ გამოცხადდა და შედარებით მცირე ხნიან (სულ რაღაც თვენახევარი!) ''მეორე პაბეგში'' წავიდა.

ამ მორიგი გაუჩინარების შემდეგ გ. შიშნიაშვილმა ისარგებლა იკას მამის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული რექვიემით და მასზე კომენტირებით ღიად გამოხატა საკუთარი კეთილგანწყობა, ხოლო 2 მარტს საკუთარი ინიციატივით შეხვდა რედაქტორს და განუცხადა, რომ ''ქალების ბუნტთან'' მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ამასთანავე ითხოვა, რომ იკას საჯაროდ დაედასტურებინა მისთვის ''ისინდის'' ვირტუალური გვერდისა და მუდმივი ადმინისტრატორის ფუნქციები. მისი ორივე ''გაქცევისას'' რედაქტორი ძალიან კეთილშობილურად მოექცა გ.შიშნიაშვილს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მას მაინც შეუნარჩუნა ადმინისტრატორის თანამდებობა, თუმცა გუნდის წევრები კატეგორიულად მოვითხოვდით არასაიმედო წევრისათვის ამ ფუნციების ჩამორთმევას, რადგანაც არაპროგნოზირებადი გაუჩინარებებით გ.შიშნიაშვილი ჟურნალის ვირტუალურ გვერდს სერიოზულ ზიანს აყენებდა და რაც ყველაზე მთავარია, მიუხედავად მისი არაკეთილსაიმედო დამოკიდებულებისა ჟურნალთან მიმართებისას, რედაქტორმა დასჯის ნაცვლად უსაფუძვლოდ გაბუტული ახალგაზრდა წევრი უფრო მეტად წასწია წინ (ამით უფროსმა კოლეგამ უმცროსს ღირსეული ქცევის მაგალითი უჩვენა) და ლექსებისა და წერილების გამოქვეყნების პარალელურად მისი ერთ-ერთი ლექსი ჟურნალის ყდაზე ცნობილი მხატვრის რეზო ადამიას შესანიშნავი ნახატის ფონზე უყოყმანოდ დაბეჭდა. აღნიშნულ შეხვედრაზე იკამ ''საბოლოოდ'' შემორიგებულ წევრს გულწრფელად უთხრა, რომ ''ისინდის'' საიუბილეო ნომერში ჟურნალის ქრონიკას გამოაქვეყნებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მომხდარი ''ბუნტის'' შესახებ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდებოდა. იმ მომენტისათვის ''ისინდის'' ვირტუალური გვერდი გაჩერებული იყო (ორივე განდგომისას კი ჟურნალის გვერდი ნახევარი წლით იყო გაჩერებული!). დროდადრო რედაქტორი ''ისინდზე'' დაწერილ ახალ პოსტებს მონიშვნის წესით ჟურნალის ვირტუალურ გვერდზე ათავსებდა (გვერდის პაროლი მხოლოდ რედაქტორმა და ადმინისტრატორმა გ.შიშნიაშვილმა იცოდნენ). ამ შეხვედრაზე იკამ გ.შიშნიაშვილს ახალი დავალებები მისცა დიდი ხნით გაჩერებული ვირტუალური გვერდის გასააქტიურებლად. მისი დაბრუნება მეც გამეხარდა და კვლავ ამუშავებულ გვერდზე შესვლა მოვინდომე, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! 6 მარტს ''ისინდის'' გვერდი აღარ იძებნებოდა! იმავე დღეს ეს უსიამოვნო ამბავი რედაქტორს შევატყობინე. იკაც დარწმუნდა, რომ გვერდი აღარ არსებობდა. რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია, რომ ზუსტად ახალი მასალის დადების წინ გვერდი უკვალოდ ქრება და ეს ფაქტი ადმინისტრატორმა არ იცის (ეს ხომ მისი პირდაპირი მოვალეობაა ყველაფერს თვალყური ადევნოს თუ რა ხდება გვერდზე), ან თუ იცის, რედაქტორს არ ატყობინებს ამ სამწუხარო სიახლეს. როცა იკამ გ. შიშნიაშვილს სთხოვა საქმის არსში გარკვეულიყო, მან მეტად არალოგიკური და ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტი მოიყვანა - ვითომ გვერდის ადმინისტრაციამ უმოქმედობის გამო გვერდი გააუქმა. ჯერ ერთი, ვინც კი ოდნავ მაინც არის გათვითცნობიერებული სოციალური ქსელების სპეციფიკაში, ძალიან დიდ ეჭვს შეიტანს გ.შიშნიაშვილის ამ ნათქვამში, რადგანაც გვერდის ასეთი წესით გაუქმება, გაფრთხილების გარეშე არ ხდება. მეორეც, გვერდი რომ უმოქმედოდ იყო გაჩერებული და ადმინისტრაციას ის არ გაუუქმებია, რაღა მაინცდამაინც ახლა, როცა გ.შიშნიაშვილი საქმეს დაუბრუნდა, გვერდი გაუფრთხილებლად გაქრა?! ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ სინამდვილეში ვის აწყობდა ჟურნალის საქმის შეფერხება. გ.შიშნიაშვილმა ''მეამბოხე ქალები'' თავად გამორიცხა, რადგანაც ისინი სოციალური ქსელით არ სარგებლობდნენ. ამ უსიამოვნო ინცინდენტიდან სამი დღის შემდეგ მან ახალი გვერდი სწრაფად დაარსა და იკას მხოლოდ ის ''უმნიშვნელო'' ამბავი შეატყობინა, რომ გვერდის უფრო მეტი უსაფრთხოების მიზნით ''ისინდის'' ვირტუალური გვერდი თავის გვერდს მიაბა და განაცხადა, რომ ახალი პაროლი მხოლოდ მას ეცოდინებოდა, რითაც იგი იღებდა ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას გვერდის დასაცავად. ეს ფაქტი თავიდანვე არაბუნებრივად მომეჩვენა, რადგანაც ამით აშკარად ირღვევოდა სუბორდინაციის ელემენტარული წესები და რა გარანტია გვქონდა, რომ მორიგი განდგომის დროს ადმინისტრატორი ბოროტად არ გამოიყენებდა ამ ერთპიროვნულ უფლებას და გვერდს ისევ არ გააჩერებდა (ისე აგიხდეთ

თქვენ ყველაფერი, როგორც ეს შემდგომ მართლაც ასე მოხდა?!)

ახალი გვერდის დაარსების შემდეგ მეორედ ''კურთხეული'' ადმინისტრატორი ძველებური შემართებით ჩაება საქმეში და 19 მარტს პანდემიური ნომრის გამოტანაშიც კი მიიღო მონაწილეობა და რედაქტორს განუცხადა, რომ ასე კარგად არასოდეს უგრძვნია თავი და პანდემიის მიუხედავად გააგრძელებდა მუშაობას. 22 მარტს აიკრძალა საქალაქთშორისო მიმოსვლა და გ. შიშნიაშვილმა მშობლიურ სოფელს მიაშურა, თუმცა გვერდს სისტემატურად ანახლებდა და რედაქტორის პოსტებს აქტიურად იწონებდა და კომენტარებს წერდა. ბუნებრივია, რომ ყველას გვიხაროდა ''ოქროს ხანის'' კვლავ დადგომა!

2020 წლის 24 აპრილს, როცა იკა ქადაგიძის გახმაურებული ლექსის ''მოძმის'' გამოქვეყნების სამი წლისთავზე იკამ გ.შიშნიაშვილს ლექსის გადარჩენისათვის მადლობა ტრადიციულად გადაუხადა, გ.შიშნიაშვილმა ნაძალადევი მადლიერება გამოავლინა. მოგვიანებით გაირკვა ამ უცნაური ქმედების ნამდვილი მიზეზი - ''ისინდის'' ქრონიკაში ''აჯანყებული ქალების'' ამბებთან ერთად, მისი განდგომის ფაქტებიც ობიექტურად იქნებოდა განხილული, რაც გ.შიშნიაშვილს კატეგორიულად არ სურდა და ყველანაირად ცდილობდა (ირიბი თუ არაირიბი საშუალებებით) რედაქტორს ეს წერილი არ გამოექვეყნებინა ან უკიდურეს შემთხვევაში მისი გვარი არ ყოფილიყო მოხსენიებული.

21 ივლისს გაზეთ ''ლიტერატურულ საქართველოში'' ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიის წევრმა ჯემალ მეხრიშვილმა ტრადიციულად გამოაქვეყნა ''ისინდის'' 10-ე ნომრის მოკლე, მაგრამ ამომწურავი ანონსი, რომელიც მკითხველებს ჟურნალის ქრონიკის ბობოქარ ამბებზე წარმოდგენას უქმნიდა. სწორედ ეს თარიღი აღმოჩნდა წყალგამყოფი - გ. შიშნიაშვილმა რედაქტორს იმ დღესვე, ახალი მასალის მოძიების საბაბით, ხისტად ჰკითხა თუ რატომ გამოქვეყნდა წერილი და რედაქტორის ახსნის შემდეგ (იკა სიტყვას ყოველთვის იცავს და სიმართლეს არასოდეს შეალამაზებს), გ. შიშნიაშვილი ''რადარებიდან გაქრა''.

გვეგონა ახალგაზრდა წევრს ''განაწყენება'' გადაუვლიდა და დაკისრებულ მოვალეობას დაპირებისამებრ შეასრულებდა. აგვისტოში ზუგდიდში გამართულ ლიტერატურულ ფესტივალზე ჩვენი რედაქტორი სერიოზულ ავარიაში მოჰყვა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს; ამ მოგზაურობის ამსახველი დღიურები იკამ თავის გვერდზე მაშინვე გამოაქვეყნა, რასაც კოლეგების და ნაცნობების მრავალრიცხოვანი გამამხნევებელი გამოხმაურებები მოჰყვა. ჩვენდა გასაკვირად გ.შიშნიაშვილმა საერთოდ არ გამოხატა რეაქცია ამ ფაქტზე - ასეთ დროს მტერსაც კი შეეხმიანება ადამიანი, მითუმეტეს, როდესაც თვითონ სჭირდებოდა, იკას მამის რექვიემიც კი გამოიყენა გუნდში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად და ვინ უშლიდა ხელს ელემენტარული თანაგრძნობა გამოეხატა მფარველი რედაქტორისათვის და არა სრული იგნორირება! ძალაუნებურად გამახსენდა ერთ-ერთი ჩანახატი ჩემი ''სულის ფოტოგრაფიებიდან'' (იხილეთ ''ისინდი''-ის 10-ე ნომერი)

ლედი ანნა: ''მხეცმაც კი იცის შებრალება უმძვინვარესმა!''

რიჩარდი III: ''მე კი არ ვიცი შებრალება და ამიტომაც მხეციც კი არ ვარ!''

უილიამ შექსპირი.რიჩარდი III.

(თარგმანი თემურ ნადარეიშვილის)

გამხეცებისას ადამიანი მხეცზე უარესია, რადგანაც ადამიანური ჭკუა (როგორც ფილოსოფოსები ამბობენ: ''მატერიის ორგანიზების უმაღლესი ფორმა!'') მაინც თავის ''საქმეს აკეთებს''!

როგორც ჩანს, სექტემბერში რედაქტორს რომ არ მიეწერა გ.შიშნიაშვილისათვის და ეკითხა, გაურკვეველი ვადით უკვე მესამედ გაჩერებულ გვერდს როდის აამუშავებდა, თურმე თავად იგი გამოჩენას არც კი აპირებდა. იმის ღირსადაც კი არ ჩაგვთვალა, რომ შეეტყობინებინა გვერდის გაჩერებას რომ აპირებდა, სიტყვას კვლავ გატეხდა და გუნდიდან ყოველგვარი ახსნის გარეშე გაიპარებოდა. ამის მიზეზი კი ჯერ კიდევ წაუკითხავი წერილი აღმოჩნდა, რომლის გამოქვეყნებამ ისე დააკარგვინა წონასწორობა, რომ საქმე მიატოვებინა. ასეთი არაკეთილსინდისიერი მიდგომით აღშფოთებულმა რედაქტორმა ვერაგ ადმინისტრატორს განუცხადა, რომ ვირტუალური გვერდის საბოტაჟის შესახებ დაწერდა და უმოკლეს დროში სათანადო წერილს ჟურნალში გამოაქვეყნებდა.ახალი წერილის გამოქვეყნების პერსპექტივამ იმდენად შეაშფოთა გ. შიშნიაშვილი, რომ სასწრაფოდ შეხვედრა და დალაპარაკება მოითხოვა. ამ მიზნით 22 სექტემბერს ''ისინდის'' მეათე ნომრის წარდგენას დაესწრო, იმის გამბედაობაც კი არ ეყო, რომ საჯარო განცხადება გაეკეთებინა გუნდის დატოვების შესახებ და თავი ძველებურად ეჭირა, ვითომც არაფერი მომხდარა! ჟურნალის პრეზენტაციისას საკუთარი თვალით დავინახე, თუ როგორი აღელვებით ფურცლავდა ''ისინდს'', სადაც ის ''საბედისწერო'' სტატია ეწერა.

მეორე დღეს კი გ.შიშნიაშვილმა რედაქტორს პირში უხეშად მიახალა, რომ ''ისინდში'' თავს არაკომფორტულად გრძნობდა, რედაქტორი საშინლად აღიზიანებდა და გუნდში აღარ დაბრუნდებოდა. ამის ნამდვილი მიზეზი კი ''ისინდის'' ქრონიკა იყო,

სადაც მისთვის არასასურველი სახით წარმოჩენილი იყო მისი ''საქმენი საგმირონი''. გამოდის, რომ გ.შიშნიაშვილმა რედაქტორსა და გუნდის წევრებს სიმართლის გახმაურება არ გვაპატია და კატეგორიულად განაცხადა, რომ საკუთარ ფეისბუქს აუქმებდა და ავტომატურად ''ისინდის'' ვირტუალური გვერდიც უქმდებოდა, რადგანაც ის მიბმული იყო მის პირად გვერდზე. ეს ადამიანი ოდნავ კეთილსინდისიერი რომ ყოფილიყო, აუცილებლად იპოვნიდა გზას ვირტუალური გვერდის გადასარჩენად და რედაქტორს გადააბარებდა, როგორც ყველა წესიერი ადამიანი! ეს სიტყვაც რომ დაარღვია და როდესაც რედაქტორმა ჰკითხა, თუ რატომ არ აუქმებდა გვერდს, გ.შიშნიაშვილმა საკმაოდ უკმეხად და ცინიკურად ''ითამაშა'' რედაქტორის ''ტექნიკურ გაუნათლებლობაზე'' - განაცხადა, რომ გვერდის გაუქმებას გარკვეული დრო სჭირდებოდა; ვინც ოდნავ მაინც ერკვევა სოციალური ქსელების სპეციფიკაში, მიხვდება, რომ გვერდის გაუქმებას შვიდი (!) თვე არ სჭირდება და სწორედ ამ დიდი ხნის განმავლობაში გ.შიშნიაშვილი აუქმებს კი არა, პირიქით აქტიურად იყენებს საკუთარ გვერდს და აქვეყნებს პოსტებს. ამავდროულად ჟურნალის ''გაყინულ'' გვერდზე საკმაოდ უცნაური მოვლენები ხდება. კერძოდ, სანამ მეორედ დაარსებული ვირტუალური გვერდი ფუნციონირებდა, გვერდს რედაქტორისა და ჩემი ძალისხმევით 438 მოწონება ჰქონდა, 21 ივლისის შემდეგ კი, როცა გვერდი აღარ ჩანს გარეშე პირებისათვის, პერიოდულად გვერდზე მაინც ხდება მოწონებების დამატება და ამჟამად გვერდს 515 მოწონება აქვს. საინტერესოა, საიდან გაჩნდა 515 — 438 = 77 ახალი წევრი? ნეტავ სად ნახულობენ ამ ''გაყინულ'' გვერდს?! ეს ხომ აშკარა მანიპულაციაა მესამედ გაქცეული ადმინისტრატორის მხრიდან, რომელიც ერთპიროვნულად აკონტროლებს ამ ''მრავალტანჯულ'' გვერდს და ამ ქმედებებით გვაღიზიანებს ''ისინდელებს''!

ამ საყოველთაო პანდემიის, ტოტალური ჩაკეტვების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თითქმის ერთადერთი კომუნიკაციის საშუალების - სოციალური ქსელის როლი. გ.შიშნიაშვილის საგანგებო, მიზანმიმართული ქმედებები, ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ ჟურნალის პირველი ვირტუალური გვერდიც ''შემთხვევით'' არ გამქრალა. ამჟამად, კი მის მიერ საგანგებოდ ''გაყინული'' გვერდი, ძალზედ დიდ უხერხულობას უქმნის ჟურნალს, რადგანაც, ჯერ ერთი იგი მიუწვდომელია მკითხველისათვის და უკვე თითქმის ცხრა თვეა ხელ-ფეხ შეკრულნი ვართ - ვერც ახალ გვერდს ვაარსებთ! გამოდის, რომ გ.შიშნიაშვილის ხელში არცერთმა ვირტუალურმა გვერდმა არ იმუშავა სრულფასოვნად. ახლა კი, ამ ურთულეს პერიოდში უკვე მესამეჯერ (!) მოგვიწევს ახალი გვერდის დაარსება! ეს ხომ აშკარა საბოტაჟია, დიდი ზიანის მიმყენებელი ''ისინდისათვის! ძალაუნებურად ადამიანს ებადება შემდეგი ''მძიმე'' კითხვები: გიორგი შიშნიაშვილის მიერ იკა ქადაგიძის გახმაურებული ლექსის ''მოძმის'' საჯარო დაცვა და ამის შედეგად ასეთი ბობოქარი შემოსვლა ''ისინდში'' თავიდანვე ჩაფიქრებული მზაკვრული გეგმის ნაწილი ხომ არ იყო? ან იქნებ, კიდევ უფრო უარესი - სხვა ძალების მიერ ინსპირირებული გუნდის შიგნიდან ''ასაფეთქებელად'' და რედაქტორის დისკრედიტაციისათვის იყო გამიზნული?

და ბოლოს, ჩემი ხანგრძლივი სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მრავალ სტუდენტთან მქონია ინტენსიური ურთიერთობები (დაახლოებით 300 სტუდენტი ყოველ წელს), ყველანაირი ''ჯურის'' სტუდენტთან მქონია შეხება, მრავალნაირ სიტუაციაში აღმოვჩენილვარ, მაგრამ ახალგაზრდის მხრიდან ამგვარ დაცემას და უსაფუძვლო უმადურობის ასეთ ''დიდ კოეფიციენტს'' არ შევხვედრივარ! დასანანია, რომ ამდენი ამაგი და სიკეთე, გ.შიშნიაშვილმა ვერ შეიფერა და თავის მფარველ რედაქტორს და გუნდს, რომელმაც მას ლიტერატურულ ასპარეზზე კარგი სახელი მოუპოვა, ასე უღირსად მოექცა და მეტიც, უმიზეზო განაწყენების ფონზე დაუსრულებელი საბოტაჟი მიუსაჯა!

გ.შიშნიაშვილი ახალგაზრდა კაცია, რომელსაც მთელი ცხოვრება წინ აქვს და ნუთუ ცხოვრებას ასე გამრუდებული ხედვის შესაბამისი საქციელით უნდა იწყებდეს, ასე ბოროტად სარგებლობდეს მისდამი გამოვლენილი მრავალი სიკეთის საპასუხოდ? რედაქტორმა და გუნდის წევრებმა ხომ მაქსიმალურად შეუწყვეს ხელი, რომ სრულფასოვანი თვითრეალიზაცია მოეხდინა?! ნუთუ ''ისინდის'' კოლექტივი და მისი რედაქტორი ამას იმსახურებდა? სწორედ ამ გულისტკივილმა კიდევ ერთხელ ამაღებინა ხელში კალამი და მათქმევინა ის, რაც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა შეიტყოს!

და სულ ბოლოს კი წერილი მინდა დავასრულო კიდევ ერთი ციტირებით გენიალური შექსპირის ''რიჩარდ III'' -იდან (დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რატომ ვაკეთებ ამას!)

მემატიანე:

''ვინ არის ისეთი ბრიყვი, რომ ვერ მიხვდეს სიმართლეს, მაგრამ ვინ არის ისეთი გამბედავი, თქვას მივხვდიო"

(თარგმანი თემურ ნადარეიშვილის)

პოეტი, კრიტიკოსი, ესეისტი, მხატვარი

ჟურნალ „ისინდის“ რედკოლეგიის წევრი

***

ახლაც კრავი ვარ ვის ნიაღშიც ლომი მძვინვარებს
ანდა ვარ ლომი გახვეული ტყავში კრავისა
განმბანს ოდესმე იორდანე – ნმინდა მდინარე?
ახლაც კრავი ვარ ვის ნიაღშიც ლომი მძვინვარებს
და საუკუნე მიავდრებდა თვალთა ნინარე
დამამხობელი აბრაამის ნათესავისა
ახლაც კრავი ვარ ვის ნიაღშიც ლომი მძვინვარებს
ანდა ვარ ლომი გახვეული ტყავში კრავისა...



ნამოხვანისკენ!

ქართველო, ჩრდილიდან გამოხვალ?
დღეს უნდა ვიბრძოლოთ ნამოხვანს!
ჩილდირის ფაშები რთავენ ჰესს,
ჰკა მაგათ! უქმად არ დავშვრებით,
ურჯულოს ჯვრის მადლი გამოხრავს!

ჩვენს მთა-ველს უტიფრად ბილწავენ
თურქი და მთავრობის ჩაფრები,
წინააღმდეგ სისხლით როს ვიწამლეთ
მტრის ფეხზე არასდროს გავქრებით!
ქართველო, განაგდე ხუნდები,

დღეს, უნდა ვიომოთ ნამოხვანს!
ღვთის მადლით არ დავძაბუნდებით,
ახუნდებს უთხარ, რომ არ ოხრავ!
გასუფდეს ხალიბთა ფოლადი

მზე ბრულად ველარ მოგვერევით,
დუმენო, ათასგზის მოგკლავდი,
შადრევან გიფარავს მერყევი...
მოხეული შიში ვერ დაგვლახვრავს,
დღეს, უნდა ვიომოთ ნამახვანს!

მზე ლიცავს სამ ქართველ ბანოვანს,
გუშაგებს, მტრის გულს რომ ამოხნავს!
მტარვალო, ხალხს დრო ვერ აჩერებს
წყვდიადში მავალო, იმღვრევი,
მამულს არ მივყიდით ასკერებს,
აქ ხატი იმღერის ივერის!

ქართველო, ჩრდილიდან გამოხვალ?
დღეს უნდა ვიომოთ ნამოხვანს!
ჩილდირის ფაშები რთავენ ჰესს,
ჰკა მაგათ, უქმად არ დავშვრებით,
ურჯულოს ჯვრის ჯავრი გამოხრავს!

14.04.2021.

იკა ქადაგიძე